შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს მკვლელის მფარველობას აბრალებენ A2

"პრაკრუტკები" ხელოვნების რანგშია აყვანილი A2

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 31 ივლისი, 2003 წელი. №207 (419)

ფასი 30 თეთრი

პრეზიდენტი სასამართლოებზე ზეწოლით იმუქრება

სოფო კვინტრაძე

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე "ნაციონალური მოძრაობის" მიერ საპენსიო დავალიანებების გადახდის მოთხოვნით გამართული შიმშილობის აქცია "სოციალურ დემაგოგიად" მონათლეს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ კი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ქვეყანაში შეიქმნა პრეცედენტი, როდესაც სასამართლომ პენსიონერების სარჩელი დააკმაყოფილა და მთავრობას ძველი დავალიანებების გადახდა დააკისრა. "ნუ გაშინებთ ეს სოციალური დემაგოგია!" – ამ სიტყვებით ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის წევრების გამხნევება სცადა.

მთავრობის სხდომაზე ორი საკითხი განიხილებოდა: საპენსიო დავალიანების დაფარვა და ბიუჯეტის შესრულება. განხილვა დღეს გაგრძელდება - მოუსმენენ სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ანზორ ბალუაშვილს, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული პრობლემები.

რაც შეეხება საპენსიო დავალიანებებს, პრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებს, რომ მიმდინარე წლის დავალიანებები სექტემბრის ბოლოსთვის უკვე გადახდილი იქნება. ამის გარანტიას პრეზიდენტს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი აძლევს. ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის, ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საპენსიო დავალიანება 34 მილიონ ლარს შეადგენს. გამყრელიძე დავალიანების დაგროვებაში ფინანსთა სამინისტროს ადანაშაულებს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ კი მინისტრებს პენსიონერთა ზუსტი რაოდენობის დადგენა მოსთხოვა. არსებული ინფორმაციით, დღეს საქართველოში 877 ათასი პენსიონერია, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, აქედან დაახლოებით 45 ათასი "მკვდარი სულია".

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ძველი საპენსიო დავალიანებების გადახდის მექანიზმზეც იმსჯელეს. როგორც ცნობილია 1998, 1999 და 2000 წლებში დაგროვილი დავალიანების გადახდას მთავრობა ფასიანი ობლიგაციებითა და მიწის გადასახადის გაქვითვით აპირებს. პრეზიდენტმა ხაზგასმით მიუთითა, რომ მთავრობა საპენსიო დავალიანებების გასტუმრებას, "ვიღაცეების" შიმშილობის გამო არ აპირებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

თვალთმაქცობის ლოგიკა

რუსეთის ენერგეტიკული პროექტები და პოლიტიკა

რუსუდან ნიკურაძე
სპეც. კორ. მოსკოვში

"რუსეთის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სააქციო საზოგადოება "ეეს"-ის თავმჯდომარის ანატოლი ჩუბაისის დაგეგმილი ვიზიტი თბილისში უნდა განვიხილოთ, როგორც სოჭში, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის ერთ-ერთი საფეხური," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში "რაო-ეეს"-ის ინფორმაციის დეპარტამენტის პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ანატოლი ტრინკოვმა.

ანატოლი ჩუბაისის გიგანტური ენერგეტიკული კომპანია "რაო-ეეს"-ი ენერგომატარებლების ბაზარზე თავის ერთ-ერთ კომპანიონს - საქართველოს განიხილავს, როგორც გრანდიოზული ეკონომიკური პროექტის ორგანულ ნაწილს და კომერციული ინტერესების საზიანო პოლიტიკას არ გაატარებს.

უფრო მეტიც, ჩუბაისის უწყებაში არასერიოზულად მიიჩნევენ საუბრებს ენერგოკომპანიის მხრიდან ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებზე ზეწოლაზე. ჩუბაისის უწყების ინფორმაციის დეპარტამენტში ჟურნალისტებს აცნობეს, რომ **"ურთიერთმომგებიანი პროექტების ეფექტურ მუშაობაში ორივე ქვეყნის ხელისუფლებაა დაინტერესებული, რაც ასახულია კიდეც სოჭის შეხვედრაზე პუტინ-შევარდნაძის ინიციატივით დაფიქსირებულ წინადადებებში."**

სოჭის ხელშეკრულებების თანახმად, სულ მალე აფხაზეთის ენერგოსისტემების რემონტისა და ენგურჰესის ინფრასტრუქტურის კეთილმოსაწყობად რუსეთის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სააქციო საზოგადოება აპირებს, წესრიგში მოიყვანოს საქართველოს ელექტროსისტემების სათანადო ქსელები.

გაგრძელება A3 გვერდზე

აპოკალიფსი პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

აკაკი ასათიანი პარლამენტში გამეფებულ "კოლექტიურ შიზოფრენიაზე" საუბრობს. "ტრადიციონალისტთა" ლიდერის თვალსაზრისი საფუძველს მოკლებული რომ არ არის, გუშინდელ რიგგარეშე სესიაზეც გამოჩნდა: გვიან ღამემდე მიმდინარე სხდომის დროს რამდენიმე "ორიგინალური" პროცედურა მოეწყო. "კანონმორჩილების ზეიმი" კი იმით დაიწყო, რომ სახელისუფლებო ფრაქციებმა და "აღორძინებამ" მოინდომეს, სანაგვეში მოესროლათ ცესკოს დაკომპლექტების წესის შესახებ პირველი მოსმენით მიღებული გადაწყვეტილება და ის ბათუმური ალიანსისა და "მრეწველებისთვის" სასურველი ვარიანტით ჩაენაცვლებინათ. ამ მცდელობას პარლამენტის ვიცესპიკერი გიგი წერეთელი "უპრეცედენტოს" უწოდებს და ვერ იხსენებს, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ოდესმე ასეთი ნაბიჯი გადაედგას. თუმცა, იმას, რასაც ზოგიერთი დეპუტატი ავადმყოფობის გამოვლინებად ან უცნაურობად მიიჩნევს, სულ სხვა, უფრო ლოგიკურ შეფასებას აძლევს "ახალი მემარჯვენეთა" თავკაცი დავით გამყრელიძე. იგი გარკვეული პოლიტიკური ძალების პრორუსულ შეთქმულებაზე ლაპარაკობს და თავისი განცხადების დასტურად იმ ფაქტს ასახელებს, რომ "მრეწველები" და "აღორძინება" ხმამაღლა გამოხატავენ თავიანთ ანტიდასავლურ პოზიციას და თავის დროზე, ღიად ილაშქრებდნენ სამხედრო სფეროში საქართველო-აშშ-ს თანამშრომლობის წინააღმდეგ, ხოლო სახელისუფლებო ფრაქციები დუმილით უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის ენერგოობიექტების რუსეთისთვის გადაცემის პოლიტიკას.

გაგრძელება A3 გვერდზე

არასასურველი საკანონმდებლო ინიციატივა შეჩერებულია

იური ელიაშვილის ფოტო

მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა სწორედ პარლამენტის თავმჯდომარისგან მოითხოვეს ცილისწამების შესახებ კანონთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვა.

ქართული მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან გუშინ მოხსნა საფრთხე, რომელზეც საზოგადოება რამდენიმე დღის წინ ახმაურდა და რომელიც სიტყვის თავისუფლებას საქართველოში "ჩუმად წამოეპარა".

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა, საარჩევნო ალიანსის ფონზე, პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც სიტყვის თავისუფლების აშკარა შეზღუდვას ისახავს მიზნად. კანონპროექტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის. ამ დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი ინფორმაცია, იქნება იგი ცრუ თუ "სხვაგვარად სახელის გამტეხველი", ან პატივისა და ღირსების შემლახველი, შესაძლოა, ინფორმაციის გამავრცელებლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საბაბად ქცეულიყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

იქცევა თუ არა „პოლიციელთა ასოციაცია" „განხეთქილების ვაშლად"

თამარ კაციტაძე
მაია მოსიაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია "პოლიციელთა ასოციაცია", რომლის პრეზიდენტიც გენერალი სოსო ალავიძეა (ალავიძის თქმით, ამ ორგანიზაციის შექმნაზე ოთხი წლის განმავლობაში ოცნებობდა საქართველოს პოლიცია), როგორც ჩანს, ჩამოყალიბებისთანავე დავის საგანი ხდება.

გუშინ ასოციაციის პრეზიდენტმა, რომელიც ამავდროულად "რუსთავის მმართველობისა და თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სამსახურის" უფროსიცაა, და მისმა უცხოელმა კოლეგებმა, რუსთავის მერთან სტუმრობისას, ორგანიზაციის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

თარგამაძე შევარდნაძეს სასამართლოში უჩივის

სოფო ბუკია

"ნაციონალური მოძრაობის" წევრმა გივი თარგამაძემ გუშინ პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. თარგამაძე პრეზიდენტსა და მის ოჯახს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უკანონო მითვისებაში ადანაშაულებს.

საქმე ეხება პრეზიდენტის 2003 წლის 29 ივლისის ბრძანებულებას, რომლის საფუძველზეც ზესტაფონის "ფერო" პირდაპირი მიყიდვის წესით ავსტრიულ ფირმა DSM-ს გადაეცა. "ნაციონალების" ინფორმაციით, ანალოგიური "გაჩუქება" ელის "ჭიათურმანგანუმსაც".

თარგამაძე ცალსახად აცხადებს, რომ აღნიშნული ავსტრიული ფირმის უკან პრეზიდენტის ოჯახის, კერძოდ, მანანა შევარდნაძის ინტერესები დგას.

პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის გაუქმებასაც თარგამაძე საოლქო სასამართლოს სთხოვს, მისი თქმით, "იმპერატიულია" და კანონის უხეში დარღვევით არის შედგენილი. კონკრეტულად კი, არ არის გათვალისწინებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის მუხლი,

გაგრძელება A2 გვერდზე

ბადრი ბელაშვილის ფოტო

გივი თარგამაძე პრეზიდენტს სხვადასხვა კოდექსების დარღვევაში სდებს ბრალს.

ვისია "თელასის" მეოთხედი?

მაშინ, როცა "ეი-ი-ესი" "თელასის" 75-პროცენტიანი საკონტროლო პაკეტის გაყიდვას გეგმავს, საქართველოს სამთავრობო წრეები იმის გარკვევას იწყებენ, თუ ვის ეკუთვნის აქციათა დანარჩენი 25 პროცენტი. გუშინ თბილისის მერიამ ოფიციალურად უარყო, რომ აქციათა ეს პაკეტი მის განკარგულებაშია. დღემდე ოფიციალური უწყებები "ეი-ი-ესის" თანამოწილედ სწორედ თბილისის მერიას ასახელებდნენ.

მაია ურუშაძე

"ეი-ი-ესთან" ხელშეკრულება, "თელასის" აქციათა საკონტროლო პაკეტის მიყიდვის თაობაზე, კომპანიის მფლობელმა – ქონების მართვის სამინისტრომ გააფორმა, – განაცხადა გუშინ მერიის ქონების მართვის სამმართველოს უფროსმა იური მაისაშვილმა, - **ამდენად, აქციათა ეს პაკეტიც სწორედ მისმა მემკვიდრემ – ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა ქონების მართვის სააგენტომ უნდა განკარგოს."**

მოკლედ, გაყიდვის წინ, "თელასიც" ისეთივე გაუგებრობაში აღმოჩნდა, როგორც ამ რამდენიმე თვის წინ "თბილგაზი" იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

ეუთო „ქვედა დონის„ კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნაზე უარს ამბობს

A3

ამინდი

თბილისი	32
ბათუმი	26
ქუთაისი	30
სოხუმი	28
ცხინვალი	26
თელავი	26
ბოლნისი	28
ფასანაური	24
სამტრედია	30

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.4625
გირვანქა სტერლ	3.4452
რუბლი	0.0705

რობერტ სტურუას ეპოქა

დღეს რობერტ სტურუას 65 წელი შეუსრულდა

ნათია ვადაჭკორია

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სტანისლავსკის და ოქროს ნიღბის პრემიების მფლობელი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა თითქმის 40 წლის მანძილზე, კომპოზიტორ გია ყანჩელთან და მხატვარ გოგი ალექსი-მესხიშვილთან ერთად, რუსთაველის თეატრში საკუთარ ეპოქას ქმნის. ბუნებრივია, ყველა რეჟისორი თეატრში მუშაობისას თავის კვალს ტოვებს, ახალი ნიუანსი შემოაქვს და საკუთარ ესთეტიკას აყალიბებს თეატრში, მითუმეტეს, რობერტ სტურუა. საქართველოს სახალხო მხატვარს რობერტ სტურუას (უფროსი) სურდა თავისი ვაჟიშვილი მხატვარი გამოესულიყო, უმცროსი რობერტიც პატარაობიდანვე ხატავდა, თუმცა პროფესიად მხატვრობის არჩევა სრულებითაც არ სურდა.

გაგრძელება A7 გვერდზე



რობერტ სტურუა დაბადების დღეს მეგობრებთან ერთად აღნიშნავს.

რუსეთის 50 ყველაზე გავლენიანი მეწარმე

ეკონომიკური ამბების სააგენტომ და გაზეთმა "ნეზავისიმაია გაზეტამ" ერთობლივი გამოკვლევა ჩაატარეს, რათა რუსეთის 50 მეწარმე გამოევლინათ, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ.

136 ოლიგარქიდან ყველაზე გავლენიანი ადამიანების სია 61 ექსპერტმა შეადგინა. კანდიდატები 5-ბალიანი სისტემით ფასდებოდნენ. ამჯერად, ექსპერტებმა ყველაზე გავლენიან რუს მეწარმედ "თელასის" სავარაუდო მეპატრონე "რაო ეეს როსსიის" ხელმძღვანელი ანატოლი ჩუბაისი დაასახელეს.

ექსპერტები ყველაზე გავლენიან მეწარმედ ჩუბაისის დასახელებას რამდენიმე ფაქტორით ხსნიან: პირველ რიგში, რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ "რაო ეეს როსსიის" ხელმძღვანელის პოსტზე ანატოლი ჩუბაისს ახლახან ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რაც კრემლის დიდ ნდობაზე მეტყველებს. ამას გარდა, ხელისუფლებამ ჩუბაისის მიერ შემუშავებული ენერგეტიკული სექტორის რეფორმის გეგმა მოიწონა და დაამტკიცა, რომლის თანახმად, 2006 წლიდან ენერგეტიკის თავისუფალი ბაზარი შეიქმნება. მესამე, ჩუბაისის პოლიტიკური პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც პუტინის მხარდამჭერი "მემარჯვენე ძალთა გაერთიანების" საარჩევნო შტაბს სათავეში ჩუბაისის დიდი ხნის მეგობარი ალფრედ კოხი ჩაუდგა.

ეკონომიკური ამბების სააგენტოს რეიტინგში მეორე ადგილზე ჩუკოტკის გუბერნატორი, ნავთობკომპანია "სიბნეფტისა" და ინგლისურ კლუბ "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი დგას. აბრამოვიჩს მოსდევენ "გაზპრომის" შეფი მილერი, "მეჟპრომბანკის" თავმჯდომარე პუგაჩოვი და კონსორციუმ "ალფა-ჯგუფის" მფლობელი ფრიდმანი. უკანასკნელ ხანებში კრემლის მიერ შერისხული, რუსეთის უმდიდრესი ადამიანი, ნავთობკომპანია "იუკოსის" შეფი ხოდორკოვსკი ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიას ასრულებს და მეექვსე ადგილზე დგას.

დანარჩენები გავლენიან და საშუალო გავლენის მქონე მეწარმეთა კატეგორიაში მოხვდნენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ალუმინის მეფე დერიპასკა ძალზე გავლენიანი ადამიანების კატეგორიაში ვერ მოხვდა. იგი შედარებით მოკრძალებულ მე-5 ადგილს უბრალოდ გავლენიანი ადამიანების სიაში დასჯერდა.

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

თარგამაძე შევარდნაძეს სასამართლოში უჩივის

პირველი გვერდიდან

რომლის თანახმადაც 100 ათას ლარზე მეტი ღირებულების ობიექტი პირდაპირი მიყიდვის წესს არ ექვემდებარება და მისი გაყიდვა მხოლოდ ტენდერის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

თარგამაძის თქმით, "ფეროს" ღირებულება 7 მილიონი ლარია. ამასთან, მისი აზრით, პრეზიდენტმა, საკუთარი ბრძანებულებით, ენერგეტიკის სამინისტროს "ფეროს" უწყვეტი ელექტრომომარაგება უკანონოდ დააკისრა. არაკანონიერია "სემეკისთვის" მიცემული დავალებაც საწარმოსთვის 2008 წლამდე ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფით მიწოდების თაობაზე.

თარგამაძე აცხადებს, რომ "ფეროზე" პრეტენზიები ქვემო ქართლის გუბერნატორს ლევან მამალაძესაც აქვს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ლევან მამალაძემ "ფეროს" ხელმძღვანელობას გააფორმებინა კონტრაქტი შვეიცარულ ფირმა "მეტალიკ 1871"-თან, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ ფირმას "ფეროს" ნაწარმის გატანაზე ექსკლუზიური უფლება ენიჭებოდა. თარგამაძის განცხადებით, "ფეროს" დირექტორმა ამ კონტრაქტს ჯერ ხელი მოაწერა, ორი თვის შემდეგ კი, პრეზიდენტ შევარდნაძის დავალებით, აღნიშნული კონტრაქტი სასამართლოში გაასაჩივრა და გააბათილა. თარგამაძე დარწმუნებულია, რომ შევარდნაძის ოჯახისა და მამალაძის ინტერესთა გადაკვეთაა მოსალოდნელი "ჭიათურმანგანუმთან" დაკავშირებითაც, რომელსაც, ასევე მამალაძის ხელშეწყობით, გაფორმებული აქვს კონტრაქტი პროდუქციის ექსკლუზიურ მიწოდებაზე შვეიცარულ ფირმა "KOCH & BATTIG"-თან. "ფეროს" ვალები არ ჰქონდა და ის უფრო მომხიბვლელი ვარიანტი იყო ხელში ჩასაგდებად. **"ჭიათურმანგანუმსაც" გაათავისუფლებენ ვალებისგან და მამალაძეს ამ ობიექტსაც შევარდნაძის ოჯახი წაართმევს,"** – განუცხადა თარგამაძემ ჟურნალისტებს გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

მოკლედ

ევრობანკი ბაქო-ჯეიჰანის პროექტის საჭარო განხილვებს იწყებს

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საზოგადოებასთან შეხვედრათა ციკლს იწყებენ, რის შემდეგაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას მიიღებენ.

პირველი შეხვედრა 26 აგვისტოს ერზერუმში გაიმართება, მეორე კი - ისევ თურქეთში, ქალაქ ადანაში, 28 აგვისტოს. აზერბაიჯანში საზოგადოებას 1 სექტემბერს - ქალაქ განჯაში, ხოლო 4 სექტემბერს ბაქოში შეხვდებიან.

საქართველოში ეს შეხვედრები 8 და 11 სექტემბერს ბორჯომსა და თბილისშია დაგეგმილი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დასაფინანსებლად საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სავარაუდოდ, 150 მილიონი დოლარის კრედიტს გამოყოფენ.

კრედიტორთა მოთხოვნით, ამ პროექტთან დაკავშირებით დოკუმენტაციის სრული პაკეტი საჯარო განხილვაზე 12 ივნისს იყო გატანილი. საჯარო განხილვა 120 დღეს გაგრძელდება, რის შედეგადაც კრედიტის გამოყოფაზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის ღირებულება 2.95 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამ თანხის 30 პროცენტს გამოყოფენ პროექტის მონაწილე კომპანიები, დანარჩენი სახსრები კრედიტების სახით იქნება მოძიებული. ნავთობსადენის მშენებლობა წლეულს, აპრილში დაიწყო და გაისად წლის ბოლოსათვის დასრულდება. **მედია-ნიუსი**

ტრასეკას შეთანხმება ქართულ კანონებს ეწინააღმდეგება

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) წევრი ქვეყნების მთავრობათაშორისი კომისია ერევანში 9-10 ოქტომბერს შეიკრიბება და საერთაშორისო გადაზიდვების ძირითად შეთანხმებაში დამატებების შეტანის თაობაზე იმსჯელებს.

"ტრასეკას შეთანხმებაში ცვლილებების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტს მოუწევს, რადგან ცვლილებები, რომელიც შეთანხმებაში უნდა შევიდეს, ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება," - მიაჩნიათ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში.

წინასწარი ინფორმაციით, საერთაშორისო გადაზიდვების ძირითად შეთანხმებაში სამი ცვლილება უნდა შევიდეს. პირველის თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას, გასცენ ერთჯერადი ან ორჯერადი უფასო ვიზები იმ პირებზე, რომლებიც ავღანეთში ჰუმანიტარული ტვირთებისა და სამშენებლო მასალის გადაზიდვას აწარმოებენ. მეორეს თანახმად, სარკინიგზო სატრანზიტო დანიშნულების ტვირთებზე მხარეები ე.წ. საბაჟო დეპოზიტების გირაოს პრაქტიკას აღარ გამოიყენებენ. სარკინიგზო სატრანზიტო მომსახურებისას ასევე გათვალისწინებულია დღგ-ს ნულოვანი განაკვეთის გამოყენება. **ინტერ-პრესი**

მონიტორინგი

"პრაკრუტკები" ხელოვნების რანგშია აყვანილი

გუშინწინდელი დღე შემოსავლების თვალსაზრისით ძალიან პროდუქტიული იყო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 29 ივლისს 9 მილიონ 160 ათასი ლარი შეადგინა. ძნელია გავიხსენოთ სამუშაო დღე, თვის ბოლო დღეების გარდა, როცა სახელმწიფო ბიუჯეტს ამ ოდენობის შემოსავლები მიეღო.

რა ხდება?! ახალი ტენდენციები ჩამოყალიბდა თუ კარგად გამოცდილი ძველი მექანიზმები გამოიყენება დიდი მასშტაბებით?

26 ივლისის შემდეგ გაწეული ხარჯების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ახალი ტენდენციების შექმნაზე არავინ არც ფიქრობს, უბრალოდ, **წინასწარი გადახდებითა და "პრაკრუტკებით" ბიუჯეტის შესრულება ახალ საფეხურზე ავიდა და ხელოვნების რანგშია აყვანილი.**

21 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით ბიუჯეტის შემოსავლების შესასრულებლად, მარტო ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულია დაახლოებით 15.5 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯი. "პრაკრუტკების" ამ მასშტაბებით გამოყენება მეტად პრინციპული პირველი კვარტლისა და ნახევარი წლის გეგმების შესასრულებლადაც კი არ მომხდარა.

ეს იმ დროს, როცა **ჯერ კიდევ არ არის დაფინანსებული წლის პირველი ნახევრის ხელფასები, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, განათლების ხარჯები.**

ბოლო ათი დღის განმავლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაიწევა ისეთი ხარჯები, რომლებიც ყველა ლოგიკით, სეკვესტრში უნდა მოხვდეს.

ჩვენთვის უკვე გასაგები ხდება, თუ რატომ ვერ თანხმდება მთავრობა სეკვესტრის გეგმაზე და რატომ გაჯანჯლდა ეს პროცესი.

ჩვენ აღარა გვაქვს იმის იმედი, რომ დღევანდელი მდგომარეობა მთავრობის, პრეზიდენტის, პარლამენტის ან პოლიტიკური ძალების მსჯელობის საგანი გახდება.

უბრალოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყანა სწრაფად მიექანება ფინანსური ქაოსისა და სოციალური კრიზისისაკენ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შვიდი თვის გეგმის შესრულებამდე კი რჩება ორი სამუშაო დღე და 122 მილიონ 280 ათასი ლარი.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

საბიუჯეტო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია

მლნ. ლარებში

დასახელება	შვიდი თვის პროგნოზი	შესრულება	%	29 ივლისი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	621.63	499.35	80%	9.16
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	450.46	357.33	79%	7.83
საგადასახადო შემოსავლები	365.15	311.54	85%	7.34
სოციალური ფონდი	139.01	121.07	87%	0.97
საგზაო ფონდი	27.35	21.25	78%	0.36

დასახელება	ზუსტი თვის პროგნოზი	შესრულება	%	29 ივლისი
ფულადების დაფინანსება	124.34	133.93	108%	3.03

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს მკვლელის მფარველობას აბრალებენ

ბექა სისაური
ქუთაისიდან

საქართველოს უზენაეს სასამართლოში რამდენიმე განზრახ მკვლელობაში ბრალდებულის დავით მიქაბერიძის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. მიქაბერიძეს, მეტსახელად "ძროხას" (მოსკოვში მას დავით კუტაისკის სახელით იცნობდნენ), რუსი სამართალდამცველები 1996 წლის შემდეგ ეძებენ, მისივე მეგობრების განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის გამო. როგორც საბრალდებო დასკვნაშია ნათქვამი,

1996 წლის 10 იანვარს მოსკოვში, დროებით საცხოვრებელ ბინაში, მიქაბერიძემ თავისი მეგობრები - ლევან ფაცურია და დემურ როგავა, ნარკოტიკების გამო წამოჭრილი ჩხუბისას, მაყუჩიანი პისტოლეტით დახვრიტა, შემდეგ კი ყელი გამოჭრა. **"დაჭრილების გადარჩენის შესაძლებლობის გამოსარიცხად, მიქაბერიძემ დანით ჯერ კიდევ ცოცხალ ფაცურიას კისრის არეში 15-ჯერ მიაყენა ჭრილობა. როგავასაც ასევე კისრის არეში დანით დიდი ზომის ჭრილობა მიაყენა,"** - ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში.

ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ორმაგი მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მიქაბერიძე რუსეთს განერიდა და საქართველოში დაბრუნდა - ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევს შეაფარა თავი. თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციამ მიქაბერიძის ძებნის მოთხოვნა საქართველოში რამდენჯერმე გადმოაგზავნა, თუმცა ძებნილმა დაპატიმრებამდე საქართველოშიც არაერთი დანაშაულის ჩადენა მოასწრო. 2001 წლის 3 მარტს მიქაბერიძე სოფელ წითელხევში

ირაკლი ლეჟავა (ფოტო)

რუბენ ასანიძე: "ასეთი განცხადებების შეფასებას მე არ ვაკეთებ".

მცხოვრებ ბაჩუკი ჩივაძის სახლში იმყოფებოდა. "დედის დღისადმი" მიძღვნილ სუფრაზე მან დიდი ოდენობით ალკოჰოლი მიიღო. შემდეგ კი, ჩივაძესთან ერთად, ავტომობილით ქუთაისისკენ გაემართა. იგი გადავიდა მოძრაობის საპირისპირო მხარეს და მიკროავტობუსს დაეჯახა. ჩივაძე ადგილზე გარდაიცვალა. 2002 წლის 2 იანვარს მიქაბერიძემ წითელხევში, მეგობრის დაბადების დღეზე მყოფი რეზო კახიანი ორლულიანი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა.

2002 წლის 21 თებერვალს ოზურგეთის საავადმყოფოში მყოფი, ფეხში დაჭრილი დავით მიქაბერიძე სამართალდამცველთა ხელში მოხვდა. რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, მისი პროცესი უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, უახლოეს მომავალში მის სასამართლო პროცესზე კიდევ ერთი ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი დაისმება, ოღონდ არა სამართალდამცველთა, არამედ დაზარალებულის – მოკლული კახიანის დედის, მიმოზა ჟორჟოლიანის მიერ. მისი თქმით, 1996 წლიდან მიქაბერიძეს იმერეთის სამხარეო პოლიციისა და ბაღდათის რაიონული პოლიციის მაღალჩინოსნები მფარველობდნენ. ამ მაღალჩინოსნებს შორის ჟორჟოლიანი იმდროინდელ სამხარეო პოლიციის უფროსს, ამჟამად კი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს რუბენ ასანიძეს ასახელებს. მისი თქმით, სწორედ მათმა მფარველობამ შეაძლებინა ძებნილ დამნაშავეს საქართველოში დანაშაულების ჩადენა.

რაც შეეხება რუბენ ასანიძეს, იგი აღნიშნულ ბრალდებებს, ცხადია, კატეგორიულად უარყოფს: **"მიმოზა რას ლაპარაკობს და მის უკან ვინ დგას, ამის მოსაძებნად მე არ მცალია. როგორ ვმფარველობდი მიქაბერიძეს, როდესაც იგი მე დავაკავე? თუ ჟორჟოლიანის პრეტენზიები აქვს, სასამართლოს მიმართოს. ასეთი განცხადებების შეფასებას მე არ ვაკეთებ,"** - აცხადებს ასანიძე.

ორი სიტყვით

ქუთაისი. პოლიციამ თერჯოლის რაიონის სოფელ ციხთარვაში, ადრე ნასამართლევი რამაზ ყვავაძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას "აკაესის" სისტემის 4 ავტომატი, რამდენიმე ხელყუმბარა და მცირეკალიბრიანი შაშხანის 10 ცალი დამუხტული ვაზნა იპოვეს. ყვავაძე დაპატიმრებულია. იარაღი კი, პოლიციისვე ცნობით, რეგიონში მოქმედ ერთ-ერთ ყაჩაღურ დაჯგუფებას ეკუთვნის, რომლის წევრთა დასაკავებლად სამუშაოები ამჟამადაც გრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ვახტანგ ელიავას ოჯახს გუშინ 4 დაუდგენელი ბოროტმოქმედი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარითა და ძალის გამოყენებით ოჯახს 2000 დოლარი და ტექნიკა გასტაცეს. პოლიცია უკვე ეძებს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილს, ტყიბულის რაიონის მკვიდრს, ადრე ნასამართლევ რამაზ შალიკიანს. დაზარალებულებმა იგი ფოტოსურათზე ამოიცნეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დმანისის პოლიციის თანამშრომლებმა არასრულწლოვანის გატაცებაში ეჭვმიტანილი 20 წლის მამუკა ადუაშვილი დააკავეს. 2002 წლის 21 თებერვალს ადუაშვილმა თანამზრახველთან, ბოლნისის სასაზღვრო კომენდატურის სამხედრო მოსამსახურე ივანე ადუაშვილთან ერთად, 15 წლის ნათია ადუაშვილი გაიტაცა. ივანე ადუაშვილი ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციამ ორი თვის წინ დააკავა, მამუკა ადუაშვილის დაკავება კი დმანისის რაიონში მხოლოდ ახლა მოხერხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში მომხდარ ავტოავარიას 73 წლის ფიოდორ ჩუბუზიდის სიცოცხლე ემსხვერპლა. ფეხით მოსიარულე ჩუბუზიდის "ვაზ 21061" მარკის ავტომანქანა დაეჯახა, რომელსაც 33 წლის ლევან სიმონიშვილი მართავდა. ჩუბუზიდი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ავარიის ფაქტზე აღძრულ საქმეს თბილისის პოლიციის საგამოძიებო სამსახური იძიებს. ლევან სიმონიშვილი ხელწერილით გაათავისუფლეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ დედაქალაქის მერიის მიერ მომზადებულ "თბილისში გარევაჭრობის ორგანიზებისა და მუშაობის წესების შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები მოამზადა. სამინისტრო პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს აკრძალული საქონლით ვაჭრობის საკითხს, რაც მერიის მიერ მომზადებულ პროექტში გარკვევით არ არის ასახული. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო დედაქალაქის მერიას მომზადებულ კანონპროექტზე შენიშვნებს უახლოეს დღეებში გადაუგზავნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ ოთხშაბათს პარლამენტს მიმართა თხოვნით - საკანონმდებლო ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც დედაქალაქის მერიას საშუალებას მისცემს ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზება გაუკეთოს საავტომობილო გზების შეკეთებისთვის აუცილებელ თანხებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტით გრძელდება საქართველოს საავტომობილო გზების აღდგენითი სამუშაოები. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ პროექტით გზების რეაბილიტაციაზე წლეულს 17,5 მილიონი დოლარი დაიხარჯება. სამუშაოები მიმდინარეობს ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის, ნატახტარი-ყაზბეგი-მლეთის საავტომობილო მაგისტრალებზე. ამ პროექტით, აგრეთვე, მარნეული-სადახლოს და თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზებიც გარემონტდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ხორბლის მოსავლის აღება, სამცხე-ჯავახეთის გარდა, ყველა რეგიონში დაწყებულია. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცნობით, დღეისთვის ხორბალი აღებულია 40 ათას ჰექტარზე. მიღებულია 75 ათასი ტონა მარცვლეული. დაწყებულია ალოობა შირაქის ველზე, სადაც აღებულია 5 ათასი ჰექტარი. სულ ასაღებია თავთავიანი კულტურების 150 ათასი ჰექტარი, რაც, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი და მერიასთან არსებული მრეწველთა საბჭო მრეწველობის, ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრს გიორგი გაჩეჩილაძესთან შეხვედრას ითხოვენ. მრეწველების განცხადებით, რუსთავს აუცილებლად ესაჭიროება საგადასახადო შეღავათები, რაზეც რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა უნდა იზრუნოს.

■ ■ ■

თბილისი. ქართველ კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფი, რეჟისორ ბუბა ხოტივარის ხელმძღვანელობით, აბრეშუმის დიდი გზის ისტორიული დერეფნის ფარგლებში ენერგეტიკული პროექტების განვითარების შესახებ ფილმის გადასაღებად ბაქოში ჩავიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 6 თვეში საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები 11 პროცენტით გაიზარდა და 1,241 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო ბანკებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 15 პროცენტით გაიზარდა და 662 მილიონი ლარი შეადგინა. **მედია-ნიუსი**

იქცევა თუ არა "პოლიციელთა ასოციაცია" "განხეთქილების ვაშლად"

პირველი გვერდიდან

"ამ ორგანიზაციის დაფუძნება ბევრმა არასწორად აღიქვა, რაც სრულიად გაუგებარია, რადგან ეს, პირველ რიგში, მსოფლიოსთან ინტეგრაციას უკავშირდება. უკვე დაახლოებით 200-მდე წევრი გვყავს. ეს არის სერიოზული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია, ამოავსოს ის შავი ხვრელები, რომლებიც დღეს ჩვენს რეალობაში არსებობს. ასოციაციის მიზანია დაღუპული თანამშრომლების ოჯახების მუდმივი დახმარება, მოქმედი თანამშრომლების გაცვლითი პროგრამებით საზღვარგარეთ გაგზავნა. ორგანიზაციის შესაქმნელად, დაახლოებით, ოთხი წელი მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. თავად "პოლიციელთა საერთაშორისო ასოციაცია" უკვე 50 წელია, არსებობს და მისი სათავო ოფისები ინგლისში, გერმანიასა და საბერძნეთშია", – აღნიშნა ალავიძემ.

გუშინვე მომავალ თანამშრომლობაზე ისაუბრა "პოლიციელთა საერთაშორისო ასოციაციის" ინგლისის სათავო ოფისის წარმომადგენელმა იანის პანუსმა: **"ჩვენი ორგანიზაცია მსოფლიოს 60 ქვეყანაში არსებობს და მასში 300 ათასი კაცია გაწევრიანებული. ჩვენი მთავარი მიზანია, დავუხმაროთ საზოგადოებას კრიმინალებისაგან გათავისუფლებაში, თუმცა ჩვენ არ ვიმოქმედებთ ისე, როგორც მოქმედი პოლიციელები. ჩვენ ვატარებთ სემინარებს იმ ქვეყნებისთვის, სადაც არ აქვთ სახსრები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისათვის, ფინანსურად ვეხმარებით ჩვენს წევრებს, სხვა ქვეყანაში სემინარებზე გაემგზავრონ. "**

მერიიდან გამოსულმა ასოციაციის საქართველოს სათავო ოფისის პრეზიდენტმა "24 საათის" კითხვაზე - კიდევ რომელი ცნობილი სახეები არიან ამ ორგანიზაციის წევრები, მოკლედ უპასუხა: **"ხვალ გაიგებთ ბევრ რაღაცას, ასე რომ, ნუ იჩქარებთ."**

მაგრამ გარკვეულმა ინფორმაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გუშინვე გაჟონა. კერძოდ, ასოციაციის შექმნამ გაანაწყენა შინაგან საქმეთა მინისტრი. ნარჩემაშვილის განაწყენების მიზეზი ასოციაციაში გაწევრიანების ფორმა და მისი ხელმძღვანელი გამხდარა.

ანონიმური წყაროს ინფორმაციით, მინისტრის რისხვა იმ მოქმედ პოლიციელებს გადასწვდა, რომლებიც ასოციაციაში მინისტრთან შეუთანხმებლად არიან გაწევრიანებულნი. ჩვენი ინფორმაციით, გუშინ სამინისტროში ასოციაციის წევრი ყველა მოქმედი, საკმაოდ მაღალჩინიანი პოლიციელი დაიბარეს და არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ ახსნა-განმარტება დააწერინეს.

სამინისტროში დაბარებული ჩინოსანი პოლიციელები ამ ფაქტს არ უარყოფენ, მაგრამ ის საკითხი, რაზეც იქ იყო საუბარი, მკაცრად აქვთ გასაიდუმლოებული. ასოციაციაში გაწევრიანების გამო თანამშრომლების "გაკიცხვას" თავად სამინისტროშიც კატეგორიულად უარყოფენ.

აღნიშნულ ფაქტზე საუბარს ამ ეტაპზე თავს არიდებს ასოციაციის პრეზიდენტი სოსო ალავიძეც: **"ასოციაციას ჰყავს საბჭო, რომლის თითოეულ წევრთან ვარ პასუხისმგებელი. საბჭო შეიკრიბება და აღნიშნულ საკითხზე ამის შემდეგ ვისაუბრებთ,"** – ამბობს ალავიძე.

"ახალი მენეჯმენტი" "თბილგაზში" შესვლას აგვიანებს

მაია ურუშაძე

მუნიციპალიტეტში გრძელდება მუშაობა ხელშეკრულებაზე, რომელიც მერიასა და ამხანაგობა "ახალ მენეჯმენტს" შორის უნდა გაფორმდეს. ამ ხელშეკრულებით, დედაქალაქის გაზმომარაგების ქსელი "თბილგაზისათვის" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ "ახალ მენეჯმენტს" 10-წლიანი მართვის უფლებით უნდა გადაეცეს.

ხელშეკრულების პროექტს ამჟამად საკრებულოს ფრაქციები განიხილავენ. დოკუმენტი განსახილველად სათბობ-ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროებსაც გადაეცათ.

ძირითადი საკითხი, რაც ჯერჯერობით შეუთანხმებელია, "თბილგაზის" ძველი ვალების ჩამოწერაა. "ახალ მენეჯმენტს" არ სურს, აიღოს პასუხისმგებლობა მათ გასტუმრებაზე, ცენტრალურ ხელისუფლებას კი არ სურს, ეს ვალები "თბილგაზს", უბრალოდ, ჩამოაწეროს. ამდენად, ძველი ვალების საკითხი, სავარაუდოდ, ჰაერში გამოკიდებული დარჩება. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის მათ შესახებ არავინ საუბრობს.

ამ ვალების საკითხი არც "ახალი მენეჯმენტისთვის" "თბილგაზის" გადაცემაზე საუბრის დაწყების დროს წამოწეულა. ყოველ შემთხვევაში, სატენდერო პირობებში ეს თემა საერთოდ ღიად იყო დატოვებული. ტენდერში მონაწილე კომპანიებისთვის კი სამი პრიორიტეტი იყო გამოყოფილი: "თბილგაზის" მომავალ პატრონს უნდა უზრუნველეყო თბილისის უწყვეტი გაზმომარაგება, არ უნდა დაეშვა გაზის ტარიფის მატება და გაზის გარანტირებული მომწოდებელი ჰყოლოდა. "ახალმა მენეჯმენტმა" სამივე პირობა დააკმაყოფილა. გაზით უწყვეტი მომარაგების გარანტია ამხანაგობას თავისმა "მამობილმა" – გაზის საერთაშორისო კორპორაციამ მისცა, გაზმომარაგების ქსელის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების პრობლემა კი საბიუჯეტო სახსრებით მოიხსნა. 4,5 მილიონი ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები, "თბილგაზში" "ახალი მენეჯმენტის" შესვლისათვის, კომპანია "ინჟმშენის" მიერ უკვე დასრულებული იქნება. თანაც, სანამ "ინჟმშენი" სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ მორჩება, დედაქალაქის გაზმომარაგების სრული სქემა არ აღდგება და "იტერასადმი" "თბილგაზის" დავალიანებაც შედარებით ნელი ტემპით მოიმატებს.

კულუარებში საუბრობენ, რომ "ახალი მენეჯმენტის" "თბილგაზში" შესვლა მხოლოდ "გაზპრომთან" ურთიერთობის გარკვევის შემდეგ არის მოსალოდნელი. "გაზპრომის" მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის შემოთავაზებული ტარიფი უნდა იქცეს იმის გარანტიად, რომ "ახალი მენეჯმენტი" "თბილგაზის" მართვას ახლანდელი – ექსპერტთა მიერ არარენტაბელურად აღიარებული ტარიფითაც მოახერხებს. წინააღმდეგ შემთხვევაში "ახალ მენეჯმენტს" მოუწევს, პარლამენტისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე გაზზე შეღავათების დაწესების მოთხოვნით წარსდგეს.

როგორც "24 საათს" ანონიმურმა წყარომ აცნობა, არსებობს შეთანხმება "ახალი მენეჯმენტის" "მამობილ" საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს ირაკლი გოცირიძესა და "გაზპრომს" შორის, რომლის თანახმადაც გოცირიძე "გაზპრომთან" ერთობლივად თბილისის კომუნალური მომსახურების ბაზრის ათვისებასაც გეგმავს. წყაროს ცნობით, ამ საკითხზე "ახალ მენეჯმენტს" უკვე ჰქონდა მოლაპარაკებები თბილისის წყალგაყვანილობის ამჟამინდელ მენეჯერთან "ჟენერალ დეზ ო"-სთან.

ამავე წყაროს ცნობით, "თბილგაზის" ქსელის მომსახურების მიზნით, "ახალი მენეჯმენტი" თურქეთიდან პლასტმასის მილების მინი-ქარხნის ჩამოტანასაც აპირებს, რომლის პროდუქციაც არა მხოლოდ "თბილგაზს", არამედ "თბილწყალკანალსაც" გამოადგება.

ვისია "თელასის" მეოთხედი?

პირველი გვერდიდან

მაშინ ქონების მართვის ჯერ კიდევ მოქმედმა სამინისტრომ და მერიამ ეს ორგანიზაცია ერთმანეთს მანამდე აჩეჩეს, სანამ საქმეში პრეზიდენტი არ ჩაერია და "თბილგაზის" მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემა საკუთარი ბრძანებულებით არ დაადასტურა. სწორედ ამ ბრძანებულების მიღების შემდეგ იკადრა ქონების მართვის სამინისტრომ და მის ხელთ არსებული "თბილგაზის" აქციათა პაკეტი მერიას გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო საუბრებში "თელასი" დღემდე მუდამ მუნიციპალურ საკუთრებად სახელდებოდა, მისი აქციები დღემდე ქონების მართვის უწყების განკარგულებაშია, რადგან პრეზიდენტის არავითარი დადგენილება მერიისათვის გადაცემის თაობაზე, ჯერჯერობით, არ გამოსულა. ამდენად, "რაო ეეს როსსიის" მფლობელობაში "თელასის" აქციათა საკონტროლო პაკეტის გადასვლის შემთხვევაში, რუსული ენერგოგიგანტის თანამონილე ცენტრალური ხელისუფლება იქნება.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მერია "თელასის" აქციების 25 პროცენტის მფლობელობას უარყოფს.

სავარაუდოდ, "თელასის" აქციათა რუსეთისათვის მიყიდვის საკითხი განიხილება "რაო ეეს როსსიის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი ჩუბაისის თბილისში ვიზიტისას, რომელიც 6 აგვისტოსთვის იგეგმება. დაგეგმილია ჩუბაისის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან. "რაო ეეს როსსიის" სათავო ოფისში აცხადებენ, რომ კომპანიას საქართველოში სტრატეგიული ინტერესები გააჩნია და ის მსხვილი ენერგოობიექტების შესყიდვის საკითხს განიხილავს, რადგან საქართველოს გავლით ელექტროენერგიის თურქეთსა და აზერბაიჯანში ტრანსპორტირება სურს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

ნიუ იორკი. გაერო-ს უშიშროების საბჭო გუშინ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხს განიხილავდა. განხილვის შედეგები დღეს იქნება ცნობილი. საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის მონაცემებით, სხდომაზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების სახელით, საქართველოს ელჩი გაერო-ში რეზო ადამია გამოვიდა. აფხაზეთის საკითხზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე წინასწარ საუბრისგან კაკაბაძემ ამ ეტაპზე თავი შეიკავა. "ჯერჯერობით, ქართული მხარისათვის ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ გაერო-ს მიდგომა აფხაზეთის სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში განხილვის თაობაზე შენარჩუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური პროცესი თავის მდგრადობას ინარჩუნებს," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ალექსნადრ ევტეევმა არ დაადასტურა ინფორმაცია კოდორის ხეობაში საბრძოლო მასალების გადასროლის შესახებ.

"აფხაზური მხარის მიერ კონტროლირებად ხეობის ქვემო ნაწილში დისლოცირებული სამშვიდობოების პოსტებს სამხედრო მოსამსახურეების მიერ იარაღის გადატანის არავითარი ფაქტი არ დაუფიქსირებიათ. რაც შეეხება ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ხეობის ზემო ნაწილს, ეს ტერიტორია სამშვიდობოების პასუხისმგებლობის ზონაში არ შედის და სარდლობა იქ არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს," - განაცხადა გენერალმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი სოჭსა და სოხუმს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენას "რუსეთის მიერ თავის პორტებში პირატული გემის შეშვებად" აფასებს. "26 ივლისს აფხაზური სასეირნო კატერის გაშვება ავანტიურა იყო," - განაცხადა გუშინ მენაღარიშვილმა. მან იმედი გამოთქვა, რომ ამგვარ ავანტიურას გაგრძელება არ ექნება. რაც შეეხება სოხუმთან მდებარე ბაბუშერის აეროპორტის აღდგენის შესაძლებლობას, მენაღარიშვილის თქმით, აეროპორტის აღდგენა "შესაძლოა, ბევრს სურდეს", მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, აფხაზეთის საჰაერო სივრცე დახურულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. უზენაესმა სასამართლომ გუშინ გააუქმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჯემალ გამახარიას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნა.

ჯემალ გამახარია სასამართლოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის წინააღმდეგ იბრძვის და მისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს. გამახარია შეურაცხყოფილია თამაზ ნადარეიშვილის იმ განცხადებებით, რომლებიც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ მასმედიის საშუალებით გააკეთა და გამახარია აფხაზეთის უკანონო ხელისუფლებასთან აღიანში დაადანაშაულა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საზღვაო ძალების ოთხი სარაკეტო ხომალდი და მათი ეკიპაჟის წევრები, სარდლის მოადგილის, მეორე რანგის კაპიტნის ზაზა ერქვანიას ხელმძღვანელობით, 31 ივლისიდან 29 აგვისტომდე მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო მრავალეროვნულ სწავლებებში "ბლექს ეფორთ-2003". თავდაპირველად სწავლებებში ჩაერთვება სარაკეტო ხომალდი "თბილისი", ნოვოროსიისკთან კი მათ კიდევ სამი ქართული ხომალდი - "ახმეტა", "ქუთაისი" და "წყალტუბო" შეუერთდებიან. როგორც საზღვაო ძალების სარდალმა, ადმირალმა გიგლა ირემაძემ განაცხადა, სწავლებებზე, რომელშიც ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, საჰაერო თავდაცვისა და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების გეგმა დამუშავდება.**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ცხინვალი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი სვიატოსლავ ნაბზდოროვი ამჟამად მოსკოვში იმყოფება. ცხინვალიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, იგი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში კონფლიქტის ზონაში ახალი სარდლის გამოგზავნის შესახებ კონსულტაციებს მართავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, ასლან აბაშიძე "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" მიერ მომავალი საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტირების საკითხს რეგიონის მოსახლეობასთან შეათანხმებს. როგორც ასლან აბაშიძის პრესსამსახურის უფროსმა თამაზ ბაკურიძემ განაცხადა, რეგიონის მეთაური, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი მეორე და მესამე მოსმენით საარჩევნო კოდექსის ცვლილებებს მიიღებს, რეფერენდუმს ჩაატარებს და გაარკვევს მოსახლეობის აზრს - "ღირს თუ არა ისეთ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, რომელიც გაყალბებისთვის არის განწირული, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისია სრულად ხელისუფლების მიერაა დაკომპლექტებული".

ბაკურიძის განცხადებით, კენჭისყრების შემდეგ, ასლან აბაშიძე "აღორძინების" ლიდერებთან შეხვედრას და ბოიკოტის საკითხის ერთად განხილვას გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ზუგდიდში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ქალაქში მცხოვრებ გელოვანების ოჯახს თავს სამი შეიარაღებული ნიღბიანი დაესხა. დამნაშავეებმა 500 ლარი და სამი ფიჭური ტელეფონის გატაცება მოახერხეს. ამჯერად თავდასხმა უმსხვერპლოდ დასრულდა, რადგან ოჯახის წევრებს ყაჩაღებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. **მედია-ნიუსი**

ჰეიკი ტალვიტიე მოვალეობის შესრულებას შეუდგა

გუშინ საქართველოში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჰეიკი ტალვიტიემ პირველი შეხვედრები გამართა ახალი სტატუსით.

იგი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს.

როგორც თავად ტალვიტიემ ჟურნალისტებს განუცხადა, საუბრის ძირითადი თემა მომავალი საპარლამენტო არჩევნები და მისთვის მზადება იყო.

ტალვიტიეს თქმით, საქართველოს სურს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება და მის ამ სურვილს ევროკავშირიც უჭერს მხარს.

"მზად ვართ და შეგვიძლია, მოგცეთ ზოგადი და დეტალური რჩევები ამ მიმართულებით," - აღნიშნა მან.

რაც შეეხება კონფლიქტების თემას, როგორც ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, სამხედრო სფერო მის მანდატში არ შედის, თუმცა, ის ითვალისწინებს დახმარებას გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფისათვის.

24 საათი

ირაკლი ლუკავიანის ფოტო

ევროკავშირის ახალი წარმომადგენელი მუშაობას არჩევნების თემით იწყებს.

აპოკალიფსი პარლამენტში

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲣᲙᲐᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

გამყრელიძის მტკიცებით, არსებობს გარიგება, რომ საარჩევნო კომისიები მთლიანად, ორი მესამედი უმრავლესობით, ხელისუფლების მხარდამჭერმა ძალებმა, "აღორძინებამ" და "მრეწველებმა" გააკონტროლონ. ამავე გარიგებაზე საუბრობს აგრეთვე "გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელი ზურაბ ჟვანია.

მისი განცხადებით, ის კანონპროექტი, რომელიც პირველი მოსმენით მიღებული დოკუმენტის ჩასანაცვლებლად ფრაქცია "XXI საუკუნის" სახელით წარმოადგინეს, სხვა არაფერია, თუ არა ცრუ ალტერნატივა, რომელიც ვიტალი ხაზარაძის გარდამავალი დროშასავით გადადის ბეიკერის ვარიანტის ჩაგდების მოსურნე ფრაქციებს შორის. "ვითომ ალატერნატივას" ვიტალი ხაზარაძის "შთაგონების" ნაყოფად ნათლავენ "ახალი მემარჯვენეებიც".

"ალტერნატივასთან" დაკავშირებით თავის გაოცებას ვერ მალავს "ნაციონალების" წევრი ნოდარ გრიგალაშვილი: **"კი მაგრამ, პირველი მოსმენით რა გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტმა? 9+5+1 რომ თხუთმეტია, მხოლოდ ეს დაადასტურა? განა, არ გადავწყვიტეთ, რომ საარჩევნო კომისიები პარიტეტულ საწყისებზე უნდა დაკომპლექტდეს? თუ პირველი მოსმენით ამაზე შევთანხმდით, რა უფლებით უნდა ვუყაროთ კენჭი კანონპროექტს, რომელიც ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება?"**

მაგრამ ამ დროს კანონს და რეგლამენტს ვინ უყურებდა? უმრავლესობა-"აღორძინების" ალიანსმა ჩათვალა, რომ უპირატესობა მის ხელში იყო და... მუქარაზე გადავიდა.

"თუ ალტერნატივას კენჭისყრაზე არ დააყენებთ, ამ შენობასთან 50 ათას კაცს მოვიყვანთ. მთელ საქართველოში მოვაწყობთ არჩევნების ბოიკოტს," - თვალებს აბრიალებდა ჯემალ გამახარია, რომელსაც კვერს უკრავდა სანდრო ბრეგაძე. ამ უკანასკნელმა ღამის პირველი საათისთვის ძალთა ისეთი მოზღვავება იგრძნო, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს იმპიჩმენტითაც კი დაემუქრა.

როდესაც რიგგარეშე სესიაზე დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო გადწყვეტილება, საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქმის კურსში პრეზიდენტი შევარდნაძე ჩაეყენებინა, რამაც სამთავრობო ფრაქციების წევრთა აშკარა გაღიზიანება გამოიწვია. თუმცა, მათ შეშფოთებას საფუძველი არ ჰქონდა: შევარდნაძემ საქმეში "გასვლა" არ ისურვა. ზურაბ ჟვანიას თქმით, მან პილატეს პოზა მიიღო და ხელები დაიბანა.

ასეთ პირობებში ნინო ბურჯანაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია სხდომის შეწყვეტა. **"მე მინდა, ქვეყანას თავიდან ავაცილო სერიოზული კრიზისი,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ მისი მოწოდება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ ყურად არ იღო.

უმრავლესობა-"აღორძინების" ალიანსი, თითქოს, ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ როგორც ეს ბოლო ხანებში არაერთხელ მომხდარა, სიტუაცია უეცრად მეყსეულად შეიცვალა. არაოფიციალურად შექმნილი ალიანსის წევრებს თავზარი დაეცათ, როდესაც სხდომათა დარბაზის ტაბლოს შეხედეს: რეგისტრაცია მხოლოდ 124-მა დეპუტატმა გაიარა, რაც, 118-კაციანი კვორუმის პირობებში, კენჭისყრაზე დაყენებული კანონპროექტის ჩასაგდებად გაწირვას ნიშნავდა, - რეგლამენტის მიხედვით კი, კენჭისყრაზე პირველად "ალტერნატიული" ვარიანტი უნდა დამდგარიყო.

ასეთ ვითარებაში, თითქოს ფრაქცია "XXI საუკუნის" მიერ წარმოდგენილი "ალტერნატივა" კენჭისყრიდან მოხსნა... ვიტალი ხაზარაძემ. ამით საბოლოოდ გაიფანტა ეჭვი "ალტერნატივის" წარმომავლობის შესახებ და ნათლად წარმოაჩინა ის ფარული კავშირები, რომელიც უმრავლესობას (ვიტალი ხაზარაძე) და ბათუმურ ბლოკს ("XXI საუკუნე") შორის არსებობს.

ღამის ორი საათიდან შვიდმა ოპოზიციურმა ფრაქციამ, შესვენებების გამოყენების გზით, სხდომის გაწელვის ტაქტიკას მიმართა: მათი კანონპროექტის მეორე მოსმენით ჩავარდნის შემთხვევაშიც კი, რეგლამენტის მიხედვით, მისი კენჭისყრაზე დაყენება ისევ შეიძლება. "შვიდეულს", შესვენებების აღებაში, მოილდნელად, "აღორძინებამაც" აუბა მხარი და ამასობაში... პარლამენტის შენობას პირველმა ტოროლამაც გადაუფრინა.

თვალთმაქცობის ლოგიკა

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲣᲙᲐᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ოფიციალური მოსკოვი, ჯერჯერობით, ამ პროცესის პოლიტიკური შეფასებებისაგან თავს იკავებს. "რაო-ეეს"-ში ჟურნალისტებს ისიც აგრძნობინეს, რომ ჩუბაისი შორს არის ელექტროენერგეტიკული პროექტების პოლიტიზირებისა და კრემლისაგან პოლიტიკური შეკვეთის მიღების შესრულებისაგან.

საგულისხმოა, რომ რუსი ეკონომისტების მოსაზრებაც, ამ შემთხვევაში, კრემლის პოზიციას ასახავს. ასე მაგალითად, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საანგარიშო პალატის უფროსმა **სერგეი სტეპაშინმა,** ჩვენი თხოვნით, კომენტარი გაუკეთა "რაო-ეეს"-ის ქართული ინტერესების გამო თბილისში შექმნილ აჟიოტაჟს: **"აფხაზეთის ფაქტორის გამო, საქართველო-რუსეთის ვირტუალურ დაპირისპირებას სერიოზული საფუძველი არ აქვს. არსებობს სოჭში ორი სახელმწიფოს პრეზიდენტის აბსოლუტურად გამჭირვალე შეთანხმება აფხაზეთის კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე. პრეზიდენტების გადაწყვეტილება კი უნდა შესრულდეს. მითუმეტეს, რომ ამ პროექტის განხორციელებით მოგებული რჩება ყველა მხარე. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთის ეკონომიკური გაჯანსაღება პირდაპირი გზაა პოლიტიკური დარეგულირებისკენ, რასაც მხარეებმა ათი წლის განმავლობაში თავი ვერ გაართვეს."**

ბუნებრივია ისიც, რომ საქართველოში რუსეთის უმსხვილესი ენერგომონოპოლისტების, "გაზპრომისა" და "რაო-ეეს"-ის გააქტიურებაზე პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციაში ცალსახა დამოკიდებულებაა - პოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირების გზა ეკონომიკური აღმავლობით უნდა დაიწყოს. ასეთ პოზიციაში პუტინის ადმინისტრაციის უფროსს სერგეი პრიხოდკოს ეთანხმება აფხაზეთის პრემიერი რაულ ხაჯიმბა და არ ეთანხმება საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ბატონი თედო ჯაფარიძე, რომელმაც მოსკოვში ყოფნისას სწორედ პუტინის ადმინისტრაციაში ვიზიტის შემდეგ განაცხადა, რომ **"მოსკოვთან ურთიერთობები გადასახედია".**

სამაგიეროდ მოსკოვმა უკეთესი მოსაუბრე მოძებნა, რომელიც კრემლთან უნაყოფო პოლემიკის ნაცვლად პრაგმატულ გზას ირჩევს. ცხადია, რომ კრემლის ადმინისტრაციას დღეს აფხაზებთან დიალოგი ურჩევნია და ყველაფერს იღონებს, თბილისზე ზეწოლით მომგებიან პროექტებს გამოჰკრას ხელი. რუს ექსპერტებთან გასაუბრებაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ საამისოდ კრემლს თბილისის ჩუმი თანხმობა უკვე მიღებული აქვს.

ქალაქ თბილისის მერის მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი

დაგვეთანხმებით, ძნელია რიგითობით მიუდგე საქართველოში რეალურად არსებულ პრობლემათა სპექტრს და უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული სოციალურ პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ფონზე (რომ არაფერი ვთქვათ ღირებულებებისა და მიდგომების ტრანსფორმაციაზე) ცალსახად მიანიჭო პირველხარისხოვანი ან მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა რომელიმე საჭირბოროტო საკითხს და განაცხადო აი, აქედან დავიწყოთ!.. და რაც არ უნდა განაცხადო, ანუ რაც არ უნდა მოიფიქრო, შეუძლებელია არსებულ რეალობაში არ შეეჯახო წინააღმდეგობათა კასკადს ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გასაოცარი სინთეზის, მართვის ახალი და მოძველებული მეთოდოლოგიის ჭიდილის სახით. რამდენადაც რთული არ უნდა გვეჩვენებოდეს პრობლემად ქცეული საკითხების გადაჭრა, სწორი მიდგომისა და ერთიანი ძალისხმევის შედეგად ადამიანებს ნებისმიერი სირთულის დაძლევა ძალუძთ. ხოლო როცა ლაპარაკია არა ჩვეულებრივი შესაძლებლობების ადამიანებზე, არამედ მათზე, ვისაც მართვის რეალური ბერკეტები გვიპყრია ხელთ და ვინც ქვეყნის მოსახლეობას ნდობის მანდატის ფლობის უპირატესობით დაუჯილდოვებია, ვფიქრობთ ორმაგად დიდია იმ კონკრეტული და თუნდაც დამატებითი ღონისძიებების გატარების ალბათობა, რაზეც ამჟღერად ქალაქ თბილისის მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების რიტმია დამოკიდებული.

ძვირფასო პარლამენტარებო, მოგმართავთ თქვენდამი ნდობით გამსჭვალული თბილისელების სახელით, რათა სტატისა და დროის ერთობლივი ნამოქმედარის გამოსწორება დედაქალაქის დაზიანებული ქუჩების, გზების, მოედნებისა და მაგისტრალების სახით ამჟერად სწორედ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. თბილისის მაჟორიტარ დეპუტატთა საკუთარი ამომრჩეველების წინაშე პასუხისმგებლობის ხარისხი და მთლიანად საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა კეთილი ნება საკმარისია ქალაქ თბილისის ცენტრალური მაგისტრალებისა და სხვა მეორეხარისხოვანი ქუჩების მწყობრში მოსაყვანად.

ჩვენ მოსახლეობას სიმართლე უნდა ვუთხრათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მიწისძვრის შედეგად დედაქალაქისათვის მიყენებული ზარალის ერთბაშად რეაბილიტაციისათვის საკმარისი თანხები ქვეყნისა და დედაქალაქის ბიუჯეტს არ გააჩნია. ინვესტორების მოზიდვის პროცესი რეალურია და ამ მხრივ ქალაქის მთავრობა წარმატებულ მოლაპარაკებას აწარმოებს, მაგრამ ფაქტია, რომ უცხოელ პარტნიორებთან ხელშეკრულებების გაფორმების დასრულება დროში გაწელილი პროცესია და ჩვენ არ ვიქნებით მართლები, თუ არ გამოვიყენებთ ჩვენი დედაქალაქის მდგომარეობას გამოსწორების ერთი შეხედვით უმნიშვნელო რეზერვსაც კი. დაგვეთანხმებით, სამართლიანია იმ ადამიანთა პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ, რომლებიც ავტომფლობელთა და სხვა საგზაო გადასახადებს კეთილსინდისიერად იხდიან და სამართლიანადვე მოითხოვენ გამართულ საავტომობილო გზებს. ლოგიკური იქნება, სატრანზიტო ტრანსპორტის სამოძრაოდ გამოყენებული და ამის შედეგად სერიოზულად დაზიანებული თბილისის გზების შეკეთებით სამუშაოებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოიყენოს თბილისიდან ერთი წლის განმავლობაში შესული თანხების მცირედი ნაწილი თბილისელი ავტომფლობელების მიერ გადახდილი თანხების თუნდაც 50% და თბილისში აგრეფილი საავტომობილო გზების გადასახადის არანაკლებ 20%-სა ქალაქის გზებს მოხმარდეს.

ვიმედოვნებთ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, რომლის თანადგომის არაერთი პრეცენდენტის მოყვანა შემიძლია და საქართველოს პარლამენტი მიიღებს ერთსულოვან გადაწყვეტილებას, რაც მოგვცემს თბილისის საავტომობილო გზების შეკეთებისათვის აუცილებელი თანხების მობილიზების შესაძლებლობას ადგილობრივ ბიუჯეტში.

იმედი მაქვს საქართველოს დედაქალაქისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი არ იქცევა პოლიტიკური ანგარიშებისა და წინასაარჩევნო დივიდენდების მოპოვების საბაბად.

ვანო ზოდელავა
ქალაქ თბილისის მერი

არასასურველი საკანონმდებლო ინიციატივა შეჩერებულია

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აღნიშნული საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ქართული მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და საქართველოს პარლამენტის ბიუროს, გასულ კვირას, მიმართვა გაუგზავნეს. გუშინ კი შედგა შეხვედრა ნინო ბურჯანაძესთან და კანონპროექტის ინიციატორთან – დეპუტატ რეზო არველაძესთან.

შეხვედრის შედეგი მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ: როგორც ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რევაზ არველაძემ დაინახა, რომ თავისუფალი პრესის წარმომადგენლები და არასამთავრობოები ამ კანონპროექტს სიტყვის თავისუფლების შესაზღუდად მექანიზმად მიიჩნევენ. ამიტომ დეპუტატმა კანონპროექტის განხილვიდან მოხსნა გადაწყვიტა. შედეგად, კანონპროექტი მეორე და მესამე მოსმენით კენჭისყრაზე აღარ დადგება.

24 საათი

ეუთო „ქვედა დონის" კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნაზე უარს ამბობს

ბეიკერის ფორმულის ერთ-ერთი სუბიექტი – ეუთო აქტიურ მოქმედებას იწყებს. სახელმწიფო კანცელარიაში გამართული შეხვედრების შემდეგ, სადაც ეუთო-ს წარმომადგენელმა შევარდნაძეს თავმჯდომარის შერჩევის პრინციპი გააცნო, გუშინ შეხვედრა გამართა პარლამენტში.

ეუთოს მისიის ხელმძღვანელობა პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელთან, ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელთან და ფრაქციათა ლიდერებთან სტუმრობდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

შეხვედრის შემდეგ ქართველმა პარლამენტარებმა განაცხადეს, რომ ეუთო თანახმაა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შერჩევაში მონაწილეობა მიიღოს. სპეციალურად ამ მიზნით შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელშიც შევლენ ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი შეარჩევენ ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელსაც შემდეგ პრეზიდენტი დანიშნავს.

შეგახსენებთ, რომ ჯეიმს ბეიკერის მიერ შემოთავაზებული პრინციპების თანახმად, 15-კაციან ცესკოში 5 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, 9-ს - ოპოზიცია, ხოლო თავმჯდომარეს ნიშნავს ეუთო, არაპოლიტიზებულ მოღვაწეთაგან.

აღსანიშნავია, რომ ეუთო უარს აცხადებს საოლქო და საუბნო კომისიების თავმჯდომარეთა დანიშვნაზე და ამბობს, რომ ცესკო-ს თავმჯდომარის დანიშვნის შემდეგ მას უნდა მიენიჭოს ქვედა დონის ხელმძღვანელების დანიშვნის უფლებამოსილება.

გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი და ფრაქციების ლიდერები ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებს ცესკო-ს თავმჯდომარის დანიშვნის ვადებზეც შეუთანხმდნენ. ახალი საარჩევნო კოდექსის ამოქმედებიდან სამი დღის ვადაში, ოპოზიცია და სახელისუფლებო ბლოკი ცესკო-ს მთლიან შემადგენლობას დააკომპლექტებენ, ხოლო 10 დღის ვადაში ეუთო კომისიის თავმჯდომარის საკუთარ კანდიდატურას წარადგენს.

პრეზიდენტი სასამართლოებზე ზეწოლით იმუქრება

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შევარდნაძემ, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებების გამოც უკმაყოფილება გამოხატა. როგორც ცნობილია, რამდენიმე რაიონში სასამართლოებმა პენსიონერთა სარჩელი დააკმაყოფილეს და მთავრობას ძველი საპენსიო დავალიანებების გადახდა დააკისრეს. ედუარდ შევარდნაძე შეშფოთებულია, რომ ამგვარი პრეცედენტი შეიქმნა. ამიტომ, მან მოუწოდა მთავრობის წევრებს, რომ გადაწყვეტილებები ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გაასაჩივრონ. პრეზიდენტმა ასევე ღიად განაცხადა, რომ თუ საჭირო გახდება, მოსამართლეებზე ზეწოლას განახორციელებს. **"ეს მოსამართლეები ჩემი დანიშნულები არიან და მორალური უფლება მაქვს მოვთხოვო მათ, კანონის თანახმად იმოქმედონ,"** - იმუქრება პრეზიდენტი.

პრეზიდენტი შევარდნაძე "ახალი მემარჯვენეების" წინაარჩევნო სარეკლამო რგოლსაც გამოეხმაურა. **"მოგვეცით 900 დღე და ჩვენც გავაკეთებთ საქმეს!"** - თქვა პრეზიდენტმა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, ვინ უნდა დაუწესოს მას სამოქმედოდ გარკვეული ვადები.

დღეს მთავრობის სხდომაზე ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზებზე იმსჯელებენ. პრეზიდენტის განცხადებით, ყველა სოფელსა და რაიონში უზარმაზარი რეზერვებია, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ უნდა აამოქმედოს. ჯერჯერობით, პრეზიდენტს ხელი არ მოუწერია 2003 წლის ბიუჯეტის კორექტირების გეგმაზე, რომელსაც უკვე სამ კვირაზე მეტია განიხილავენ მთავრობაში. ბოლო მონაცემებით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 88 მილიონი ლარით შემცირდება, ხოლო საშემოსავლო ნაწილი 51 მილიონი ლარით გაიზრდება. ამ ღონისძიებებით, ფინანსთა სამინისტრო 149-მილიონიანი დეფიციტის დაძლევას შეეცდება, თუმცა, მანამდე ბიუჯეტის კორექტირების გეგმა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

მოკლედ

ზუგდიდელმა "დემოკრატებმა" რაიონის გამგეობასთან აქცია გამართეს

ზუგდიდელმა "დემოკრატებმა" გუშინ რაიონის გამგეობის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები რაიონისთვის ელექტრომომარაგების აღდგენას მოითხოვენ. ქალაქის პოლიციამ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბეჟან გუნავასა და მის თანამოაზრეებს გზა გადაუკეტა. პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ აქცია არასანქცირებულია და, შესაბამისად, კანონს ეწინააღმდეგება. თავის მხრივ, გუნავამ მოუწოდა პოლიციელებს, "არ ემსახურონ ხელისუფლებას, რომელიც მათ ხელფასს არ აძლევს". ადგილობრივი ხელისუფლება აქციას, ჯერჯერობით, არ გამოხმაურებია. **ინტერ-პრესი**

ხაჭიმბა ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვაზე თითქმის თანახმაა

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრემიერი რაულ ხაჯიმბა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბოლო პერიოდის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ჟენევაში 21-22 ივლისს გამართულ მოლაპარაკებებს მიიჩნევს. ჟენევის ფორმატით გამართულ შეხვედრაში კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილების მიზანი ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვაზე სეპარატისტთა დათანხმება იყო. მართალია, ხაჯიმბას ღიად არ უთქვამს, რომ თანახმაა განიხილოს დაპირისპირებულ მხარეთა შორის უფლებამოსილებათა და კომპეტენციათა გამიჯვნისა და სტატუსის საკითხი, მაგრამ აუცილებლად მიიჩნევს ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიების მოლაპარაკებათა განახლებას. ქართველი ექსპერტების ვარაუდით, ქართველებისადმი ხაჯიმბას ლოიალობა მის "საპრეზიდენტო" ამბიციებს უკავშირდება. **მედია-ნიუსი**

ბასილ მკალავიშვილის ძებნა, შესაძლოა, ინტერპოლმაც დაიწყოს

ე. წ. გლდანის ეპარქიის პრესსამსახურის განცხადებით, შსს-ს მიერ ძებნილმა ბასილ მკალავიშვილმა საქართველოს საზღვრები დატოვა და იმ დროს, როცა მას ქართველი სამართალდამცველები ეძებდნენ, ის ავსტრიაში, რუმინეთსა და საბერძნეთში მოგზაურობდა. "ეს ინფორმაცია, - აცხადებს შს მინისტრის პრესმდივანი პაატა გომელაური, - ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული. ის, რომ მამა ბასილის მრევლი მას ავრცელებს, არაფერს ნიშნავს. ეს შეიძლება სამართალდამცველების ყურადღების მოსადუნებლად კეთდება, რათა აქცენტი მკალავიშვილის საქართველოს ფარგლებს გარეთ ძებნაზე გადაიტანონ." მისივე თქმით, თუ დადასტურება ინფორმაცია, რომ ბასილ მკალავიშვილი საზღვარგარეთ იმყოფება, ისინი დასახმარებლად ინტერპოლს მიმართავენ. **მედია-ნიუსი**

ადამიანი ცხვრების ნაცვლად გაიტაცეს

ახმეტის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ დუისში მცხოვრები გურამ მაჩალიკაშვილი დააკავეს. მაჩალიკაშვილს თელავის რაიონის პროკურატურა სამი წლის განმავლობაში ადამიანის გატაცებისთვის ეძებდა.

გამოძიების მასალების თანახმად, თელავში მცხოვრებ ნოდარ ბუიშვილს ყარაჯალელი ველიევის 200 ცხვარი ჰყავდა, რომელსაც წლების განმავლობაში არ უბრუნებდა. ველიევმა ცხვრების დაბრუნებაში დახმარებლად დუისელ გურამ მაჩალიკაშვილს, მის ბიძაშვილს გოჩა მაჩალიკაშვილს, გურამ გაურგაშვილს და ჩეჩენ ხოჯე ადამს მიმართა. შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში მეგობრებმა ბუიშვილი გაიტაცეს. გატაცებულის ახლობლებმა გატაცებიდან მეშვიდე დღეს ველიევს კუთვნილი ცხვრები მიუყვანეს და მძევალიც ასე გაათავისუფლეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თელავის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ორი გამტაცებელი – გოჩა მაჩალიკაშვილი და გურამ გაურგაშვილი მაშინვე დააპატიმრეს კიდეც. ისინი დღესაც სასჯელს იხდიან. გურამ მაჩალიკაშვილი კი, როგორც ახმეტის რაიონის პოლიციის უფროსი ლევან შაშიაშვილი ირწმუნება, ამ ხნის განმავლობაში მთას აფარებდა თავს და იგი გუშინ, სპეციოპერაციის შედეგად, დუისში დაპატიმრეს. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე დღის განმავლობაში პოლიცია ძებნილთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და საბოლოოდ იგი საკუთარი ნებით ჩაბარდა. რაც შეეხება ჩეჩენ ხოჯე ადამს, იგი დღესაც იძებნება.

თელავის რაიონის პროკურორის ვაჟა მაღრაძის თქმით, მაჩალიკაშვილს ბრალი ადამიანის გატაცებაში თანამონაწილეობისთვის წარედგინა, თუმცა არესებობს ინფორმაცია, რომ მას ძებნის პერიოდში სხვა დანაშაულებიც აქვს ჩადენილი.

„კროკოს" მფარველ „კრიშას" პოლიცია საიდუმლოდ ინახავს

"ასეთ დანაშაულს როცა ჩადიან, მათ აუცილებლად "კრიშა" მფარველობთ", - განაცხადეს გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საქართველოს უმსხვილეს ტოტალიზატორ "კროკოსთან" დაკავშირებით.

საქართველოში ნებისმიერი ბიზნესის წარმატებულად ქცევა "კრიშების" გარეშე რომ არ გამოდის, ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებისთვის სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს. სიახლე თვით გამოძიების მიერ ამის აღიარება გახლავთ. სამაგიეროდ, არახალია, რომ სავარაუდო "მაღალი" მფარველების დასახელებისგან სამართალდამცველები თავს იკავებენ. ისინი ამჯერადაც ასე მოიქცნენ და პრესკონფერენციაზე მიწვეული ჟურნალისტები მხოლოდ იმით დააინტრიგეს, რომ "კროკოს" "კრიშები", შესაძლოა, ხელისუფლებაშიც მოიძებნონ. მოკლედ, გამოძიება, თურმე, ამ კუთხითაც მუშაობს და საქმის დასრულების შემდეგ "კროკოს" საქმეებში ჩარეული ყველა პირის ვინაობა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

"კროკოს" წინააღმდეგ აგორებული აჟიოტაჟის უკან ბევრი პოლიციის ანგარებით ინტერესებს ხედავს, ასევე მიიჩნევდა თავის დროზე "კროკოს" ხელმძღვანელობაც.

სამაგიეროდ, პოლიციაში წარმატებებს ითვლიან და ამბობენ, რომ "კროკოს" ირგვლივ ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული ფაქტები ბოლო პერიოდში სათამაშო ბიზნესში ეკონომიკური დანაშულის გამოვლინების მეოთხე შემთხვევაა.

სხვათა შორის, უშუალოდ "კროკოსთვის" მიძღვნილ პრესკონფერენციაზე პოლიცია საგადასახადო სამსახურსაც გადასწვდა. საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი განუგრავას თქმით, **"კროკოს" საქმიანობის დარღვევების შესახებ თავიდანვე უნდა ცოდნოდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგადასახადო სამსახურს, სადაც "კროკო" რეგისტრაციაშია გატარებული. რაიონის საგადასახადო სამსახურმა ყოველთვის იცის, რა ხდება მის რაიონში და, რომ ეს ულიცენზიოდ მუშაობდნენ და ბიუჯეტში ფულს არ იხდიდნენ, ეს დანაშული, პირველ რიგში, მათ უნდა გამოევლინათ."**

განუგრავას განცხადებით, ბოლო 15 თვის განმავლობაში, "კროკოს" 15 ფილიალს ბიუჯეტში შეტანილი აქვს მხოლოდ 18 885 ლარი. აქედან გამომდინარე, გუშინწინ დაპატიმრებულ "კროკოს" გენერალურ დირექტორს დიმიტრი აბესაძეს ბიუჯეტის სასარგებლოდ, საურავის გათვალისწინებით, 600 ათასი ლარის გადახდა მოუწევს.

აბესაძე 29 ივლისს, საღამოს, დაკითხვაზე მისული დააპატიმრეს. გუშინ მისთვის ბრალი უნდა წაეყენებინათ სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში; კერძოდ: უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა და გადასახადისთვის თავის არიდება. ბრალის წარდგენის შემდეგ სასამართლო მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს გადაწყვეტს.

24 საათი

ნადარეიშვილმა ბაღათურიასთან „ბრძოლაში" მეორედ გაიმარჯვა

რამდენიმე თვის წინ საოლქო სასამართლოში დამთავრებული თამაზ ნადარეიშვილის და ჯონდი ბაღათურიას სასამართლო დავა გუშინ უზენაეს სასამართლოში გაგრძელდა და კვლავ ბაღათურიას დამარცხებით დასრულდა.

ნადარეიშვილმა სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც ჯონდი ბაღათურიამ 2002 წლის 2 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე და „რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ნადარეიშვილს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერთან ვლადისლავ არძინბასთან ალიანსში, კორუფციაში, კონტრაბანდაში და სხვა მძიმე დანაშაულებში დასდო ბრალი. ბაღათურიამ პირდაპირ ეთერში ასევე განაცხადა, რომ თამაზ ნადარეიშვილი დევნილების ფულს ფლანგავს და საერთო ბიზნესი აქვს აფხაზებთან.

აღნიშნული "ბრალდებების" გამო, თავის დროზე საოლქო სასამართლომ ბაღათურიას ნადარეიშვილის სასარგებლოდ მასმედიის საშუალებით ბოდიშის მოხდა და 5 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, რაც ბაღათურიამ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ზემდგომმა სასამართლომ რამდენიმესაათიანი მსჯელობის შემდეგ არ დააკმაყოფილა ჯონდი ბაღათურიას მოთხოვნა და ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ბაღათურიამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს საჯაროდ ბოდიში უნდა მოუხადოს. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ ქვემდგომი კოლეგების გადაწყვეტილებაში კორექტირება მაინც მოახდინა და ბაღათურიას გადასახდელი თანხა გაუნახევრა.

"საწუხაროდ, დღეს საქართველოში ისეთი სიტუაციაა, რომ ყველას ყველაფრის თქმის უფლება აქვს. ისინი, ვისაც ცილს სწამებენ, მორალურად შეურაცხყოფილნი რჩებიან, "ბრალმდებლები" კი, ფაქტობრივად, დაუსჯელები არიან. სწორედ ამის გამო მივმართე სასამართლოს, რომ გარკვეულიყო, ვინ არის ჩვენ შორის მართალი - მე თუ ბაღათურია, და დამნაშავე დასჯილიყო. მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ვერც ბაღათურიამ და ვერც აღორძინების კავშირმა, ვის შეკვეთასაც მაშინ ბაღათურია ასრულებდა, ჩემს კორუმპირებულობაზე და დანაშაულებრივ საქმიანობაზე ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარადგინა. ამიტომ, მას ბოდიშის მოხდა და მატერიალური კომპენსაციის გადახდა დაეკისრა," – აღნიშნა ბაღათურიასთან ბრძოლაში ორგზის გამარჯვებულმა ნადარეიშვილმა, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ განახვევრებული თანხის პარტიზანებისთვის გადაცემას გეგმავს.

პატიმრების შიმშილობის შედეგები

პატიმრების მასობრივი შიმშილობის შემდეგ გენერალურ პროკურატურაში შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგად პატიმრობიდან გათავისუფლდა 31 პირი. ორი პატიმრის მიმართ უსაფუძვლობის გამო საქმე შეწყდა, 20 მსჯავრდებული ვადაზე ადრე გათავისუფლდა. ორი პატიმრის აღმკვეთი ღონისძიება შეიცვალა, ორის მიმართ საქმის გამოძიება განახლდა, ორ მსჯავრდებულს კი პირობითი სასჯელი შეეფარდა.

კომისიის ხელმძღვანელის, გენერალური პროკურორის მოადგილის ვენედი ბენიძის ინფორმაციით, კომისიაში სულ 208 საჩივარი შევიდა, მათგან 172 საქმე სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას ეხებოდა, რასაც კომისია ვერ განიხილავდა. ყოველ საჩივარზე კომისიამ, ბენიძის თქმით, მოტივირებული პასუხი გასცა.

პატიმართა საპროტესტო აქცია ქუთაისის საპყრობილეში დაიწყო. ერთი კვირის მანძილზე 2.366 პატიმარი შიმშილობდა. მსჯავრდებულთა ერთი ჯგუფის საქმეების გადასინჯვის მოთხოვნით, შიმშილობა მას შემდეგ შეწყდა, რაც გენერალურ პროკურატურაში პატიმართა პრეტენზიების განსახილველად სპეციალური კომისია შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ მოშიმშილეთა უმეტესობა აქციაში სხვა პატიმართა მიმართ სოლიდარობის ნიშნად მონაწილეობდა.

მიუნხენში მართლმადიდებლურ ეკლესიაში ლოცულობენ

გვანცა შონია
მიუნხენიდან

აქ, გერმანიაში ვიგრძენით ფესვები.

ნოსტალგიას ვერ გავუძლებდით, რომ არა, პატარა ნავსაყუდელი - მიუნხენის ვახტანგ გორგასლის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც 2001 წლის 10 თებერვალს დაარსდა და რომლის არსებობა დაკავშირებულია მამა ბასილ კობახიძესთან.

მამა ბასილი სტრასბურგიდან თვეში ერთხელ ჩამოდიოდა მიუნხენში და წირვას ატარებდა. დასანანი იქნებოდა, რომ მისი წასვლის შემდეგ არ გაგრძელებულიყო ამ საქმის კეთება. ისევ მამა ბასილის აქტიურობით და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მიუნხენის მართლმადიდებლურ ეკლესიას მამა მამუკა თავხელიძე მოევლინა წინამძღვრად.

საეკლესიო ცხოვრება უფრო გააქტიურდა. წირვა-ლოცვა ყოველკვირეული გახდა. შეიქმნა მგალობელთა ჯგუფი, რომელიც დღეს უკვე პროფესიონალურ დონეზე ასრულებს ქართულ საგალობლებს. ამ გუნდს ლოტბარი ნანა გობერია ხელმძღვანელობს.

აქ ყველა მართლმადიდებლური დღესასწაული აღინიშნება. მამა მამუკა, მშობლიურ სითბოს მოკლებულ ქართველთათვის, როგორც გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში აღავლენს წირვას და თითოეულ ქართველს ქრისტიანული ლოცვა-კურთხევით გვაყენებს სიყვარულის გზაზე.

მამა მამუკას ჩვენი ტკივილი გულთან მიაქვს. ის ეხმარება გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტობას, აქაური შენაწირების ყუთი ინკოგნიტოდ იგზავნება საქართველოში, ზრუნავს გერმანიაში სამკურნალოდ ჩამოყვანილ ავადმყოფებზე, ინათლებიან აქ დაბადებული პატარა ქართველები და არა მარტო ქართველები, ჯვარს იწერენ წყვილები.

სამწუხაროდ, ეკლესიას საკუთარი შენობა არ აქვს, მაგრამ როცა წირვას ვესწრებით, გვგონია ქაშუეთის ეკლესიის გუმბათი გვადგას თავზე და ვლოცულობთ.

გერმანულ-ქართული ურთიერთობის ისტორიაში მიუნხენის მართლმადიდებლური ეკლესია პირველი მერცხალია. მამა მამუკა თავხელიძე კი ჩვენი სულიერი მოძღვარი. მისი წყალობით გვეძლევა საშუალება სულიერად განვიწმინდოთ, ტკივილები დავიყუჩოთ, ყველა ქრისტიანულ დღესასწაულზე ვილოცოთ, სანთლები დავანთოთ და ერთმანეთს ომახიანად გადავძახოთ: ქრისტე აღსდგა!

„მწვანეები" ნაგვის ურნებს ითხოვენ

"სად მიდის იმდენი ფული, რაც დასუფთავების სამსახურებში ქალაქის ბიუჯეტიდან ირიცხება, ან ის სუბსიდიები, რასაც უცხოური ორგანიზაციები აგზავნიან და ან ის 10-20 თეთრი, გარე მოვაჭრეები რომ ყოველდღე იხდიან," – კითხულობენ "მწვანეები" და თბილისის კეთილმოწყობის სამსახურს ბაზრებსა და ბაზრობებზე ნაგვის ურნების დადგმას სთხოვენ.

მხოლოდ ერთ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კეთილმოწყობის სამსახურს ბიუჯეტიდან წელიწადში 1,5 მლნ-მდე ლარი გამოეყოფა. სამსახურის წარმომადგენლები ამას უსახსრობას ეძახიან და იმასაც განმარტავენ, თუ სად მიდის ეს ფული. ბაზრებსა და ბაზრობებზე ნაგვის კონტეინერებს თითქმის ყოველ თვე ვდგამთ, მაგრამ მოვაჭრეები იპარავენო, აცხადებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, თემურ ოქრომელიძე. რაც შეეხება მოვაჭრეების მიერ ვაჭრობის ადგილის დასუფთავებისთვის გადახდილ თანხას, როგორც თბილისის პოლიციის წარმომადგენელი გია ბუხრაშვილი აცხადებს, ეს არაოფიციალურად გადახდილი ფულია და სად მიდის, არავინ იცის.

"მწვანეებმა" გუშინდელ პრესკონფერენციაზე ქალაქის სისუფთავეზე პასუხისმგებელი უწყებები ანტისანიტარიის მიზეზების დასადგენად მიიწვიეს. თუმცა, ისედაც ყველამ იცის, რომ დამნაშავე ნაგვის ურნები არ არის.

24 საათი

ლეიბორისტები სახელმწიფოს კეთილი ნების გამოჩენისკენ მოუწოდებენ

ზაზა ფაჩუაშვილი

თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლეიბორისტული პარტიიდან სოსო შატბერაშვილი და მისი თანაპარტიელები დედაქალაქის მერს ვანო ზოდელავასა და პრემიერს გია შერაძეს სამეთვალყურეო საბჭოების დანიშვნის მონოპოლიზებაში ადანაშაულებენ და არჩევითობის პრინციპის დანერგვას მოითხოვენ.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

სოსო შატბერაშვილი: მოვითხოვთ არჩევითობას!

საქმე ეხება პოლიკლინიკებს – შპს-ებს 100 პროცენტიანი სახელმწიფო წილით, რომელთა საქმიანობას სამწევრიანი სამეთვალყურეო საბჭოები აკონტროლებენ.

შატბერაშვილის განცხადებით, 2001 წელს სამეწარმეო კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად დაწესებულებაში საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის უფლება აქვს. მისი თქმით, მერიის ხელმძღვანელობის მხრიდან ეს კანონი უკუღმა არის გაგებული და ზოდელავა თავად ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოებს, რომლებიც მისი ნების ბრმა შემსრულებლები არიან.

"შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ქცეულ პოლიკლინიკებში შექმნილმა სამეთვალყურეო საბჭოებმა მათი დამნიშნავი მერის და პრემიერის ინტერესების გატარება დაიწყეს და, საუბედუროდ, არაფერს აკეთებენ იქ მომუშავე ადამიანებისთვის. მთავარი ფუნქცია, რაც დანიშვნით ასეთ მართულ სამეთვალყურეო საბჭოებს აკისრიათ, არის პოლიკლინიკების ხელოვნურად დაცლა მედპერსონალისგან და შემდეგ ქონების გაყიდვა – გასხვისება," – აცხადებს შატბერაშვილი, რომელიც იქვე ხედავს გამოსავალსაც, დანიშვნის ალტერნატიულ გზას, - **"საქართველოს ლეიბორისტული პარტია აცხადებს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს – სამეთვალყურეო საბჭო და მისი თავმჯდომარე კოლექტივის საერთო კრებაზე აირჩიოს (აუცილებლობის შემთხვევაში გადაირჩიოს) მხოლოდ მედპერსონალმა, რის შემდეგ წარმოდგენილ კანდიდატურებს საკრებულოსთან შეთანხმებით ამტკიცებს ქალაქის მთავრობა."**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ლალი ებანოიძის განმარტებით, სამეთვალყურეო საბჭოებს ირჩევს არა კოლექტივის კრება, არამედ აქციონერთა საერთო კრება. ამიტომ პოლიკლინიკებში, რომელთა აქციების 100-პროცენტიანი მფლობელი სახელმწიფოა, ბუნებრივია, სამეთვალყურეო საბჭოსაც სახელმწიფო ნიშნავს. ებანოიძის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით კანონში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ამის მიუხედავად, ლეიბორისტები თავიანთი ალტერნატიული ვარიანტის საკრებულოს სხდომაზე გატანას აპირებენ და ამბობენ, რომ ამით სახელმწიფოს კეთილი ნების გამოხატვის საშუალებას აძლევენ. მათი აზრით, არჩევითობა არის დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოების კორუმპირებული რგოლის მოშლის ერთადერთი გზა.

სარჩელი ქვეყნის პრეზიდენტის, განათლების სამინისტროსა და თსუ რექტორის წინააღმდეგ

ამ გაზაფხულზე როინ მეტრეველის რექტორად მესამედ არჩევის პროცესმა ხმაურით ჩაიარა. სხვადასხვა სატელევიზიო არხები რამდენიმე დღის განმავლობაში ატრიალებდნენ კადრებს, სადაც ჟურნალისტები და სტუდენტები დარბაზში შეღწევას უშედეგოდ ცდილობდნენ. გარეთ დარჩენილმა სტუდენტებმა მაშინ განაცხადეს, რომ ამ არჩევნების შედეგს სასამართლოში გაასაჩივრებდნენ. ასეც მოიქცნენ.
დღეს თბილისის საოლქო სასამართლოში გაგრძელდება პროცესი, რომელზეც სტუდენტები თსუ რექტორის არჩევნების ბათილად ცნობას მოითხოვენ. მოპასუხე მხარეა ქვეყნის პრეზიდენტი, განათლების სამინისტრო და თავად რექტორი.

ვასიკო გაგუა

ამბობენ, რომ ამ სარჩელს მოსამართლეები ერთმანეთს ხელიდან ხელში ცხელი კარტოფილივით აჩეჩებდნენ. საქმისთვის ხელის მოკიდება არავის სურდა - ყველას ჰყავს ახლობელი, შვილი, შვილიშვილი, ან ნათესავი, რომელიც უნივერსიტეტში სწავლობს, ან ახლაა მოსაწყობი. თანაც, სარჩელი არა მარტო რექტორს, არამედ პრეზიდენტსა და განათლების სამინისტროსაც ეხება.

როგორც მოსარჩელე მხარე თვლის, რექტორის არჩევნების ბათილად ცნობის საფუძველია ის, რომ ეს არჩევნები არაუფლებამოსილმა რექტორმა დანიშნა: როინ მეტრეველი რექტორად პირველად 1992 წელს აირჩიეს. 1997 წელს კვლავ მოხდა მისი ხუთი წლით არჩევა, 1993 წლის დებულების საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ რექტორის შემდგომი არჩევნები 2002 წელს უნდა ჩატარებულიყო. 2001 წელს დებულება შეიცვალა. ამ დებულების მიხედვით, უნივერსიტეტი რექტორს ხუთი წლის ვადის მაგივრად, ექვსი წლით ირჩევს. მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს ექვსწლიანი უფლებამოსილება უნდა შეხებოდა ახლადარჩეულ რექტორს და არა 1997 წელს არჩეულს. აქედან გამომდინარე, რექტორის არჩევნების ერთი წლით გადადებას კანონიერი საფუძველი არ ჰქონია.

ალბათ, დაგაინტერესებთ, რატომ არის რიონ მეტრეველის გარდა მოპასუხე მხარე ქვეყნის პრეზიდენტი და განათლების სამინისტრო. როგორც სტუდენტები ამბობენ, არაუფლებამოსილი ორგანოა თავად ის დიდი საბჭოც, რომელმაც რექტორის არჩევნები ჩაატარა. 1997 წელს მიღებულ განათლების შესახებ კანონში, 23-ე მუხლის მიხედვით, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ორი სტრუქტურული ერთეული: სამეურვეო საბჭო, რომელიც ორიენტირებული იქნება სახსრების მოზიდვასა და მის რაციონალურად განკარგვაზე და სამეცნიერო საბჭო (პედაგოგიური საბჭო სკოლებისათვის), რომელიც სწავლისა და სამეცნიერო პროცესების შინაარსობრივ მხარეზე იზრუნებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი დაყოფა არ არსებობს. წესდებაში არ წერია, რომ დიდი საბჭო სამეცნიერო საბჭოა, არ არსებობს სამეურვეო საბჭოც. დიდ საბჭოს შეერთებულია აქვს ორივე ეს ფუნქცია. როდესაც პრეზიდენტმა 2001 წელს უნივერსიტეტის წესდება დაამტკიცა, მასში ეს ცვლილება არ ყოფილა შესული, მაშინ, როდესაც 1997 წელს მიღებული კანონის თანახმად, დებულებაში ეს ცვლილება იმავე წელს თუ არა, 1998 წელს მაინც უნდა შესულიყო. ამის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა არავის გახსენებია. სამაგიეროდ, დებულებაში ჩაიდო პრინციპი, რომლის მიხედვითაც, რექტორი შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე იქნას არჩეული. მართალია, ეს კანონს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ, თქმა არ უნდა, არადემოკრატიული პრინციპია.

სტუდენტები თვლიან, რომ როინ მეტრეველის ახლანდელი რექტორობა კიდევ ერთი რამის გამო არის უკანონო: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას სასამართლოში სარჩელის წარდგენა აჩერებს. როინ მეტრეველის რექტორად არჩევის ადმინისტრაციული აქტი სასამართლოში დიდი ხანია, წარდგენილიცაა, მიღებულიცაა და პროცესიც მიმდინარეობს.

სხვათაშორის, ამ ყოველივეს ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება: თუ რექტორი ახლა უნივერსიტეტს უკანონოდ ხელმძღვანელობს, ე.ი. კანონგარეშეა წლევანდელი მისაღები გამოცდების ჩატარების ბრძანებაც. შარშანდელი გამოცდების შედეგებისა თაობაზე კი სასამართლო პროცესი უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს.

Mercy Corps

btc

SCP
South Caucasus Pipeline

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ) არის **BP**-სა და მისი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (**BTC**) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (**SCP**) პროექტების მიერ დაფინანსებული ინიციატივა, რომლის დანიშნულებაა მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო და სოფლის მეურნეობის პროექტებისა თუ მიკრო-კრედიტების მეშვეობით.

ქვემო ქართლის რეგიონში პროგრამას ახორციელებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან (ელპახა, საერთაშორისო ფონდი კავკაზიო, საქართველოს ტექნიკური დახმარება, ფონდი კონსტანტა) შემდგარი კონსორციუმი, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია **Mercy Corps** ხელმძღვანელობს.

პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში და გაგრძელდება 2006 წლის თებერვლამდე.

სოფელი ახტაგალა



Ужо три года как администрация села Ахтагала обращается в различные инстанции с просьбой отремонтировать дорогу, ведущую в село. Ведь это единственная дорога, которая связывает село с районным центром. Но, к сожалению, все наши просьбы остаются без ответа. Дорога, которая ведет в Ахтагалу, была построена еще в 1970-х годах. Сейчас она находится в ужасном состоянии. Ее ремонтировали в 1998 году, но с тех пор прошло уже пять лет. Дорога вся в ямах, и проехать по ней очень трудно. Особенно в дождливую погоду. Машины часто застревают в грязи. Иногда приходится ждать помощи по несколько часов. Зимой, когда выпадает снег, дорога становится непроходимой. Тогда жители села вынуждены ходить в районный центр пешком. Это очень тяжело, особенно для стариков и детей. Ведь до ближайшей остановки общественного транспорта нужно идти несколько километров. Жители села неоднократно обращались в различные инстанции с просьбой отремонтировать дорогу. Но, к сожалению, все наши просьбы остаются без ответа. Мы надеемся, что наша газета поможет нам привлечь внимание к этой проблеме. Мы надеемся, что дорога будет отремонтирована в ближайшее время.

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ საარბრიუკენის გარემოს დაცვის მუნიციპალური სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გიუნტერ გიზელი და ამავე სამსახურის მოქმედი ხელმძღვანელი ელიზაბეტ შრაიტი. თბილისის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს მთავარი სპეციალისტის რიმა ზაზაშვილის ინფორმაციით, ვიზიტი გარემოს დაცვისა და ქალაქგეგმარების საკითხებს შეეხება და ორ დღეს გასტანს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ბავშვთა დახმარების ერთიანი სახელმწიფო სამოქმედო პროგრამის" განსახორციელებლად, რომელიც 2003-2007 წლისთვის საქართველოს მასშტაბით არის გათვალისწინებული, თბილისის მერიაში ვიცეპრემიერ კახა შენგელიას აპარატთან საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. საბჭოსთან პარიტეტულ საწყისებზე ითანამშრომლებენ დედაქალაქის მერიაში არსებული ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულოს დადგენილებას მუნიციპალური სკოლების დაფუძნების შესახებ დედაქალაქის მერიის იურიდიული სამსახური განიხილავს. როგორც თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განათლების დარგში გია მურღულიამ განაცხადა, თბილისის მერიის იურიდიული სამსახური კიდევ ერთხელ იმსჯელებს დადგენილების სამართლებრივ მხარეზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სააქციო საზოგადოება "თბილქალაქგანათება" დედაქალაქის გარეგამანათებლების ქსელის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად შესაბამის პროექტებზე მუშაობს. "თბილქალაქგანათების" სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა ლადო კვიჭიძემ განაცხადა, რომ პროექტების ფარგლებში დაგეგმილია დავით აღმაშენებლის ხეივნის, გელოვანის გამზირის, ბარათაშვილის აღმართის, ქეთევან წამებულის გამზირის ნაწილის, შავი ზღვისა და მელაანის ქუჩების, აეროპორტისკენ მიმავალი გზატკეცილების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული გარეგამანათებლების რეაბილიტაცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პროექტის "თანამშრომლობა ენერგეტიკული სიღატაკის დასაძლევად" ფარგლებში საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ენერგობრიგადებმა გლდანში, 120-ე ბაგა-ბაღში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებთან ერთად ზამთრისათვის შენობის დათბუნება განახორციელეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში იმედოვნებენ, რომ მთავრობა მიმდინარე კვირის ბოლომდე გაყინული საპენსიო დავალიანების ნაწილს დაფარავს. დღეისათვის საპენსიო ფონდს მიმდინარე დავალიანებებში 35 მილიონ ლარიანი გარღვევა აქვს და სრულად მარტის თვის თანხები აქვს გაცემული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ შექმნილ პრობლემებში ფინანსთა სამინისტროს ადანაშაულებს. როგორც გამყრელიძემ მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, მიმდინარე წლის საპენსიო დავალიანება უკვე 34 მლნ. ლარს გაუტოლდა, მაშინ, როცა 1998-2000 წლებში წარმოქმნილი დავალიანება ჯამში 89,7 მლნ. ლარს შეადგენს. "2002 წელს დავალიანება არ დაგროვებულა, 2003 წელს კი პრობლემა ფინანსთა სამინისტროს მიერ საპენსიო ფონდის ტრანსფერის არასრული დაფინანსების გამო შეიქმნა", - განაცხადა მინისტრმა, რომლის მონაცემებით, სოცუზრუნველყოფის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა, რომელიც პარალელურად ჯანდაცვის პროგრამებს აფინანსებს, 84 მლნ. ლარი ვერ მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. 10-დღიანი კოკისპირული წვიმის შედეგად აჭარის მაღალმთიანეთი მნიშვნელოვნად დაზარალდა.ხულოს რაიონში ადიდებულმა მდინარეებმა სერიოზული ზარალი მიაყენა რიყეთისა და ხიხაძირის ხეობებს. დაზიანდა საავტომობილო გზები და ხიდები, ელექტროგადამცემი ხაზები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მეორე დღეა, კურორტ ბეშუმში საავტომობილო მიმოსვლაა შეწყვეტილი. ბეშუმი ყველაზე მაღალი მთიანი კურორტია, სადაც ზაფხულობით ათასობით ტურისტი ისვენებს. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ აჭარის მეთაურის აპარატთან სპეციალური შტაბი შეიქმნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სურამი. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული პრეპარატები და პროდუქტები პაციენტებამდე არ აღწევს. ამის შესახებ საავადმყოფოდან სარწმუნო წყარომ იტყობინება, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ პაციენტების პრეპარატებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა არ დგას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, დაახლოებით, დილის თერთმეტის ნახევარზე, "გაერთიანებული ქართული ბანკის" ერთერთ ფილიალთან ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა. ნაფარეულისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე, ბანკის ფილიალთან უცნობი პირი თავს დაესხა ქალბატონს, რომელსაც თავის არეში, ჯერჯერობით დაუდგენელი საგნით, მძიმე ტრავმა მიაყენა. ქალბატონი დაუყოვნებლივ მეხუთე საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიციის წინასწარი მონაცემებით, დაზარალებული ვინმე პაქსაშვილია, რომელიც ბანკში აპირებდა შესვლას. თავდამსხმელი დაკავებულია. მისი ვინაობა დგინდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გორის რაიონის სოფელ კარალეთის მკვიდრი, 27 წლის ვეფხია შავშიშვილი თბილისში, ქუჩიშვილის ქუჩაზე პოლიტიკური ორგანიზაცია „სახალხო ფრონტის" ლიდერის ნოდარ ნათაძის ბინის გაქურდვის ბრალდებით დააკავეს. ნოდარ ნათაძის ბინა წლეულს, 16 ივნისს გაქურდეს. **მედია-ნიუსი**

საფრანგეთის მთავრობა "რენოში" წილს შეეღია

საფრანგეთის მთავრობამ საავტომობილო გიგანტ "რენოს" 8,5 პროცენტი გაყიდა. ამ გარიგებიდან პარიზმა 1,3 მილიარდი ევრო მიიღო, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება. "რენოს" თითო აქცია 49,15 ევროდ იქნა გაყიდული. ამგვარად საფრანგეთის მთავრობის წილი ქვეყნის უდიდეს ავტომწარმოებელში 25,9-დან 15 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ხმის მიცემის პროცედურისას პარიზი 20 პროცენტზე მეტს გააკონტროლებს.

პარიზის შემდეგ "რენოს" უდიდესი მოწილეები არიან კომპანიის იაპონელი პარტნიორი "ნისანი" - 15 პროცენტით (მაგრამ ამავე დროს, "ნისანს" ხმის მიცემის უფლება არ გააჩნია და "რენო" თავის მხრივ "ნისანში" 40 პროცენტს აკონტროლებს. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ იაპონური გიგანტი "რენოს" შვილობილი კომპანიაა) და "რენოს" თანამშრომლები - 3,3 პროცენტით.

საფრანგეთის მთავრობის განცხადებით, იგი "რენოს" აქციების შემდგომ გაყიდვას აღარ აპირებს. თუმცა, ეს ალბათ აღარც არის მოსალოდნელი მას შემდეგ, რაც მემარჯვენე ჟან-პიერ რაფარენმა მთელ რიგ სახელმწიფო კონგლომერატებში წილების პრივატიზება მოახდინა. ნოემბერში მთელი საქმიანი სამყარო განაცვიფრა "კრედიტ ლიონეს" 10,9 პროცენტის გაყიდვამ. ახლა კი დღის წესრიგში დგას "ელეკტრისიტე დე ფრანსის" პრივატიზება, რომელიც დაახლოებით 50 მილიარდ ევროს შემოიტანს. საუბარი მიდის "აირ ფრანსსა" და "ფრანს ტელეკომში" სახელმწიფოს წილის გაყიდვაზეც. ყოველივე ამისაგან საფრანგეთის მთავრობა დიდძალ თანხებს მიიღებს, რაც მას ძალიან წაადგება ახლა, როცა ბიუჯეტის სერიოზული პრობლემები აქვს და, ამის გამო, ევროკომისია პარიზს სანქციებითაც კი ემუქრებოდა.

ორი სიტყვით

ავსტრალიაში კოალების სტერილიზაცია დაიწყეს. როგორც მაუნტ ეკლესიის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია აცხადებს, კოალები იმდენად გამრავლდნენ, რომ მთელი ტყე გადაჭამეს. ახლა ვეტერინარებს ისღა დარჩენიათ, რომ 3000-ზე მეტ დედალ კოალას კანქვეშ სპეციალური კონტრაცეპტივების შემცველი კაფსულები ჩაუდგან. **როიტერი**

■ ■ ■

მსოფლიოში ყოველწლიურად 1,2 მილონ ბავშვს ყიდიან მონად – ნათქვამია გაერო-ს ბავშვთა ფონდის – იუნისეფის მოხსენებაში. ბავშვების, განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონების ყველაზე მსხვილი "გასაღების ბაზარი" დასავლეთ ევროპაა. მთავარი მომწოდებელი კი - ყოფილი სოციალისტური ქვეყნები და დასავლეთ აფრიკა. **როიტერი**

■ ■ ■

ირანი ცდილობს, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი ჩაშალოს, – განაცხადეს ვაშინგტონში მყოფმა ისრაელის დელეგაციის წევრებმა. მათი თქმით, თეირანი "ჰამასს" და "ჰეზბოლას" დიდ თანხებს ურიცხავს. ისრაელი აშშ-საგან ირანზე ზეწოლის გაზრდას ითხოვს. **როიტერი**

■ ■ ■

მაშინ, როდესაც სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ტაბო მბეკი რეპორტიორების წინაშე თავს იწონებდა ქვეყანაში დამნაშავეობასთან ბრძოლის გააქტიურებით, მისი პრეს-მდივანი ცხრა შეიარაღებულმა ადამიანმა მანქანიდან გადმოსვა და გაძარცვა. აპარტეიდის დასრულების შემდეგ, ამ ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია. **როიტერი**

■ ■ ■

შვარცნეგერი კალიფორნიის გუბერნატორის პოსტისათვის არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს. არადა, ამბობდნენ, რომ პოპულარობის, სიმდიდრისა და რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერის გამო, მას გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა. მეგობრები ამბობენ, რომ ტერმინატორს არჩევნებში მონაწილეობა ცოლმა გადააფიქრებინა, რომელიც ქვეყნის ყველაზე ცნობილი დემოკრატიული ოჯახის, კენედების შთამომავალია. **როიტერი**

■ ■ ■

გუშინ ინგუშეთში ხუთი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, როდესაც მათი მანქანა თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქდა. შემთხვევა სოფელ გალაშკის სიახლოვეს მოხდა. გუშინვე, ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღარზე ორი მილიციელი დაცხრილეს. **რადიო "თავისუფლება"**

■ ■ ■

აზერბაიჯანის მმართველი პარტიის, "იენი აზერბაიჯანის" წევრი, დეპუტატი მუსა მუსაევი ამტკიცებს, რომ მისი პარტიის წევრები საიდუმლო გარიგებებს აწარმოებენ ოპოზიციურ პარტიებთან. ამ ინფორმაციას ოპოზიციაც ადასტურებს. ცნობამ იმის შესახებ, რომ ალიევი განუკურნებლად ავადაა, ბაქოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი არევ-დარევა გამოიწვია.

■ ■ ■

კავკასიის მუსულმანთა შეიხულ-ისლამი (სულიერი ლიდერი) ალახშუკურ ფაშაზადე ამ პოსტზე სიცოცხლის ბოლომდე აირჩიეს. ეს გადაწყვეტილება ბაქოში, კავკასიის მუსულმანთა შეკრებაზე მიიღეს, რომელშიც მონაწილეობდნენ დელეგატები აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და რუსეთიდან. ფაშაზადე ამ პოსტს 1980 წლიდან იკავებს. შეიხულ-ისლამის თანამდებობა 1823 წელს, რუსეთის მიერ კავკასიის ოკუპაციის შემდეგ შემოიღეს. **ზერკალო**

შეიქმნება თუ არა ამერიკული „მი-5"?

ლევან ღირსიაშვილი



REUTERS

გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფი რობერტ მიულერი მი-5-ის შექმნის წინააღმდეგია.

11 სექტემბრის მოახლოებასთან ერთად, აშშ-ში ტერაქტების განმეორების შიში ძლიერდება. გუშინ აშშ-ს სპეცსამსახურებმა ქვეყნის ავიაკომპანიები გააფრთხილეს იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ტერორისტულმა დაჯგუფებამ "ალ-ქაიდამ" ზაფხულის მიწურულს, შესაძლოა, თვითმფრინავების გატაცება კვლავ განახორციელოს.

აშშ-ს საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტმა, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის შედეგად დაფუძნდა, გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მოსალოდნელია, ტერორისტების სამიზნედ იქცეს აშშ-ს ინტერესები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, იტალია და ავსტრალია. **"ალ-ქაიდას ხელმძღვანელები კამიკაძეთა მიერ თვითმფრინავების გატაცებებს და აფეთქებებს, როგორც ჰაერში, ასევე ხმელეთზე, ყველაზე საუკეთესო მეთოდად განიხილავენ. ტერორისტული დარტყმების განხორციელება მოსალოდნელია დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ავსტრალიასა და აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროზე, რადგანაც ამ რეგიონში კონცენტრირებულია ქვეყნის მთავრობა, სამხედრო და ეკონომიკური სამიზნეები,"** - ნათქვამია საგანგაშო განცხადებაში.

გასულ კვირას კი, აშშ-ს კონგრესმა ცხრაასგვერდიანი დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელიც ქვეყნის სპეცსამსახურებს საკმაოდ მკვეთრად აკრიტიკებს იმის გამო, რომ მათ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის თავიდან აცილება ვერ შეძლეს. ძირითადი აქცენტი, რასაკვირველია, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროზეა გაკეთებული. მათი რეპუტაცია და ყოვლისშემძლეობის იმიჯი სწორედ 11 სექტემბერს რომ დაიმსხვრა, იმანაც დაადასტურა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა კიდევ ერთი სპეცსამსახური – საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტი შექმნა. ვითარებას ვერც ამან უშველა, რადგან სპეცსამსახურების მხრიდან კვლავ ისმის საგანგაშო გაფრთხილებები.

გაფრთხილება, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ თუ სიგნალი სიგნალად დარჩა და საფრთხის განეიტრალება არ მოხდა, მართლაც არ არის გამორიცხული, რომ აშშ-მ თავის თავზე კიდევ ერთი 11 სექტემბერი იწვნიოს.

ამის გამო, სპეცსამსახურების კრიტიკოსები, პრეზიდენტ ბუშს ალტერნატიული უწყების – შიდა სადაზვერვო სამსახურის შექმნას თხოვენ, რომლის უმთავრესი ამოცანაც და მიზანიც ქვეყნის შიგნით ტერორისტული საფრთხეების ლიკვიდაცია იქნება.

დემოკრატი სენატორი ჯონ ედვარდსი და მისი თანამოაზრე კანონმდებლები აცხადებენ, რომ ამ სამსახურის ფორმირების დროს ბრიტანული სპეცსამსახურის – მი-5-ის მოდელი უნდა იქნას გამოყენებული. თუმცა, როგორც "ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნი" იუწყება, ბევრმა ამერიკელმა არც კი იცის, თუ რითი არის დაკავებული აღნიშნული ბრიტანული სამსახური. მი-6-გან განსხვავებით, რომელიც საგარეო დაზვერვაზეა პასუხისმგებელი, მი-5 ქვეყნის საშინაო საფრთხეების განეიტრალებაზე ზრუნავს. მი-5 სამოქალაქო სტრუქტურაა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება. მისი უმთავრესი ამოცანაა, დაიცვას ქვეყანა ტერორიზმისა და შპიონაჟისგან. თუმცა, მის აგენტებს არა აქვთ დაპატიმრებების განხორციელების უფლება. მიუხედავად ამისა, მი-5-ის თანამშრომლები შეუზღუდავად ახორციელებენ ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა ინფორმაციის მოგროვება ამა თუ იმ ორგანიზაციის ან პიროვნების შესახებ, თვალთვალი, მოსმენები, ინფორმატორთა გადმობირებები და საკუთარი აგენტურის ჩანერგვა დაინტერესების ორგანიზაციაში. ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზების შემდეგ, მი-5 საქმეს უკვე პოლიციას გადასცემს. მი-5 ასევე იმით არის ცნობილი, რომ მისი საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. ორგანიზაციის უმთავრეს ღირებულებას კონსპირაციულობის სრული დაცვა წარმოადგენს.

მი-5 1909 წლის ოქტომბერში შეიქმნა. მის უპირველს ფუნქციად იმ პერიოდში ბრიტანული პორტების შპიონაჟისგან დაცვა განისაზღვრა. პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს, მი-5 ჯაშუშებთან ბრძოლაში უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა. "ცივი ომის" პერიოდში კი, მი-5-ის მოვალეობად საბჭოთა აგენტურასთან ბრძოლა განისაზღვრა. 1970-80-იან წლებში ბრიტანული უშიშროების უწყების მოვალეობაში შევიდა ტერორიზმთან ბრძოლაც. მი-5-ის ირლანდიურ ტერორიზმთან ბრძოლის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნია. აშშ-სთვის კი, შიდა ტერორიზმი ახალი და უცხო მოვლენაა. შესაბამისად, გამოცდილებაც საკმაოდ მწირია. სწორედ ამიტომ ითხოვენ დემოკრატი სენატორები, რომ აშშ-ში მი-5-ის მსგავსი სტრუქტურა ჩამოყალიბდეს.

ამ იდეას უკვე ოპონენტებიც გამოუჩნდნენ. ზოგიერთი მათგანის აზრით, აშშ-ში მი-5-ს მოდელის აპრობირება, კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების დაცვაში მრავალ პრობლემას შექმნის. **"მე საკითხის კონსტიტუციური მხარე მაშფოთებს. უმჯობესია, შიდა მეთვალყურეობის ფუნქციები გამოძიების ფედერალურ ბიუროს დავუტოვოთ, რომელიც ისტორიულად კონგრესის და კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ ვითარდებოდა,"** - აცხადებს ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი.

უნდა ითქვას, რომ აშშ-ში ეს იდეა ახალი არ არის. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში საშინაო დაზვერვის შექმნის ინიციატივით ვირჯინიის შტატის გუბერნატორი ჯეიმს გილმორი გამოვიდა. ის სათავეში ედგა საკონსულტაციო ჯგუფს. სწორედ ამ ჯგუფის ექსპერტებმა წარუდგინეს თეთრ სახლს რეკომენდაციები, სადაც ერთ-ერთ პუნქტად მი-5 მოდელის მსგავსი სტრუქტურის შექმნა იყო ჩაწერილი. თუმცა, მაშინ ამ იდეას ისეთი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, როგორც დღეს. ამ ინიციატივის მომხრეები 11 სექტემბრის წლისთავის მოახლოებამ გააააქტიურა, როდესაც სპეცსამსახურებმა მორიგი განგაში ატეხეს და მოსახლეობას და სახელმწიფო სტრუქტურებს სიფრთხილისაკენ მოუწოდეს. თუმცა, ახალი სპეცსამსახურის შექმნას, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და გამოძიების ფედერალური ბიურო კვლავინდებურად ენინააღმდეგებიან. განსაკუთრებით, გამოძიების ბიურო, რადგან ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში, უფლება-მოვალეობები სწორედ მას შეეკვეცება. **"ახალი სტრუქტურის შექმნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება,"** - განაცხადა გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფმა რობერტ მიულერმა.

შესაძლოა, ის მართალიც არის, რადგან ისეთი საფრთხე, როგორიც საერთაშორისო ტერორიზმია, ბიუროკრატიული აპარატების გაზრდით ვერ აღმოიფხვრება. მით უმეტეს, როდესაც ამის მაგალითი უკვე არსებობს: საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტი, უკვე ორი წელია, რაც შექმნილია, ტერორიზმის საფრთხე კი კვლავ არსებობს.

ლიბერიაში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა გრძელდება

ათეულობით მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა გუშინ ლიბერიის ქალაქ ბიუქენენში პრეზიდენტ ჩარლზ ტეილორის ერთგულ ჯარებსა და ამბოხებულებს შორის შეტაკების შედეგად.

ეს სტრატეგიული საპორტო ქალაქი მეამბოხეებმა ორშაბათს ჩაიგდეს ხელთ. ეს მნიშვნელოვანი დარტყმა იყო ტეილორის რეჟიმზე, რომელიც ამავდროულად დედაქალაქ მონროვიაში მეორე შეიარაღებული ფორმირებას ებრძვის

"ყველგან გვამები ყრია. ათეულობით ადამიანია დაღუპული, – განუცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა როიტერს, – ქუჩებში დაჭრილებიც ყრია, მაგრამ მათი თავი არავისა აქვს".

რეპორტიორები იტყობინებიან, რომ ბიუქენენში მეორდება იგივე, რაც მონროვიაში მოხდა. დედაქალაქში ასობით ათასი ადამიანი მოულოდნელად სისხლისმღვრელი ომის შუაცეცხლში აღმოჩნდა.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნების მიერ დადებული პირობა, სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ, არ სრულდება. სხვდასხვა სახელმწიფოები ჯერ ვერ მორიგდნენ იმაზე, თუ ვინ უნდა დაფაროს მშვიდობისმყოფელთა ხარჯები. თანაც, ცისფერჩაფხუტიანები მოითხოვენ, რომ ჯერ ცეცხლი შეწყდეს.

სამშაბათს კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს სთხოვა, დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება სამშვიდობო ჯარების დისლოცირების შესახებ, რადგან მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

მეამბოხეებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადეს, მაგრამ ეს მათგან უკვე მეოთხე ამგვარი დაპირებაა, რომლისაც უკვე აღარავის სჯერა.

გუშინ სამთავრობო ჯარებმა ბიუქენენის დაბრუნება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ამბოხებულები მთელ ქალაქში დაძრწოდნენ და ყველგან მთავრობის მომხრეებსა და კომპანია "აღმოსავლური ხე-ტყის კომპანიის" თანამშრომლებს ეძებდნენ. თავის დროზე, სწორედ ამ კომპანიის ფულით ყიდულობდა ტეილორი იარაღს.

ომს თან მეორე უბედურება, შიმშილიც დაერთო. მეორე დღეა, ქალაქში სურსათი გამოილია.

საერთაშორისო საზოგადოება შეერთებული შტატებისაგან მოითხოვს ჩარევას. ლიბერია სწორედ გათავისუფლებული ამერიკელი მონების მიერაა დაარსებული.

ამერიკელებმა ლიბერიის სიახლოვეს სამი სამხედრო გემი გაგზავნეს, მაგრამ ქვეითი ჯარების გადასროლაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ.

საუდები უარით გამოისტუმრეს

საუდის არაბეთის განცხადებით, ძალზე საწყენია, რომ აშშ-მ 11 სექტემბრის ტერაქტების შესახებ კონგრესში გაკეთებული მოხსენებიდან საუდის არაბეთისადმი მიძღვნილი 28-გვერდიანი ნაწილი არ გამოაქვეყნა.

"24 საათი" გუშინ იუწყებოდა, რომ გასულ კვირას ამერიკის კონგრესში 11 სექტემბრის ტერაქტის გამოძიების შესახებ მომზადებული 900-გვერდიანი მოხსენება განიხილეს, სადაც, ამერიკულ პრესაში გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, საუდის არაბეთის მაღალჩინოსნებს ტერორისტებთან კავშირში ედებათ ბრალი.

ვაშინგტონში მყოფმა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრინცმა საუდ ალ-ფაისალმა ამერიკელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუდის არაბეთს დასამალი არაფერი აქვს და სამწუხაროა, რომ ვაშინგტონმა ტერორისტებთან ერრიადის შესაძლო კავშირების შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებული დატოვა.

"28 ცარიელი ფურცელი ახლა საკმარის მტკიცებულებად ითვლება იმისათვის, რომ 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შეერთებული შტატების ნამდვილი პარტნიორი და მეგობარი დამნაშავედ გამოვაცხადოთ", - აღნიშნა პრინცმა ალ-ფაისალმა.

11 სექტემბერს მომხდარ ტერორისტულ აქტში მონაწილე თვითმფრინავების 19 გამტაცებლიდან 15 - საუდის არაბეთის მოქალაქე იყო. პრინც საუდ ალ-ფაისალის თქმით, საუდის არაბეთის ხელისუფლება თავდასხმების ხელშეწყობაში ტყუილუბრალოდ დაადანაშაულეს.

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბუშის ადმინისტრაციის ღია კრიტიკისაგან თავი შეიკავა. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ კარგად ესმის ის მიზეზები, რის გამოც ადმინისტრაციამ მოხსენების გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავა. თუმცა, ეს მიზეზები არ დაუკონკრეტებია.

უოლ სტრიტი "ენრონის" ცოდვების გამო ისევ ისჯება

ადამ მჭედლიძე

უოლ სტრიტის საინვესტიციო ბანკებმა "ენრონის" სკანდალთან დაკავშირებით თავიანთი ურთიერთობა სამართალდამცავებთან საბოლოოდ გაარკვიეს. "ჯეიპი მორგანი" და "სიტიგრუპი" ჯარიმის სახით, ერთობლივად, დაახლოებით 300 მილიონამდე დოლარს გადაიხდიან. ისინი ამით "გამოისყიდიან" თავიანთ ცოდვებს საქმიანი სამყაროს, ხელისუფლებისა და "ენრონის" აქციონერების წინაშე. ასეთი განაჩენი გამოიტანა აშშ-ს ფასიანი ქაღალდების ფედერალურმა კომისიამ, რომლის აზრითაც ზემოხსენებული ორი ბანკი "ენრონს" მისი პრობლემების მიჩქმალვაში დაეხმარა.

მაგრამ "ჯეიპისა" და "სიტიგრუპის" დასჯა, შესაძლოა, მხოლოდ ამით არ ამოიწუროს. აშშ-ს ფასიანი ქაღალდების ფედერალურმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ ამ ბანკებს არ აქვთ მორალური უფლება, "ენრონისაგან" მოითხოვონ ვალი, რომელიც გაკოტრებულ ენერგოგიგანტს დიდი რაოდენობით დაუგროვდა. კომისიის თქმით, "ჯეიპიმ" და "სიტიგრუპმა" კარგად უწყოდნენ, თუ ვის აძლევდნენ სესხად ფულს, მათ კარგად იცოდნენ, რომ "ენრონი" საიმედო პარტნიორი არ იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრედიტზე უარს მაინც არ ეუბნებოდნენ, რათა ამით თვალი აეხვიათ აქციონერებისათვის და დაერწმუნებინათ ყველა, რომ ენერგოგიგანტის საქმეები კარგად მიდიოდა.

შეგახსენებთ, "ენრონის" გაკოტრების ამბავმა შარშანწინ მთელი საქმიანი სამყარო შეძრა. ყველაზე უფრო შოკისმომგვრელი ის იყო, რომ ამ კომპანიის გაკოტრებას არავინ ელოდა. გარეგნულად ენერგოგიგანტში ყველაფერი კარგად ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში კომპანია ვალებში იყო ჩაფლული. მისი ხელმძღვანელობა ყოველივე ამას ოსტატურად მალავდა (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამაში მათ ბევრი უწყობდა ხელს, უპირველესად კი აუდიტორული ფირმა "ანდერსენი") და აქციებს ჩუმ-ჩუმად ჰყიდდა. ერთ მშვენიერ დღეს კი კომპანია გაკოტრებულად გამოცხადდა.

ახლა 6 ამერიკული ბანკი (მათ შორის, "ჯეიპი" და "სიტიგრუპი") "ენრონისაგან" ვალების ამოღებას ლამობენ, რომელიც სულ 5 მილიარდს შეადგენს. მაგრამ აშშ-ს ფასიანი ქაღალდების ფედერალურმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ ზემოხსენებულმა ორმა ბანკმა ეს ვალები ყველაზე ბოლოს უნდა მიიღოს – მას შემდეგ, რაც სხვა კრედიტორები გასტუმრებულნი იქნებიან.

ჯარიმის სახით, "ჯეიპი" - 135, "სიტიგრუპი" კი 120 მილიონ დოლარს გადაიხდიან. გარდა ამისა, აშშ-ს ფასიანი ქაღალდების ფედერალურმა კომისიამ "სიტიგრუპს" კიდევ ერთი ენერგოფირმის, "დაინერჯის" საქმესთან დაკავშირებით, აქციონერთა შეცდომაში შეყვანის გამო 19 მილიონის გადახდა დააკისრა.

თურქეთში სამხედროთა ძალაუფლებას ზღუდავენ

თურქეთის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ევროკავშირში გასაწევრიანებლად საჭირო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მეშვიდე პაკეტი მოამზადა. მისი დამტკიცების ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი თურქეთის ყველაზე გავლენიანი სტრუქტურის - ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციების მკვეთრი შეკვეცა იქნება.

ახალი კანონპროექტის თანახმად, უშიშროების საბჭოს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციები შერჩება და მისი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მინიმუმამდე შემცირდება. კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ფაქტობრივად, გაუქმდება უშიშროების საბჭოს სამდივნო, რომელიც საბჭოს მუშაობის კოორდინაციას ახდენდა.

პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში განხილვისას კანონპროექტი ყველაზე მეტად ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური სამდივნოს წარმომადგენელმა მუსტაფა აღაოღლუმ გააკრიტიკა.

"ფაქტობრივად, ამ კანონპროექტის დამტკიცებით გენერალური სამდივნო უქმდება. ამდენად, საბჭო ვეღარ შეასრულებს თავის სამ მთავარ ფუნქციას: ვეღარ შეადგენს ფსიქოლოგიური ოპერაციის გეგმებს; ვეღარ იმუშავებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე და ვეღარ შეადგენს სამობილიზაციო და ომისათვის მოსამზადებელ სხვადასხვა გეგმებს", - აღნიშნა აღაოღლუმ.

რაც შეეხება თავად გენერალურ სამდივნოს, იგი უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავა. დღემდე ეროვნული უშიშროების საბჭო თურქეთის გენერალურ შტაბს ემორჩილება. მისი თავმჯდომარე კი აუცილებლად სამხედრო პირი უნდა იყოს. თუ პრემიერი გენერალურ სამდივნოს კონკრეტულ დავალებას მისცემს, ის აღასრულებს. სხვა შემთხვევაში მას სხვა ფუნქციების შესრულება არ მოუწევს.

აღაოღლუს გამოსვლის პასუხად, თურქეთის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობამ კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მეშვიდე პაკეტის დებულებები გენერალურ შტაბს წინასწარ შეუთანხმა. "ვითარება, როდესაც უშიშროების საბჭო სახელმწიფოს მოღვაწეობის ყველა სფეროს განსაზღვრავს, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს", - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა ჯემილ ჯიჩეკმა.

თუმცა, იუსტიციის მინისტრის არგუმენტებმა აღაოღლუ აშკარად ვერ დაარწმუნა. შეხვედრის დასრულების შემდეგ მან რეპორტიორებს განუცხადა, რომ უშიშროების საბჭოს რეფორმირება კი არა, მისი მთლიანად გაუქმება მიმდინარეობს.

კანონპროექტის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს პრემიერ-მინისტრის წარდგენის შემდეგ დაამტკიცებენ. კაბინეტი კანდიდატურის შერჩევაში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ამას გარდა, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად შესაძლებელი იქნება სამოქალაქო პირების დანიშვნაც. რაც ყველაზე მთავარია, უშიშროების საბჭოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები ჩამოსცილდება.

ცვლილებების შემდეგ საბჭო უკვე ორ თვეში ერთხელ შეიკრიბება და არა თვეში ერთხელ, როგორც ეს ამჟამად ხდება. საბჭოს მდივანი და მისი წევრები ეროვნული უშიშროების საკითხებში მთავრობას მხოლოდ რჩევებს მისცემენ, რეალური პოლიტიკის გატარებაში კი ისინი უკვე ვეღარ ჩაერევიან.

გვალვა ევროპაში

REUTERS

ევროპაში ხანძარი კვლავ მძვინვარებს.

ევროპაში არნახული გვალვაა. საფრანგეთის ცენტრალურ რაიონებში მარტის შემდეგ წვიმა არ მოსულა. უნალექობას საშინელი სიცხეც ერთვის. იტალიის უმეტეს ნაწილში ტემპერატურა 37 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოდის. სინოპტიკოსები ჯერჯერობით საიმედოს ვერაფერს ამბობენ.

გვალვამ მთელ ევროპაში ტყის ხანძრები გამოიწვია. მხოლოდ საფრანგეთში, ტყეებში გაჩენილი ცეცხლის შედეგად, ხუთი ადამიანი დაიღუპა.

საფრანგეთის გარდა, სიცხემ და გვალვამ სერიოზულად დააზარალა იტალია, ავსტრია, ესპანეთი, გერმანია და პორტუგალია. ევროპელ ფერმერთა გაერთიანებამ "კოპა კოგენამ" განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობისათვის გვალვას პირდაპირ კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

იტალიის ხელისუფლების განცხადებით, ქვეყნის ყველაზე მოსავლიან, ჩრდილოეთ ნაწილში ყურძნის გარდა, ყველა სხვა მოსავალი დაიღუპა. ფერმერები ცენტრალური საფრანგეთიდან პირუტყვის საკვების საყიდლად პარიზში მიდიან

"ამას არავინ მოელოდა, თვით გლობალური დათბობის გათვალისწინებითაც კი. ბოლო 50 წლის მანძილზე ეს ყველაზე უფრო ცხელი და უწყლო წელია," – აცხადებს იტალიის მთავრობა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ცენტრალური ევროპა მართლაც რომ წყალმა წალეკა. მაშინ ამბობდნენ, რომ ბოლო რამდენიმე საუკუნის მანძილზე ევროპას ასეთი წყალდიდობა არ ახსოვს.

მიუხედავად უამრავი დამამტკიცებელი საბუთისა, პოლიტიკოსები კვლავინდებურად უარყოფენ გლობალური დათბობის ფენომენის არსებობას და არაფრით არ სურთ საჭირო, მაგრამ არაპოპულარული ნაბიჯები გადადგან კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისათვის. საჭიროა ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების გაშვებისა და ენერგიის მოხმარების შემცირება, რაც უზარმაზარ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

არადა, სტიქია მართლაც არავის ინდობს. თუმცა, ევროპელი ფერმები, ქართველებისაგან განსხვავებით, დაკარგული მოსავლის კომპენსაციასაც მიიღებენ და ევროკავშირისგან მნიშვნელოვან სუბსიდიებსაც გამოჰკრავენ ხელს.

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები

ცსკ (რუსეთი) 1:2 ვარდარი (მაკედონია)
ლეოტარი (ბოსნია) 1:2 სლავია (ჩეხეთი)
პიუნიკი (სომხეთი) 0:2 ცსკ (ბულგარეთი)
ტირანა (ალბანეთი) 1:5 გრაცი (ავსტრია)
შერიფი (მოლდოვა) 0:0 შახტიორი (უკრაინა)
ვისლა (პოლონეთი) 5:2 ომონია (კვიპროსი)
კოპენჰაგენი (დანია) 4:1 სლიემა (მალტა)
კაუნასი (ლიტვა) 0:4 სელტიკი (შოტლანდია)
მტკ (უნგრეთი) 3:1 ჰიკ (ფინეთი)
პარტიზანი (იუგოსლავია) 1:1 იურგარდენი (შვედეთი)
რაპიდი (რუმინეთი) 0:0 ანდერლეხტი (ბელგია)
მარიბორი (სლოვენია) 1:1 დინამო (ხორვატია)
ჟილინა (სლოვაკეთი) 1:0 მაკაბი (ისრაელი)
ბოჰემიანსი (ირლანდია) 0:1 როსენბორგი (ნორვეგია)

საქართველო - 86

ბრაზილია კვლავ რეიტინგის სათავეშია...

მოლოდინისამებრ, საქართველოს ნაკრები ფიფას ყოველთვიურ ოფიციალურ სარეიტინგო სიაში "თავისუფალ ვარდნას" განაგრძობს. თუ ივნისის მონაცემებით, დროებით ივო შუშაკის გამგებლობაში მყოფი ჩვენი ეროვნული გუნდი 84-ე ადგილზე იყო, 11 ივნისს დუბლინში განცდილი მარცხის (0:2) შემდეგ კიდევ ორი საფეხურით ჩამოვქვეითდით და ამჟამად 462 ქულით 86-ე ადგილს ვიკავებთ. სხვათა შორის, თავად ირლანდიის ნაკრებმა 11 ივნისის მატჩამდე 4 დღით ადრე ალბანეთის ეროვნული გუნდის დამარცხებაც მოახერხა, მაგრამ ზედიზედ ამ ორმა წარმატებამ რეიტინგში ასეულის მიჯნასთან მყოფ გუნდებთან ირლანდიელთა სარეიტინგო ყულაბას ბევრი ვერაფერი შემატა. ამჟამად ბრაიან კერის გუნდი, ერთი თვის წინანდელი მე-14 ადგილის ნაცვლად, მე-15 პოზიციაზე ჩამოქვეითდა.

რეგრესი განიცადა ჩვენმა კიდევ ერთმა მეტოქემ - რუსეთის ნაკრებმა, რომელსაც, შვეიცარიის ეროვნულ გუნდთან სტუმრად მოპოვებული ქულის მიუხედავად, 30-დან 32-ე პოზიციამდე ჩანაცვლება მოუწია. რაც შეეხება ალბანეთის ნაკრებს, რომელთანაც ჩვენს ეროვნულ გუნდს სექტემბერში ორი შესარჩევი მატჩი ელის, ჩვენზე უკეთესი პოზიცია უკავია - 464 ქულა აქვს და ერთი საფეხურით გვისწრებს.

პირველ სამეულში ცვლილებები არ მომხდარა. ბრაზილია, საფრანგეთი და ესპანეთი კვლავაც დამაჯერებლად ლიდერობენ. აღსანიშნავია მექსიკის ნაკრების პროგრესი, რომელიც "კონკაკაფის ოქროს თასის" ფინალში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების, ბრაზილიელების მინიმალური ანგარიშით (1:0) დამარცხების წყალობით ექვს საფეხურს "გადაახტა" მე-5 პოზიციაზე აინაცვლა.

1. ბრაზილია (1)	848 ქულა
2. საფრანგეთი (20)	824
3. ესპანეთი (3)	755
4. ჰოლანდია (50)	750
5. მექსიკა (11)	749

...საქართველოს ნაკრები კი, ფსკერისკენ მიექანება.

ბოლოდროინდელი ფოტო

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 31 ივლისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World". აშშ. "ბარსელონა" – "მილანი"
15:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
15:30 "დარტყმა გოლისთვის"
15:45 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შესარჩევი წრე
17:30 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შესარჩევი წრე. "კაუნასი" (ლიტვა) – "სელტიკი"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შესარჩევი წრე. "პარტიზანი" (სერბია და ჩერნოგორია) – "იურგორდენი" (შვედეთი)
21:20 "FUTBOL MUNDIAL"
21:50 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World". აშშ. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "იუვენტუსი"
23:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ფიორენტინა"
01:20 "FUTBOL MUNDIAL"

НТВ + СПОРТ
11:00, 13:45, 17:10, 19:40, 21:30 პრეს-ცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:00 აერობიკა
11:45 ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები, ქალები
14:25 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე
15:50 ავტორბოლა. აღმოსავლეთ ევროპის თასი
17:25 ჰოკეი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. სტენლის თასი. ფინალი-2003
20:00 ავტორბოლა. "რუსები GT-ში"
20:30 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
21:00 "ჰოკეის საღამო"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები, ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
00:00 ტრიატლონი. მსოფლიო თასი
00:50 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
01:15 ახალი ამბები
01:30 "ჰოკეის საღამო"

EUROSPORT
11:30 აფროსნობა
12:00 ცხენოსნობა
13:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
15:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
16:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
18:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
20:30 მძლეოსნობა
21:00 მძლეოსნობა
21:30 მძლეოსნობა. გრან-პრი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი
01:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 ახალი ამბები
02:15 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
03:30 მძლეოსნობა
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

სატრანსფერო საგიჟეთი

ჰაატა თოთაძე

ისეთი სიტუაცია, როგორიც წლეულს შეიქმნა სატრანსფერო ბაზარზე, დიდი ხანია არ ყოფილა. ვიღაცამ შეიძლება ამას გიჟურიც უწოდოს და ეს, ძირითადად, ორი ადამიანის - ფლორენტინო პერესისა და რომან აბრამოვიჩის დამსახურებაა. პერესი არ სჯერდება იმ ვარსკვლავებს, რომლებიც "რეალში" შეკრიბა და მათი რიცხვის გაზრდას აპირებს, აბრამოვიჩი კი იმათში, ვინც პერესის თვალთახედვის არეში არ მოხვდა, კოლოსალურ თანხებს იხდის.

"პატრიკი დიდი ფეხბურთელია და თუ მან ჩვენთან თამაში გადაწყვიტა, სასიხარულო იქნება. მისი მოსვლით გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება. ასე რომ, თუ ჩემს რჩევას ყურად იღებს, "რეალზე" უკეთეს გუნდს ვერ იპოვის", - ზიდანმა ეს სიტყვები მას შემდეგ წარმოთქვა, რაც პატრიკ ვიეირამ ლონდონის "არსენალს" კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი სტკიცა და სხვა კლუბში გადასვლაზე ჩამოაგდო სიტყვა. ამის თქმა და "რეალის" განცხადება ერთი იყო: ეგ ბიჭი ჩვენ გვაინტერესებს და ლონდონელებზე მაღალ ხელფასსაც მივცემთო. ჯერჯერობით არაა დაზუსტებული, თუ რა თანხას სთავაზობენ მადრიდელები "არსენალს" ფრანგი ნახევარმცველის სანაცვლოდ - ბრიტანული წყაროების მიხედვით, "რეალს", სულ მცირე, 2 მილიონი გირვანქის გაღება მოუწევს, თუმცა, არც ვიეირას ლონდონში დარჩენის ვარიანტია გამორიცხული. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დათანხმდებიან თუ არა "მეთოფეები" ფეხბურთელის წინადადებას ხელფასის გაზრდის თაობაზე. ეს კი გუნდის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა.

ზემოთ ზიდანი ვახსენეთ და ბარემ აქვე ვიტყვით: ფრანგმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა, 2005 წლის ბოლოს კარიერა დაასრულოს. "ჩემს კონტრაქტს "რეალთან" ორ წელიწადში გასდის ვადა. მანამდე არაფერს დავიშურებ გუნდისთვის, ორი წლის შემდეგ კი წავალ", - განაცხადა მან. იმ დროისთვის ზიდანი 33 წლის იქნება. "ეს ის ასაკია, როცა ფეხბურთიდან წასვლაზე უნდა იფიქრო. ფეხბურთი იქამდე უნდა ითამაშო, სანამ ის სიამოვნებას განიჭებს, სანამ შენი თამაში მაყურებელს ანიჭებს სიამოვნებას, თორემ ნაძალადევად მოედანზე ყოფნას რა აზრი აქვს", - აღნიშნა ზიდანმა.

ვერონი "ჩელსიში" გადავიდა.

"რეალმა" კი ვიეირას დაადო თვალი.

თავის ბოლო მატჩებს ნაკრების შემადგენლობაში ზიდანი 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, მსოფლიო ჩემპიონატზე კი უკვე აღარ იქნება ეროვნულ გუნდში. "გადაწყვეტილება საბოლოოა და, დარწმუნებული ვარ, მას არ შევცვლი", - კატეგორიულია ზიდანი.

"რეალს" არ ჩამორჩება ლონდონის "ჩელსი" და სატრანსფერო ბაზარზე აგრესიულ ქმედებებს გაგრძელებს. ვერონის ლონდონში გადაბარგების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლები და ფეხბურთელის აგენტი გუშინ ღამით შეხვდნენ "ლურჯების" ხელმძღვანელობას და ყველაფერზე მოილაპარაკეს. არგენტინელი ნახევარმცველის სანაცვლოდ "მანჩესტერი" 15 მილიონ გირვანქას მიიღებს, ვერონის ყოველკვირეული გასამრჯელო კი 90 000 გირვანქა იქნება, რაც დაახლოებით 140 000 ევროს უტოლდება.

თავდაპირველად ვერონი უარობდა "ჩელსიში" გადასვლას და აცხადებდა, რომ მანჩესტერში თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა იძულებული გახადა, აზრი შეეცვალა. "სიმართლე გითხრათ, აქ თავს ცუდად არ ვგრძნობ, მაგრამ თუ კლუბი ჩემს გაყიდვას გადაწყვეტს, წავალ", - მანჩესტერელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა არგენტინელმა. წასვლით კი ვერონი მხოლოდ "ჩელსიში" თუ წავიდოდა, რადგან, "არისტოკრატთა" გარდა, ის თითქმის არავის აინტერესებს. საქმე ისაა, რომ ვერონმა ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები, ვერ შეძლო ბოლომდე გამოემჟღავნებინა თავისი შესაძლებლობები "მანჩესტერში". არადა, ინგლისელებმა ის იტალიური "ლაციოსგან" ორი წლის წინათ 28,1 მილიონ გირვანქად იყიდეს. ასეთი ფეხბურთელების ყიდვას კლუბები ყოველთვის ერიდებიან და მათ გადაბირებას მხოლოდ ისეთები ცდილობენ, რომელთათვისაც 15 მილიონი ბევრს არაფერს წყვეტს.

ცოტა ხნის წინათ არც "ლურჯების" თავკაცს კლაუდიო რანიერის უნდოდა მისი ყიდვა, მაგრამ ახლა ისიც სხვანაირად ფიქრობს: "ვერონი "მანჩესტერში" ბოლომდე ვერ გაიხსნა, მაგრამ ამას ჩვენთან აუცილებლად შეძლებს. მოკლედ, ის კარგ სამსახურს გაგვიწევს".

სამაგიეროდ შეშინებულნი არიან კლუბის გულშემატკივრები. მათ სურთ, გუნდში ისეთი ფეხბურთელი იხილონ, რომელიც "ჩელსიში" გადასვლაზე ფიქრობს, რომელიც მზად იქნება, კლუბისთვის ყველაფერი გაიღოს და არა ისეთი, რომელიც იძულებულია, ლონდონში გადაბარგდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას "მანჩესტერში" არ აჩერებენ.

კონსეისაო "დორტმუნდის" ფეხბურთელია

გერმანელებმა "მიდლსბრო" ხელმოცარული დატოვეს

სატრანსფერო ბაზარზე მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლება. ფეხბურთელი დღეს ერთ გუნდშია, რამდენიმე საათში კი, შესაძლოა, სულ სხვა კლუბში ამოყოს თავი. ამა თუ იმ მოთამაშის მსურველ კლუბებს უფლება არა აქვთ, წუთით მოადუნონ ყურადღება, რადგან, შესაძლოა, მათი რჩეული კონკურენტებმა ჩაიგდონ ხელში.

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველის ფლავიო კონსეისაოს ინგლისურ "მიდლსბროში" გადასვლის შესახებ ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ დაიწყო საუბარი. კონსეისაო "რეალს" აზიის ტურნეზეც კი არ გაჰყვა და, საკუთარი ტრანსფერის მოლოდინში, მადრიდში დარჩენა ამჯობინა. თითქმის უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ "მიდლსბრო" ბრაზილიელს ერთი წლით იჯარით აიყვანდა. უკანასკნელ დღეებში დორტმუნდის "ბორუსიამაც" გამოთქვა კონსეისაოს გადაბირების სურვილი. ინგლისელები დარწმუნებულნი კი იყვნენ, რომ ფეხბურთელის მათ კლუბში გადასვლა უკვე გადაწყვეტილი საქმე იყო, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. თავად ფეხბურთელმა გერმანული ვარიანტი არჩია და "ბორუსიაში" გადასვლაზე თანხმობა განაცხადა. ასე რომ, "მიდლსბრო" ხელმოცარული დარჩა. "კონსეისაოს საკითხი გადაწყვეტილია, ის ჩვენი მოედნის ცენტრში დორივასთან ერთად ითამაშებს", - სულ ორი დღის წინ აცხადებდნენ "მიდლსბროს" ხელმძღვანელები. ცდებოდნენ: კონსეისაო პარტნიორობას გაუწევს არა დორივას, არამედ "ბორუსიას" ტრავმირებულ ნახევარმცველებს - ტორსტენ ფრინგსს და ევანილსონს შეცვლის. "არასოდეს ვმალავდით, რომ კონსეისაოს შეძენით ძალიან ვიყავით დაინტერესებული. ის შესანიშნავი ფეხბურთელია და დიდ დახმარებას გაუწევს ტომას როსიცკისა და მარსიო ამორუზოს", - აცხადებს "ბორუსიას" სპორტული დირექტორი მიხაელ ცორკი.

"ბორუსიაში" გადასვლა თავად კონსეისაოსაც ძალიან უნდოდა. ფეხბურთელმა "მიდლსბროს" წარმომადგენლებს დიდი მადლობა გადაუხადა, თუმცა, იქვე ისიც შენიშნა, რომ ტიტულოვან კლუბში გადასვლა უფრო ხიბლავდა. "ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რომელ კლუბში გავაგრძელებდი კარიერას. ნებისმიერ გუნდში არ გადავიდოდი. "ბორუსია" ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, ეს კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კლუბს დიდი ამბიცია აქვს, მე კი მხოლოდ ტიტულების მოპოვება მსურს", - განაცხადა კონსეისამ.

ფლავიო კონსეისაო "დორტმუნდელი" გახდა.

ბრაზილიელი ნახევარმცველი "რეალმა" 25 მილიონ ევროდ შეიძინა ლა კორუნიის "დეპორტივოდან". კონსეისამ ხანგრძლივი ტრავმების გამო დიდხანს ვერ მოახერხა მადრიდელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება. უკანასკნელ ხანს ის სულ უფრო ხშირად ხვდებოდა პირველ გუნდში, თუმცა, სამეფო კლუბმა მისი გასხვისება მაინც გადაწყვიტა. კონსეისაო ერთი წლით, იჯარის წესით გადავიდა "ბორუსიაში" და მისი 3,5-მილიონიანი ხელფასის ნაწილს, სავარაუდოდ, ერთ მილიონს, კვლავინდებურად მადრიდელები გადაიხდიან. კონსეისაო უკვე დორტმუნდშია და გუნდის გუშინდელ ვარჯიშშიც მიიღო მონაწილეობა.

მადრიდის "რეალი" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან აპირებს დამშვიდობებას. პირველ რიგში კი ტოტეს, მუნიტისს, კამბიასოს და სელადეს მოუწევთ ახალი კლუბების ძიება.

ფორმულა 1

ვინ დაიცავს პილოტებს შეშლილებისგან?

ჰოკენჰაიმში დაცვის უმაგალითო ზომებს იღებენ

ნინო პირველი

სამი დღის შემდეგ გერმანიაში მეორედ აღმუვლდებიან ძრავები, ელვის სისწრაფით მოსწყდებიან ადგილიდან თვალისმომჭრელი სპორტული მანქანები და ცხვირწინ ჩაუქროლებენ აღტაცებულ მაყურებლებს. 3 აგვისტოს გერმანიაში ფორმულა 1-ის კიდევ ერთი რბოლა შედგება. ნიურბურგრინგის შემდეგ ავტორბოლის მოყვარულებს ჰოკენჰაიმი მოუყრის თავს. რბოლის მოახლოება ყველას ძალიან უხარია, თავად ორგანიზატორების გარდა. პილოტებიც ნერვიულობენ. არავინ იცის, ჩაივლის თუ არა ეს რბოლა ინციდენტების გარეშე. 20 ივლისს სილვერსტოუნში ისეთი რამ მოხდა, რამაც ფორმულას ბოსები სერიოზულად შეაფიქრიანა. მაშინ, როცა რბოლა კარგა ხნის დაწყებული იყო და ბოლიდები ერთიმეორის მიყოლებით მიქროდნენ ტრასაზე, მოულოდნელად გზაზე ირლანდიურ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გამოჩნდა. გაოგნებულმა პილოტებმა შეშლილს ძლივს აუარეს გვერდი. მანქანების სიჩქარე საათში 340 კილომეტრს აღწევდა. გადარეულ ირლანდიელთან შეჯახების შემთხვევაში სილვერსტოუნში საშინელი ტრაგედია დატრიალდებოდა. საბედნიეროდ, დაცვის წევრებმა სწრაფად მოახერხეს არანორმალური მაყურებლის გზიდან გადათრევა. კილტში გამოწყობილ ირლანდიელს ნეილ ჰორენი ერქვა. როგორც გაირკვა, 56 წლის ჰორენი ადრე მღვდელი ყოფილა, მაგრამ კათოლიკური ეკლესიიდან მოუკვეთიათ, რადგან ფსიქიკურად დაავადებულად მიუჩნევიათ. ჰორენი ქადაგებდა, რომ ქრისტე აუცილებლად მოევლინებოდა დედამიწას, სათავეში ჩაუდგებოდა ისრაელის არმიას და დაამარცხებდა ბოროტებას. შეშლილი ირლანდიელი გამუდმებით წერდა უცნაურ წერილებს ცნობილ პოლიტიკოსებს. როგორც გაირკვა, მას ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინისთვისაც გაუგზავნია საკმაოდ გრძელი უსტარი. სილვერსტოუნში ჰორენი იმიტომ გავარდა ტრასაზე, რომ ხალხისთვის მოეწოდებინა, ბიბლია ხშირად იკითხეთო. პილოტებს და დაცვის წევრებს რომ არ ეყოჩაღათ, ყოფილ მღვდელს ბიბლიის კითხვა საიქიოში მოუწევდა. ამ ფაქტის შემდეგ ჰორენი ნაიყვანეს ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც მას საფუძვლიანად უმკურნალებენ და იქნებ როგორმე გონზეც მოიყვანონ.

რა თქმა უნდა, ინციდენტმა პილოტები ძალიან გაანერვიულა. "ეს სიგიჟეა. წარმოდგენაც კი მიჭირს, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მას რომ ვინმე დასჯახებოდა. ეს გადარეული მარტო საკუთარ თავს კი არა, პილოტების სიცოცხლესაც აგდებდა საფრთხეში", - განაცხადა რალფ შუმახერმა რბოლის შემდეგ და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი რამ მეტად აღარ გამეორდებოდა. შემდეგი რბოლა ჰოკენჰაიმშია, იმ ტრასაზე, სადაც ერთხელ უკვე მოხდა მსგავსი შემთხვევა. 2000 წლის 30 ივლისს, 26-ე წრეზე, მოულოდნელად თეთრებში ჩაცმული კაცი აღმოჩნდა მანქანებს შორის. როგორც გაირკვა, შეშლილ ფრანგს "მერსედესის" ფირმისთვის პრობტესტის გამოცხადება სურდა სამსახურიდან გათავისუფლების გამო. 47 წლის ზედმეტად ემოციური მაყურებელი ძლივს გადაურჩა გაჭყლეტას. ამის შემდეგ ორგანიზატორებმა, რომ იტყვიან, ასი თვალი და ასი ყური გამოიბეს და დაცვა გააძლიერეს. ორმა სეზონმა ისე ჩაიარა, მსგავსი აღარაფერი მომხდარა და გერმანელებიც დაწყნარდნენ, მაგრამ სილვერსტოუნის ინციდენტმა ჰოკენჰაიმში ისევ გამოიწვია მღელვარება. პილოტებიც შეშფოთდნენ. რა მოხდება, რომელიმე გადარეულმა რომ ისევ მოისურვოს ტრასაზე გასეირნება? როდემდე იქნება ღმერთი ფორმულა 1-ის რბოლების მფარველი? ჰოკენჰაიმის ორგანიზატორები ირწმუნებიან, სილვერსტოუნის პრეცედენტი გერმანიაში არ გამეორდებაო. "ჩვენ სიფრთხილის ყველა ზომა მივიღეთ. მაყურებლებს მკაცრად გავაკონტროლებთ. 2000 წლის შემთხვევამ კარგი გაკვეთილი მოგვცა. შეცდომას აღარ დავუშვებთ. ვიდეოკამერები თითოეულ გულშემატკივარს დააფიქსირებს. საშიში არაფერია", - ამბობს ფრიდჰელმ შლეკმანი, ჰოკენჰაიმის რბოლის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი, თუმცა, ამქვეყნად არაერთი უცნაურობა ხდება და ეს შლეკმანმაც კარგად იცის: "დარწმუნებული ვარ, გიჟები ჰოკენჰაიმის ტრასაზე ვერ მოხვდებიან, მაგრამ, გულახდილად გეტყვით: ჩვენ დროში ყველაფერია მოსალოდნელი. ვინ იცის, რა მოუვა თავში რომელიმე გადარეულს", - შენიშნავს გერმანელი.

იმედი ვიქონიოთ, რომ, ბრიტანელებისგან განსხვავებით, გერმანელები უფრო გონივრულად მოიქცევიან და არ მოისურვებენ, სიცოცხლე "ფერარის" ან "მერსედესის" ბორბლებქვეშ დაასრულონ.

ინფოთეკა

ფეხბურთი. ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელს რაფაელ ლეონარდო კალეხასს სურს, ცნობილი ხორვატი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ხლმძღვანელად იხილოს. თუ კალეხასის ჩანაფიქრი განხორციელდა, მაშინ მილუტინოვიჩისთვის ჰონდურასის ფეხბურთელთა ნაკრები რიგით მეექვსე გუნდი იქნება, რომლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაყვანასაც ხორვატი მწვრთნელი შეეცდება. ყოველ შემთხვევაში, აქამდე მილუტინოვიჩმა შესაბამის სტადიაზე ხუთი სხვადასხვა ეროვნული ნაკრები (აშშ, მექსიკა, კოსტა-რიკა, ნიგერია, ჩინეთი) გაიყვანა. აღსანიშნავია, რომ 1982 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჰონდურასის ნაკრებს ფეხბურთელთა უმთავრეს ჩემპიონატზე არ უსპარეზია.

■ ■ ■

კალათბურთი. რამდენადაც პოპულარულია NBA-ს საკალათბურთო ჩემპიონატები, მით უფრო მეტ პოპულარობას იძენს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სექსუალური სკანდალებიც. საქმე ის არის, რომ სულ მალე "ლეიკერზის" ერთ-ერთი გამწვრთნელი ძალა, კობი ბრაიანტი, გაუპატიურების ბრალდებით, სასამართლოს წინაშე წარდგება. თუმცა, ამ შემთხვევაში, სექსუალური სკანდალის გმირია არა ბრაიანტი, არამედ დონალდ სტერლინგი - ასევე ანგელოზთა ქალაქის ბინადარი, კლუბის "კლიპერსის" მეპატრონე.

უსიამოვნო ამბავში კლიპერსელთა მეპატრონე სამნერ დევენპორტმა გაახვია, ანდა პირიქით. დევენპორტი, რომელიც, ასე ვთქვათ, სტერლინგზე მუშაობდა და შარშან სამსახურიდან დაითხოვეს, ყოფილ ბოსს სასამართლოში უჩივის. დევენპორტის თქმით, ერთობლივი მუშაობისას დონალდი საკუთარ თავს იმის უფლებას აძლევდა, რასაც შეიძლება სექსუალური ძალადობა ეწოდოს. კერძოდ, სტერლინგის ყოფილი ქვეშევრდომი აცხადებს, რომ ყოფილი ბოსი მას "კოცნიდა, ეხვეოდა და სხეულის ინტიმურ ადგილებზე ხელებს უფათურებდა".

■ ■ ■

ჰოკეი. ტრევორ ეტინგერმა, რომელიც "კოლუმბუსის" სისტემის კლუბების ღირსებას იცავდა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამის შესახებ "ასოშეიტედ პრესს" ინფორმაცია მიაწოდა პოლიციის წარმომადგენელმა. "სირაკუზის", "დეიტონისა" და აღმოსავლეთ სანაპიროს ჰოკეისტთა ლიგის 23 წლის მოთამაშე მშობლების ბინაში მკვდარი აღმოაჩინეს. ჯერჯერობით თვითმკვლელობის მიზეზი უცნობია. გამოძიება მიმდინარეობს.

■ ■ ■

ჩოგბურთი. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სერენა უილიამსმა გადაწყვიტა, კიდევ ერთი ტურნირი - "Los Angeles Open" გამოტოვოს. მიზეზი მარცხენა ფეხზე დაშავებული კუნთია. ამერიკელ ჩოგბურთელს ამგვარი დიაგნოზი ორშაბათის რენტგენზე დაუსვეს. სწორედ ეს ტრავმაა იმის მიზეზი, რომ ამჟამად მიმდინარე "Acura Classic" მის გარეშე ტარდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უილიამსმა გასულ კვირას "Bank of the West Classic" ასპარეზობისგანაც შეიკავა თავი, გამოდის, რომ ლოს ანჯელესის ღია ტურნირი რიგით მესამეა, სადაც იგი ჩოგანს ვერ მოიქნევს. თუმცა, იმედი აქვს, რომ სეზონის ბოლოს, "დიდი სლემის" - აშშ-ის ღია ტურნირისთვის, რომელიც 25 აგვისტოს აიღებს სტარტს, ფორმაში იქნება.

■ ■ ■

ცურვა. 58 წლის ბარბადოსელ კრის გიბზს განზრახული აქვს, ბავშვობის ოცნება აისრულოს. ოცნება კი ლამანშის სრუტის გადაცურვას გულისხმობს, რის განხორციელებასაც ის 18 აგვისტოს გეგმავს. რაც შეეხება მზადებას, გიბზი ამისთვის ერთი წლის განმავლობაში ვარჯიშობდა. კერძოდ, ამ ხნის განმავლობაში, უფრო სწორად, ყოველთვიურად, ასობით მილს დაცურავდა.

თავად ლამანშის 40-კილომეტრიანი მონაკვეთის გადაცურვას კი 10-12 საათში ვარაუდობს. "ლამანშის გადაცურვაზე 12 წლის ასაკიდან ვოცნებობ. ცურვის ხანგრძლივობაზე მეტად ცივი წყალი მაშინებს", - აცხადებს ვეტერანი თავგადასავლის მაძიებელი. აღსანიშნავია, რომ წლის ამ დროს წყლის ტემპერატურა ლამანშზე 15 გრადუსია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი მორიგ სკანდალში გაეხვია. გუშინ, ვაშინგტონში, როდესაც ყოფილი გუნდის "ბარსელონას" ვარჯიშს ესწრებოდა, იმის ნაცვლად, რომ ყურადღების ცენტრში კატალონიური კლუბის წევრები ყოფილიყვნენ, ყურადღების არეალში სტოიჩკოვი მოხვდა. კერძოდ, როდესაც ყოფილი კლუბის ვარჯიშს ესწრებოდა, მოედნის სიახლოვეს "ბარსას" დაუძინებელი მტრის, "რეალის" მაისურაში გამოწყობილი მოზარდი გამოჩნდა. "რეალის" პატარა ქომაგის გამოჩენამ სტოიჩკოვის ნერვებზე საშინლად იმოქმედა. გაბრაზებულმა ბულგარელმა ლაწირაკს დაუყრია, ან მაისურა გაიხადე, ან აქაურობას მოშორდიო. დამფრთხალი ბავშვი იმ წუთში გაეცალა იქაურობას და აღარც გამოჩენილა. როგორც შემდეგ გაირკვა, "რეალის" პატარა გულშემატკივარს არც სტოიჩკოვის და, საერთოდ, არც იქ მყოფთა პროვოცირების არავითარი განზრახვა არ ჰქონია. მხოლოდ ფეხბურთელთაგან ავტოგრაფების აღება სდომებია.

ამბები

ბრიტნი სპირსი კურნიკოვას როლში

ერთ-ერთმა ამერიკულმა კინოსტუდიამ გადაწყვიტა გადაიღოს ფილმი მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებზე. ფილმში მაიკ ტაისონის როლს მსახიობი ვინგ რეიმი შეასრულებს, ანა კურნიკოვას კი ბრიტნი სპირსი განასახიერებს.

უცნაურია, რომ პროექტს, ჯერჯერობით, არ ჰყავს სპონსორები. წინასწარი გათვლებით, იდეის განხორციელებას, სავარაუდოდ, 20 მილიონი ამერიკული დოლარი დასჭირდება. მართალია, ჯერჯერობით არ ხმაურდება კინოსტუდიის სახელწოდება, თუმცა ამერიკელმა ჟურნალისტებმა უკვე დაასკვნეს, რომ გადაღებები მონაწილეობას მიიღებს 2003 წლის სპორტული კინოპროექტის "ფავორიტის" რეჟისორი ჰერი როსი.

ახალი სტილი ბროდვეიზე

უახლოეს ხანებში ბროდვეიზე სრულიად ახალ დადგმას წარადგენენ. ერთ-ერთი თეატრი აპირებს დანერგოს თეატრალური წარმოდგენების ჟესტების ენაზე გადმოცემის ტრადიცია. სპექტაკლებში მსახიობთა ნაწილი იმღერებს, ნაწილი კი ჟესტებით უამბობს მაყურებელს მთელს მოქმედებას.

ადრე, ამავე თეატრის ტრადიცია ოდნავ სხვაგვარი იყო. მსახიობები, ჩვეულებრივად თამაშობდნენ სცენაზე, პარალელურად კი სპექტაკლს მუნჯი მაყურებლებისთვის ერთი მსახიობი ყვებოდა. ახალი სტილის პირველი დადგმა მარკ ტვენის "ჰეკლბერი ფინის თავგადასავალის" თეატრალური ინტერპრეტაცია იქნება.

შვილიშვილი ბაბუის როლში

17 წლის ოონა ჩაპლინი, ლეგენდარული მსახიობის შვილიშვილი, მონაწილეობას მიიღებს შექსპირის კომედიის "ზაფხულის ღამის სიზმრის" ავანგარდულ დადგმაში. სპექტაკლს ედინბურგის Fringe Festival-ზე აჩვენებენ. როგორც ამბობენ, ახალგაზრდა მსახიობი სპექტაკლში ლეგენდარულ ჩაპლინს მოგვაგონებს. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ოონა თურმე კარგა ხანს ყოყმანობდა სპექტაკლში მონაწილეობაზე. გადაწყვეტილება კი დედის დაჟინებული რჩევით მიიღო.

ოონა ჩაპლინის სამსახიობო დებიუტი მშობლიურ სკოლაში აღფრთოვანებული პალოდისმენტებით აღინიშნა. საინტერესოა, რა ელის მსახიობს დიდ სცენაზე?

გარდაიცვალა Iron Butterfly-ის მუსიკოსი

52 წლის ასაკში გარდაიცვალა 70-იან წლების ჰარდ-როკის ერთ-ერთი ლიდერი ჯგუფის Iron Butterfly-ის გიტარისტი ერიკ ბრაუნი. სან დიეგოში მცხოვრები 16 წლის ბრაუნი ჯგუფს 1967 წელს შეუერთდა. ბრაუნი იყო 17 წუთიანი ჰიმნის In-A-Gadda-Da-Vida-ის ერთ-ერთი ავტორი. სწორედ ამ სიმღერამ მოუტანა Iron Butterfly-ს პოპულარობა. ალბომი In-A-Gadda-Da-Vida ოთხმოცმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა და წელიწადზე მეტხანს ამერიკული ჰიტ-პარადის ათეულშიც ლიდერობდა. ბრაუნი უკმაყოფილო იყო ჯგუფის პოპულარობით და მიაჩნდა, რომ Iron Butterfly ვერ დააფასა საზოგადოებამ ღირსეულად: "ჩვენ შევქმენით ჟღერადობა, რომელმაც გზა გაუკაფა შემდეგში პოპულარულ ჰევი-მეტალის შემსრულებელ ჯგუფებს. ჩვენს მუსიკას კი იშვიათად ატრიალებენ და რატომღაც კლოუნებად გვიცნობენ". სხვათა შორის, ბრაუნი თავის დროზე Iron Butterfly-ის აღდგენის წინააღმდეგაც გამოვიდა

მუსიკოსი კვირის ბოლოს გულის შეტევით გარდაიცვალა.

რობერტ სტურუას ეპოქა

დღეს რობერტ სტურუას 65 წელი უსრულდება

პირველი გვერდიდან

შეიძლება ითქვას, რომ რობერტ სტურუას მომავალი პროფესია განგებამ განსაზღვრა. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე საბუთებით ხელში მიმავალმა, უეცრად გზიდან გადაუხვია და თეატრალურში მოხვდა. მიხეილ თუმანიშვილის და ლილი იოსელიანის მოწაფე, შემდგომ იტყვის – ხელოვნებაში არც თავის მოტყუება შეიძლება და არც სხვისიო და მართლაც, სტურუა არასოდეს იტყუება. რობერტ სტურუას ესთეტიკას, რომელიც განცვიფრებს, გაოგნებს და თავის სამყაროში გითრევს, დღესასწაულს შევადარებდი, რომელიც "ყვარყვარეთი", "კავკასიური ცარცის წრით", "რიჩარდ III"-თი, "მეფე ლირით", "ჰამლეტით", "ქალი გველით", "გოდოს მოლოდინით" და სხვა, საქართველოში თუ საზღვარგარეთ დადგმული სპექტაკლებით, მუდამ შენთანაა.

ალ პაჩინოს უთქვამს – თუკი სრულყოფა შესაძლებელია, ზეცა რაღა საჭიროაო. რობერტ სტურუამ თავისი სპექტაკლებით რეჟისურაში სრულყოფილებას მიაღწია, თუმცა ზეცის ხელი ამ საქმეში ნამდვილად ურევია.

რობერტ სტურუამ თავისი სპექტაკლებით რეჟისურაში სრულყოფილებას მიაღწია.

- ბატონო რობერტ, როგორია თქვენი მუშაობის ყაიდა გია ყანჩელთან და გოგი ალექსი-მესხიშვილთან ერთად?

- მოდით, მირიან შველიძესაც ნუ გამოვტოვებთ, რადგან ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სპექტაკლები - "ყვარყვარე" და "რიჩარდ III" მასთან ერთად გავაკეთე. ახლა უკვე ისე ვუგებთ ერთმანეთს, რომ აღარც ვლაპარაკობთ. აზრობრივ მიმართულებას ვანდვი მხატვარსაც და კომპოზიტორსაც. გიამ საკმაოდ კარგად იცის, რა მჭირდება, ზოგჯერ ისეთ რაღაცას მოიტანს, რომ შეიძლება ჩემი ჩანაფიქრის საწინააღმდეგოც იყოს, მაგრამ ამ საწინააღმდეგო აზრსაც ვიღებ, რადგან ხშირად რეჟისორი რაიმე აზრს, კონცეფციას ბოლომდე ამოაშრობს ხოლმე. თეატრი ცხოვრებისეულია, ცხოვრება კი სქემატური არ გახლავთ, ამიტომ საწინააღმდეგო იდეაც უნდა მიიღო. რეჟისორი უნდა ცდილობდეს, ესა თუ ის საგანი ან მოვლენა სხვადასხვა მხრიდან განიხილოს. ჩვენ უკვე ისეთი ურთიერთაგაგება გვაქვს, რომ გავიფიქრებ თუ არა, კომპოზიტორს და მხატვარს უკვე ესმით.

მოსკოვის დიდ თეატრში "მაზეპას" ვდგამ და ახლახანს მოსკოვიდან გოგი ალექსი-მესხიშვილმა ჩამომიტანა სპექტაკლის მაკეტი, რომელზეც ერთი შეხედვით ვერც იტყვი, რომ ამ სივრცეში ეს პიესა შეიძლება დაიდგას. საერთოდ, მეტ თავისუფლებას ვაძლევ მხატვრებს. ასეთი შემთხვევაც კი მქონდა –"კავკასიური ცარცის წრის" რეპეტიციებს თეატრმცოდნე ესწრებოდა, რომელიც ყველაფერს ზედმიწევნით იწერდა. სპექტაკლი კარგი გამოვიდა და რუსულმა ჟურნალმა "ტეატრმა" გვთხოვა რეპეტიციის ჩანაწერების გამოქვეყნება. სანამ ჩანაწერებს გავაგზავნიდით, ვთხოვე ჩემთვის ეჩვენებინათ და ნახვისას სირცხვილისაგან ცივმა ოფლმა დამასხა. თეატრმცოდნეს სიტყვა-სიტყვით დაუწერია ის, რასაც მე პირდაპირ ვამბობდი, და არა ის, რასაც ვგულისხმობდი. რეპეტიციაზე სამუშაო ენა მუშავდება, რაც რასაკვირველია სიტყვა-სიტყვით არ ნიშნავს იმას, რასაც მე ვამბობ. ყველა რეჟისორს ხომ თავისი ენა აქვს.

საერთოდ მგონია, რომ რეჟისორის მიერ ამა თუ იმ დრამატურგის ნაწარმოების მთავარი პრინციპები დაცული უნდა იყოს. ტენდენცია, რომელიც XX საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა და ამჟამადაც გრძელდება, რის მიხედვითაც რეჟისორები პიესას თავისი იმპროვიზაციების მასალად იყენებენ, მთლად სწორი არ მგონია.

ლონდონში ჩეხოვის "სამი და" დავდგი, რომლის ნახვისას, ერთმა გერმანელმა რეჟისორმა გაოცებულმა მკითხა - რაიმე ორიგინალური რატომ არ მოიფიქრეო? ორიგინალობაში იგი სამი დის მაგივრად სცენაზე სამი მამაკაცის გამოყვანას გულისხმობდა. ეს, ჩემი აზრით, პროვინციული სურვილია, გააოცო მაყურებელი, რაც წარმატებით იყო დანერგილი გერმანულ თეატრებში და შემდეგ მთელს ევროპას ბაცილასავით მოედო.

- ამ ბოლო დროს ხელოვნების სხვა დარგებშიც დამკვიდრდა იგივე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ორიგინალურობის და ექსპერიმენტის გაგება მაყურებლისთვის სულაც არ არის მთავარი. პირიქით, რაც უფრო გაუგებარია, მით უფრო კარგია...

- ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" თავად ნაწარმოებია საკმაოდ რთული, მაყურებელს უამრავი ინტერპრეტაცია შეგიძლია შესთავაზო. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ქართველები უფრო მიხვდნენ, რაზეა საუბარი, ვიდრე რუსები მოსკოვში ჩეხოვის ფესტივალზე – პროფესიულ კრიტიკას ვგულისხმობ. უიმედობის შეგრძნება, სასწაულის მოლოდინში არსებობა ჩვენთანაც და რუსეთშიც ერთნაირად ნაცნობია. სამაგიეროდ იქ შოუ-ბიზნესია აყვავებული, რასაც ნორმალურად ვიღებ, მაგრამ პროფესიული თეატრის მაყურებლის გართობის საშუალებად გადაქცევა სწორი არ მგონია, ვთვლი, რომ შეცდომაა.

- ახლა რაც შეეხება რუსთაველის თეატრში თქვენს მიერ განსახორციელებელ "ვეფხისტყაოსანს"...

- "ვეფხისტყაოსანი" იდეალური ნაწარმოებია და მასში ისეთი იდეალური სამყაროა აღწერილი, როგორიც ავტორს სურდა, რომ საქართველო ყოფილიყო. არადა, საქართველოს ისტორიას რომ ვკითხულობ, ზოგჯერ მეჩვენება, რომ ღალატის ისტორიას ვკითხულობ. მართალია, რუსთაველმა სხვა ქვეყანა და სხვა მეფე აღწერა თავის პოემაში, რადგან პირდაპირ მთქმელს ალბათ დედას უტირებდნენ და მართლაც უტირეს, როგორც ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს საქართველოს არ შეეხო.

ახლა, როცა ასეთი უიმედობით ვართ შეპყრობილები, სულიერად და ზნეობრივად დავეცით, ამ ნაწარმოების დადგმამ შეიძლება რაღაც იმედის ნაპერწკალი მაინც ჩაუსახოს მაყურებელს. ბოლოს და ბოლოს – "ბოროტსა სძლია კეთილმან".

- თქვენეული ორიგინალური ვერსიით დადგამთ?

- ნაწარმოები შემცირდება, რადგან მთელს ვერ გავწვდებით, თუმცა სიუჟეტურად არაფერი მოაკლდება. დამატებით შემომყავს ორი გმირი – კომენტატორი, რომელთაგან ერთი მეცნიერია და მაყურებელს ნაწარმოების აღქმაში ეხმარება. საკმაოდ კომიკური პერსონაჟია, ცოტა ფანატიკოსიც. მეორე – სწავლულია, რომლის ამოცანაა, იუმორით შეხედოს მეცნიერს. ხშირად ვამბობთ – რა ცუდები ვართ ეს ქართველებიო, უცხოელი რომ გვაკრიტიკებს, კი გვწყინს. სწორედ კრიტიკოსის ფუნქცია აქვს მინიჭებული სწავლულს. ეს ორი პერსონაჟი ჩვეულებრივ ტექსტს წარმოთქვამს, რომელსაც ლილი ფოფხაძე და ნინო კანტიძე (ლიტერატურული ნაწილი) ამუშავებენ. სხვა გმირები კი პოემას ორიგინალში წარმოგვიდგენენ. თუმცა იმასაც ვმუშაობთ, რომ კომენტატორების ტექსტი ორიგინალთან კონტრასტში არ შევიდეს. ასეთი ჩანაფიქრი მაქვს და მსურს მთელი დარბაზის სივრცეში გათამაშდეს.

- მსახიობები თუ გყავთ შერჩეული?

- კომენტატორები ზაზა პაპუაშვილი და მურმან ჯინორია იქნებიან, თინათინის როლში ნინო კასრაძე იქნება, დანარჩენ მსახიობებს კი ჯერ ვერ გეტყვით.

- რამდენადაც ვიცი, "ვეფხისტყაოსანი" აქამდე არც დადგმულა...

- მხოლოდ გაცოცხლებული სურათები იყო წარმოდგენილი, უტექსტოდ. აიხდებოდა ფარდა, იწყებოდა მიზანსცენა, დავუშვათ თინათინის გამეფება და ა.შ. სპექტაკლი არავის დაუდგამს. ჩვენ შვებულების შემდეგ დავიწყებთ რეპეტიციებს, თუ არ გამოგვივიდა, რასაკვირველია, არ გავაგრძელებ. რაც მთავარია, კარგი სათაური მოვიფიქრე – "შოთა რუსთაველის თეატრის "ვეფხისტყაოსანი". წინასწარ ვიცი, დიდ სკანდალს გამოიწვევს (უკვე დაიწყო კიდეც რაღაც მოძრაობები). თუმცა ვთვლი, რომ დიდი დანაშაული იქნება, ეს ნაწარმოები დავიწყებას მიეცეს და ისე გაქრეს, როგორც ბევრი რამ გამქრალა ჩვენს ქვეყანაში. ადრე გელა კანდელაკს სურდა ამ თემაზე იაპონელებთან ერთად ანიმაციური ფილმის გადაღება, მაგრამ ქართველებს მოეჩვენათ, რომ ან ნაწარმოებზე ფილმის გადაღება არ შეიძლებოდა და აკრძალეს. არადა, ბიბლია და შექსპირის თითქმის ყველა პიესა ანიმაციურ ფილმადაა ქცეული. ვნახოთ, ჩვენ რა გამოგვივა.

- თქვენს იუბილეს როგორ შეხვდებით?

- რადგან აღმოჩნდა, რომ 65 წელი საიუბილეო თარიღია, რესტორანში დავპატიჟებ მსახიობებს, მეგობრებს, ნათესავებს და ვიქეიფებ. ჩემი იუბილეს შემდეგ, ხუთ დღეში, პატარა შვილიშვილს ელენეს ერთი წელი უსრულდება და მას ცალკე გადავუხდი დაბადების დღეს.

"ვეფხისტყაოსნის" დადგმამდე რობერტ სტურუა გია ყანჩელის მუსიკაზე ალტისთვის, გუნდისთვის და სიმფონიური ორკესტრისთვის მისტერიის განხორციელებას აპირებს, რომელიც ჯანსუღ კახიძის ხსოვნას მიეძღვნება.

სავარაუდოდ, მომავალი წლის ნოემბერში რუსთაველის თეატრის სარემონტო სამუშაოები დასრულდება, თეატრს კი 125 წელი უსრულდება. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს რუსთაველელები საზეიმოდ აღნიშნავენ და ევროკონვენციის ეგიდით ერთკვირიან საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსაც ჩაატარებენ.

ინტერვიუს კი ბატონი რობერტის სიტყვებითვე დავასრულებ: "ცხოვრებაში ზოგჯერ დგება ისეთი მომენტი, როცა გგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა და გამოსავალი არ არსებობს. ალბათ დაკვირვებიხართ, როგორ იწყებს საღამოობით ჩიტების გუნდი ხიდან ხეზე გნიასით გადაფრენას. მათ ჰგონიათ, რომ დაღამდება და "ხვალ" უკვე აღარასოდეს იქნება. ჩიტებმა არ უწყიან, რომ დილა აუცილებლად გათენდება, მიუხედავად იმისა, თუ ფიქრობ, რომ ყველაფერი მორჩა. მზეც ყოველ მიზეზგარეშე ამოვა".

საუკუნის კომიკოსი

გარდაიცვალა ბობი ჰოუპი

ჰოუპი ამერიკელ ჯარისკაცებს ართობს.

კვირა საღამოს საკუთარ სახლში, კალიფორნიაში, ოჯახის წევრების გარემოცვაში ბნევმონიით გარდაიცვალა ლეგენდარული ამერიკელი კომიკოსი ბობი ჰოუპი. ის იყო ყველაზე მოხუცი და ძალზე პოპულარული მსახიობი აშშ-ში, რეკორდული რაოდენობის ტიტულებით.

"დღეს ამერიკამ დაკარგა უდიდესი მოქალაქე. ბობ ჰოუპი გვაცინებდა, გვიმშვენებდა განწყობას. ის ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანას. ჩვენ გამოვიტირებთ კარგი ადამიანის დაკარგვას", - თუ გავითვალისწინებთ, რომ აწგარდაცვლილ მსახიობს არასდროს მოჰკლებია "თეთრი სახლის" მეპატრონეთა ყურადღება და დაფასება, მაშინ ეგებ აღარც გაგიკვირდეთ ახლანდელი პრეზიდენტის ეს სიტყვები, რომელიც ჯორჯ ბუშმა მსახიობის გარდაცვალებისთანავე თქვა.

ლეგენდარული მსახიობი ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებიდან ზუსტად ორი თვის თავზე გარდაიცვალა. ცნობილი ამერიკელი მსახიობი პირადად იცნობდა აშშ-ს თერთმეტ პრეზიდენტს. ჰოუპს განსაკუთრებით აფასებდა რონალდ რეიგანი და ამის ნიშნად, ყოფილი პრეზიდენტის მემორიალურ ბიბლიოთეკაში, რომელიც ქალაქ დემი-ველიში მდებარეობს, გახსნილია ჰოუპის საიუბილეო გამოფენა. რეიგანის გარდა, ჰოუპი მეგობრობდა კენედისთან, ნიქსონთან, ფორდთან. მსახიობის დასაფასებლად აშშ-ს ახლანდელმა პრეზიდენტმაც არ დაიშურა შესაძლებლობები – კომიკოსი მსახიობის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ბუშმა დააწესა ბობი ჰოუპის სახელობის ჯილდო ამერიკელი პატრიოტებისთვის.

ბობი ჰოუპი უფრო მეტად ცნობილი იყო ამერიკელი სამხედროებისათვის გაწეული მხარდაჭერით. მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, სპარსეთის ყურეში საომარი ოპერაციების ჩათვლით, ამერიკელი მსახიობი ნამყოფია თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფრონტის ხაზზე, სადაც კი ამერიკელი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ. დათვლილია, რომ ჰოუპი სიცოცხლის განმავლობაში გამოვიდა 10 მილიონი სამხედროს წინაშე, ნამყოფია 700-მდე სამხედრო ბაზაზე თუ ჰოსპიტალში. ის ერთადერთი სამოქალაქო პირი იყო, ვისაც მიანიჭეს წოდება "აშშ-ს შეიარაღებული ძალების საპატიო ვეტერანი" – ამერიკაში ხომ უყვართ ადამიანები, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან.

ბობი ჰოუპი თავის დროზე ყოფილ საბჭოთა კავშირსაც ესტუმრა. ეს მოხდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის ამერიკაში სტუმრობის შემდეგ. საბჭოთა კავშირში ჰოუპი კიდევ ერთხელ შეხვდა თურმე ხრუშჩოვს და უამბო კიდეც, როგორ ააგორა უნებურად დიპლომატიური სკანდალი. ეს ამბავი კი ძალიან უბრალოდ მოხდა. ამერიკაში ვიზიტისას ბობი ჰოუპმა ხრუშჩოვს თურმე დისნეილენდის დათვალიერება შესთავაზა. სსრკ-ს გენერალურმა მდივანმა სიამოვნებით აიტაცა იდეა. თუმცა ამერიკის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები არ დათანხმდნენ ამ იდეას. რასაც საბჭოთა დიპლომატის აღშფოთება მოჰყვა: "შესანიშნავი ქვეყანაა! მეპატიჟებით თქვენთან სადილზე და დისნეილენდში კი არ მიშვებთ. განა, რა ტიპის რაკეტებს ამონტაჟებთ იქ?". ასე ვერ მოხვდა ხრუშჩოვი დისნეილენდში. ეს ისტორია კი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ამბავი იყო მათ შორის, რასაც ლეგენდარული მსახიობი თურმე ხშირად იხსენებდა.

სერ ბობ ჰოუპი წარმოშობით ინგლისელი იყო. დაიბადა ლონდონში 1903 წლის 29 მაისს. ნამდვილი სახელი და გვარია – ლესლი თაუნს ჰოუპი. აშშ-ში მშობლებთან ერთად 1907 წელს ჩავიდა. ბროდვეიზე მიღწეული წარმატების შემდეგ კი 1994 წლამდე აქტიურად მონაწილეობდა კინოში. სახელი გაითქვა 50-მდე ფილმით, ასევე მრავალრიცხოვანი სატელევიზიო თუ რადიოშოუებით; ითვლებოდა ამერიკული შოუ-ბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ვარსკვლავად. "გინესის რეკორდების" წიგნში შეყვანილია, როგორც ყველაზე ტიტულოვანი მსახიობი.

ყველას თავისი რემბრანდტი ჰყოლია

უკვე 360 წელი გავიდა იმის შემდეგ, რაც ნიდერლანდელმა მხატვარმა, რემბრანდტ ვან რეინმა თავისი "ღამის მცველები" დახატა. დღეს ამ უკვე მთელს მსოფლიოში ცნობილ ტილოს "ახალდაბადება" ელის.

ნამუშევარს, რომელსაც თავდაპირველად "კაპიტან ფრანს ბანინგ კოკის კომპანია" ერქვა, ორი რუსი ხელოვანი სამგანზომილებიანად აქცევს. როგორ შეძლებენ ისინი მე-17 საუკუნის ნიდარლანდელთა ოცდაშვიდი ფიგურის ქანდაკებად ქცევას, ჯერჯერობით უცნობია,

მართალია, მოქანდაკე ალექსანდრ ტარატინოვმა და მისმა კოლეგამ, მიხაილ დრომოვმა ოთხი ბრინჯაოს ფიგურა უკვე ჩამოასხეს. მათი ზომები ნატურალურს ოდნავ აღემატება (2,20 მეტრი). კაპიტანი კოკი, მისი ლეიტენანტი ვილემ ვან რიტენბურგი და ქალი, რომელსაც რემბრანდტის მეუღლე სასკიასთან აიგივებენ, ფალკენბურგში, სასტუმრო "შატო სან-გერლახის" ბაღს ამშვენებს. "ხორცი შეისხა" ძაღლმაც, რომელიც რემბრანდტს ტილოს მარჯვენა კუთხეში ჰყავს გამოსახული.

ტარატინოვის გალერისტი და ინტერესების წარმომადგენელი პედერ ეკეგარდე მოჰყვა, რომ ამჟამად მოსკოვში მყოფი მოქანდაკეები კიდევ ოთხ ფიგურაზე მუშაობენ. დანამდვილებით მანაც არ იცის, როდის ვიხილავთ დოლებით და თოფებით აღჭურვილ 1642 წლის ამსტერდამის სამოქალაქო ლაშქარს. ჯგუფი ამ პროექტის დამფინანსებლების მოზიდვას ცდილობს, ასე რომ, წელს სამუშაოს დასრულებას ნამდვილად ვერ შეძლებენ.

ეკეგარდე ოცნებობს, რომ ქანდაკებების ჯგუფი ამსტერდამში, იმ მუზეუმის მოედანზე აღმართონ, სადაც ნახატი 1885 წლიდანაა დაცული. "ღამის მცველების" განსალაგებლად დაახლოებით 100 კვადრატული მეტრის ფართობი იქნება საჭირო. მეორე ვარიანტად ის აეროპორტ შიპოლს ასახელებს: "მოგზაურებს რემბრანდტი შეეგებება და რემბრანტი გააცილებს," ასე ასაბუთებს ის თავის სურვილს. "ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ცალკეული ფიგურების დასპონსორებას ცალკეული ფირმები იკისრებდნენ". მთლიანად ამ გეგმების განსახორციელებლად ხელოვანებს 1,5 მილიონი ევრო დასჭირდებათ.

მართალია, აეროპორტში ხელოვანთა გეგმების შესახებ არაფერი სმენოდათ, და გარდა ამისა, მათ ისედაც ჰყავთ "თავიანთი რემბრანდტი" – გასული წლის დეკემბერში მუზეუმმა Een Oosterling-ის გამოფენის ნება დართო, სექტემბერში კი კიდევ 14 გრაფიკულ ნამუშევარსაც გამოფენენ.

ჩვენი თაობის ტვიგი

15 სექტემბრიდან დევიდ ბოუის თაყვანისმცემლებს მისი ახალი ალბომის, Reality-ს შეძენის საშუალება ექნებათ, რომლის გარეკანსაც მოდელ კეიტ მოსის ფოტოსურათი დაამშვენებს.

გაზეთ "სანდი მირორის" ცნობით, ახალი დისკის გარეკანი ბოუის კლასიკური ალბომის Pin Ups-ის (1973) სტილიზებული ვარიანტი იქნება. მართალია, პირველ შემთხვევაში მომღერალმა 60-იანი წლების ლეგენდარულ ბრიტანელ მოდელზე, ტვიგიზე შეაჩერა არჩევანი, მაგრამ ტყუილად ხომ არ უწოდებენ კეიტ მოსს მეორე ტვიგის!

კეიტს მუსიკალურ სამყაროსთან შეხება უკვე ჰქონია: მას სიმღერაც აქვს ჩაწერილი და ჯგუფ Primal Scream-ის მუსიკალურ კლიპშიც მიუღია მონაწილეობა. მართალია, ამ ჯგუფთან მისი თანამშრომლობა სულ იოლად აიხსნება: გიტარისტი ბობი გილესპი კეიტის მეგობარია, ასე რომ, შეიძლება ითქვას - ქალბატონი მოსი სტუდიაში პროტექციით მოხვდა. დევიდ ბოუის შემთხვევაში კი კეიტს სწორედ ტვიგისთან გარკვეულმა მსგავსებამ შეუწყო ხელი.

მსგავსება კი შემდეგში გამოიხატება: ისევე, როგორც ტვიგისთან, კლასიკურ ზომებს

კეიტ მოსი დევიდ ბოუის ყდაზე აღიბეჭდება.

90 X 60 X 90 კეიტთანაც ვერასოდეს აღმოვაჩენთ. მიუხედავად ამისა, მისი არცთუ მცირერიცხოვანი თაყვანისმცემლები ერთხმად ამტკიცებენ, კეიტი მსოფლიოს ულამაზესი ქალიაო.

ჩვენი თაობის ტვიგიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქალურ ფორმებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გოგონამ, რომლის პირველი დადგომაც კამერის წინ უმალვე სკანდალის მიზეზი გახდა - კალვინ კლაინის თეთრეულის სარეკლამო კამპანიის მესვეურებს პედოფილიასა და არასრულწლოვანთა გახრწნაში სდებდნენ ბრალს – თავის ბიჭური აღნაგობით კლაუდია შიფერისა თუ კრისტი ტარლინგტონის გაქანების მოდელებისთვისაც შეძლო კონკურენციის გაწევა. კეიტს შეუძლია თანაბარი წარმატებით განასახიეროს მორცხვი მოსწავლე, ქუჩის მეძავი, ჰოლივუდის ვარსკვლავი თუ საბედისწერო ქალი, და რაც არ უნდა აღშფოთდეს საზოგადოება მისი "გაძვალტყავებულობის" გამო, ის უამრავი ქალისთვის სილამაზის იდეალად და უამრავი მამაკაცისთვის ყველაზე საოცნებო ქალად რჩება.

ცხადია, კეიტს ანაზღაურებაც სათანადო აქვს. ერთ მაგალითს დავასახელებთ: კალვინ კლაინმა 100 დღის განმავლობაში გადაღებებისთვის ოთხი მილიონი დოლარი გადაუხადა. წელს ის სტელა მაკარტნისთან ერთად ბრიტანეთის 100 ყველაზე გავლენიანი ქალთა შორისაა დასახელებული (სია გაზეთმა Daily Mail-მა შეადგინა).

ცოტა ხნის წინათ კეიტი ავსტრალიელ მოდელ ელ მაკფერსონთან ერთად ლონდონში ახალი ღამის კლუბის მფლობელიც გახდა. ამ კლუბის შექმნის იდეა ამერიკელ მეწარმეს და ერთერთი ყველაზე პოპულარული ნიუ იორკული კლუბის, "მან რეის" მფლობელს, ბრიუს კოულის ეკუთვნოდა. შესანიშნავი იდეა აღმოჩნდა – კლუბის წარმატებას ხომ თუნდაც ამ ორი ლამაზმანის სახელი განაპირობებს.

TV პროგრამა
31 ივლისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.25** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **08.50** სერიალი „ელექტრონოკის თავგადასავალი“ **10.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.10** სერიალი „კომისარი მონტალბანო“„ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **18.50** სერიალი „მაშველები“ **19.40** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა“ **22.00** სერიალი „შავი ზეცა“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „მაღალი ქუსლები“. მთ. როლებში: ვიქტორია აბრილი, მარისა პარედისი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა“ **10.15** მხ. ფილმი „უცნაური ამბავი“ **11.45** დოკ.სერიალი „ავია შოუ“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.05** დოკ. სერიალი „ტექნოპოლისი“ **14.00** სერიალი „ქალთა სავანე“ **15.15** მხ. ფილმი „კიკუჯირო“ **17.20** ტელესერიალი „ძილის წინ“ **17.40** „ერთი თეთრიც ფულია“ **17.25** თბილისი და თბილისელები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.05** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **22.05** საქართველო არის ესე **22.40** ტელესერიალი „ძილის წინ“ **23.00** „რა ხდება ?!“ **00.00** მხ. ფილმი „ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ზაფხულის ღამის სიზმარი“ მთ. რ-ში მიშელ პფაიფერი, კევინ კლაინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო“„გრაფი მონტეკრისტო“ მთ. რ-ში ჯიმ კევიზელი, გაი პირსი. **02.00** „ღამურა“ „გადარჩენა“ მთ. რ-ში იტან ჰოუკი, ვინტენტ სპანო. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი „რვაფეხა“ **20.30** ისტორიანი **21.00** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი „ნაწვიმარზე“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა“ **13.30** მხ.ფილმი „საქმის გარჩევა ტოკიოში“ **15.00** მხ.ფილმი „სასიკვდილო იარაღი 3“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მულტფილმი „შრეკი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „მილიონერთა ექსპრესი“ **22.30** მხ. ფილმი „პონტი“.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „შურისძიების ანგელოზი“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. სერიალი „ექსპედიცია“ **14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „ქოფაკი მეომრები“ **17.30, 18.00** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.40** მხ. ფილმი „გარდასახვის ოსტატი“ **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. „პარასკევი საღამო“ **01.50** ღამის ფილმი.

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00** სერიალი „ჯონ როსი“ **10.40** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **12.00** ბალეტი - ბეჟარი. **12.30** მხ. ფილმი „გამოძალვა მაიამიში“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები“ **15.15, 18.50, 19.50** მუსიკა **15.30** სერიალი „ციებ-ცხელება“ **16.30** დოკ. სერიალი „ფოტორობოტი“ მე-2 ს. **17.50** მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“-არსენა **18.05** სერიალი „ჯონ როსი“ **18.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **20.00** „ქართული ფეხბურთი“ **21.15** სერიალი „ციებ-ცხელება“ **22.00** გადაცემა „ყვითელი კვადრატი“. **22.25** ტელემეტრი **22.50** მოკლ. მხ. ფილმი „არავინ დაზარალდება“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** რუს. მხ. ფილმი „ვამპირი“.

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** არტ-ბულვარი **11.00** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **15.15** მხ. ფილმი „ჯანდარმის ქორწინება“ **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.30** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები“ **20.30** სპორტ. პროგრამა „ესტაფეტა“ **21.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **23.00** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე „ვიქტორია, ვიქტორია“.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** სათავგადასავლო ფილმი „ვულკანი“ **10.25** ვიდეოარტი **10.30** კომედია „მხარბეჭინი ბიჭუნა“ **12.10** დრამა „უბრალო ისტორია“ **13.50** დოკუმენტური ფილმი **14.25** მხატვრული ფილმი „დასავლეთისაკენ“ **16.20** მულტფილმი „მონსტრის კორპორაცია“ **17.50** მუსიკა **18.10** დოკუმენტური ფილმი **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.10, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.40** „პირის-პირ“ (ავტორი ვ.კვარაცხელია) **20.30** მხატვრული ფილმი „სისხლიანი სპორტი: წყვდიადის ფერი“ **22.50, 01.00** მუსიკა **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.10** დრამა „ალუბლის გემო“ **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.20** მხატვრული ფილმი „ადამიანი მთვარეზე“ .

VII არხი

09.10 მელოდია **09.25** „აჩიკუდა“ **09.45** მობილურები **10.35** მელოდია **11.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.30** მელოდია **11.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.25** დინნი და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **13.05** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლები **21.20** კომპიუტერული თამაშები **21.30** დოკ.ფილმი „ბრძოლა წესების გარეშე“ **21.45** მობილურები **22.35** „კინოკლუბი „ - „ჩემი საყვარელი მარსელი“. კომედია. რეჟ: დონალდ პეტრეე. როლებში: კრისტოფერ ლოიდი, ჯეფ დენიელსი. **23.55** მელოდია **00.20** ტელესერიალი - „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე“ - მე-4 სერია **01.10** აუდიო-ვიდეო-ტელე.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 11.05 Худ.фильм „Королева Марго“ 12.05** „Смехопанорама“ **12.35** Дисней-клуб: „Базз и его команда“ **13.15 Комедия „Добро пожаловать, или Посторонним вход воспрещен“ 14.40 Детектив „Дополнительный прибывает на второй путь“, 2 с. 16.20** Док.сериал „Дикие штучки“ **16.45 Худ.фильм „Тайна Бермудского треугольника“ 18.30** Док. детектив „Торговцы счастьем. Дело 2001г.“ **19.20** „Человек и закон“ **19.55 Худ.фильм „Ниро Вульф и Арчи Гудвин“ 22.00, 00.30** „Время“ **22.30 Сериал „Зверь из бездны“ 23.40** Музыкальный фестиваль в Юрмале. I тур **01.00** Муз. фестиваль в Юрмале. I тур **02.15 Боевик „Парфюмер“.**

РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „По имени Барон...“ 10.45 Сериал „Цыган“ 12.00., 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.20 Детектив „Марш Турецкого 2“.** „Мертвый сезон в агентстве „Глория“, 1с. **14.15, 17.45** „Экспертиза“ **14.30, 18.50, 02.40** Дорожный патруль **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.10 Сериал „Семейные тайны“ 17.15 Сериал „Простые истины“ 18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **19.05** Вести-спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50 „Спокойной ночи, малыши!“ 23.00 Детектив „Марш Турецкого 2“.** „Мертвый сезон в агентстве „Глория“, 2с. **00.00 Худ.фильм „Золото Маккенны“ 02.55 Сериал „Бетти“ 03.45 Сериал „Гросс-Пойнт“.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **10.10 Сериал „Жил-был я...“, 18 с. 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Растительная жизнь“. В.Тихонов **12.05** „Кулинарный поединок. Россия - США“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45** „Сегодня“ **13.30** Ток-шоу „Страна советов“ **14.30 Сериал „Шатун“, 3 с. 15.40** „Криминал“ **16.35 Сериал „Семнадцать мгновений весны“ 18.25 Сериал „Скорая помощь 3“ 19.25** „Очная ставка“. „Сердце под прицелом“ **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“.** „Добрая память“ **21.50 Сериал „Шатун“, 4 с. 23.00** „Страна и мир“ **23.30** Празднование 100-летия канонизации Преподобного С.Саровского **00.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 03.05** „Кома“

მოზარდების საიდუმლო

ეს ერთადერთი ასაკობრივი კატეგორიაა, რომელსაც რატომღაც “ერჩიან”. ალბათ იმის გამო, რომ მანამდე გამგონე, ან გაუგონარი, მაგრამ იოლად მორევადი ადამიანი უცებ აცხადებს, რომ რაღაცა თვითონაც გაეგება. ალბათ იმიტომაც, რომ მანამდე ის უფრო სათამაშოდ აღიქმებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანად, და უცებ ირკვევა, რომ მასაც თავისი, საკუთარი ცხოვრება და ინტერესები აქვს. დანამდვილებით ამის თქმა ძნელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – მათ ერჩიან და სიტყვას “თინეიჯერი” პრინციპში გაუგებარი, მაგრამ მაინც უარყოფითი დატვირთვა აქვს მიცემული.

უფროსებს სულ ერთი რამ აინტერესებთ: რა ხდება მოზარდების თავში? - ისე, რა მათი საქმეა? რას ინახავენ მოზარდები საიდუმლოდ და ვის უმხელენ თავიანთ გულისნადებს? – განა უფროსები არაფერს მალავენ? მაგრამ უფროსებს მაინც ყველაფრის ცოდნა უნდათ, რადგან, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ დაუჯერებიათ, რომ მათმა შვილმა შეიძლება რამე მაინც, ვთქვათ, თავის სურვილები და მოთხოვნები, მათზე უკეთ იცოდნენ.

და აი, გერმანიის ახალგაზრდული კვლევის ინსტიტუტმა ამასთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩაატარა და საკმაოდ უნუგეშო დასკვნა გამოიტანა: რაც უფრო მეტი წლისაა მოზარდი, მით მეტ რამეს მალავს, მით უფრო ნაკლებს უყვება თავის მშობლებს. შესაბამისად, მით უფრო ნაკლებად აქვთ იმის იმედი, რომ გაუგებენ.

14-დან 18 წლის ასაკამდე 506 ახალგაზრდის გამოკითხვა ბავშვებსა და მშობლებს შორის ნდობის ფაქტორის გამოკვლევას ისახავდა მიზნად. გაირკვა, რომ გამოკითხულთა 23 პროცენტი მშობლებს არასოდეს არაფერს ანდობს. მათი უმრავლესობა ერთ მიზეზს ასახელებს: მშობლებს მათი არასოდეს ესმოდათ და, შესაბამისად, ვერც ახლა გაუგებენ. 12 პროცენტი მშობლებს სადარდელს უზიარებს, მაგრამ აშკარად გრძნობს, რომ ეს არ უნდა ექნა. თან აღმოჩნდა, რომ ბიჭები უფრო გულჩათხრობილნი არიან და გოგონებისგან განსხვავებით მტკიცედ სჯერათ, რომ მშობლებს მათი არ ესმით.

ასაკის მატებასთან ერთად საიდუმლოების რაოდენობაც იზრდება: თუკი 14 წლის მოზარდთა 18 პროცენტი უმალავს მშობლებს თავის გულისნადებს თუ ქმედებას, 18 წლის ასაკისთვის ეს რიცხვი 28 პროცენტს აღწევს.

ძირითადად ახალგაზრდები ოთხ, სრულიად განსხვავებულ თემას ასაიდუმლოებენ: სექსი, ავადმყოფობა, ნარკოტიკები და ძალადობა.

ყველაზე ტაბიურებულ თემად სექსი რჩება: გამოკითხულთა სამი მეოთხედი მშობლებთან თავისი სექსუალური გამოცდილების შესახებ კრინტს არ ძრავს. გაირკვა, რომ ამ სახის სურვილებსა და მოთხოვნებს 93 პროცენტი საერთოდ არავის უმ-

თინეიჯერი ყველა ქვეყანაში თინეიჯერია

თბილისელი მოზარდები

ფოტო: ლევან ხერხეულიძის

ხელს. გოგონები ამ თემას შედარებით ხშირად ეხებიან, თუმცა ისინიც თვლიან, რომ ბიჭებთან ურთიერთობა მათი პირადი საქმეა და მშობლების ჩარევა თუ მათი რჩევები მხოლოდ ურთიერთობას გაუფუჭებთ.

გარკვეულწილად, არ ტყუიან. მრავალი გოგონა მოყვა, რომ ოდესღაც დედისთვის ჩასახვისსაწინააღმდეგო აბები ან თავის დაცვის რამე სხვა საშუალება უთხოვნიათ, და ამის შედეგი დიდი უსიამოვნება ყოფილა. ხშირია შემთხვევები, როცა დედას ქალიშვილის ნაამბობი მამისთვის მოუყოლია, რის შემდეგაც ნდობის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, მრავალი მოზარდი – 47 პროცენტი საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია! - მშობლებს თავის ავადმყოფობის ამბავსაც უმალავს. ამგვარი ქცევის არგუმენტი ძირითადად ასე ჟღერს: “თავიანთი პრობლემებიც ჰყოფნით”. მაგრამ სინამდვილეში ავადმყოფობის დამალვა ზედმეტი კონტროლისგან თავის დაზღვევის საშუალება ყოფილა.

გამოკითხულთა შორის 71 პროცენტი (გოგონებიც და ვაჟებიც) დამთვრალა, 26 პროცენტს ჰაშიში მოუწევია და 10 პროცენტს ექსტაზიც აქვს გასინჯული. მაგრამ თუკი სმის ამბავი ოჯახში მეტ-ნაკლებად იციან ხოლმე, ნარკოტიკებთან დაკავშირებით სულ სხვა სურათს ვხედავთ: ამას სასტიკად მალავენ.

ძალადობა და დანაშაული ცალკე თემაა. გაირკვა, რომ ამის შესახებ ლაპარაკი ახალგაზრდებს რატომღაც სიამოვნებთ, ოღონდ საკუთარ თავს დამნაშავედ არასოდეს ასახელებენ, თავი მსხვერპლად მოქვთ. ერთადერთი, რაზეც კრინტს არ ძრავენ ხოლმე, თვითმკვლელობის მცდელობებია, ასეთი გამოცდილება კი 11 პროცენტს ჰქონია. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ თვითმკვლელობის მიზეზი, ძირითადად, ოჯახური უსიამოვნებები ხდება ხოლმე, ანუ, წრე შეიკრა – უნდობლობა უნდობლობის გამო.

ცნობილი ფრანგული
ფარმაცევტული კომპანია SERVIER
Research Group-ის (სერვიე რისერჩ გრუფ)
წარმომადგენლობით ოფისს
საქართველოში ესაჭიროება

ბუღალტერი/ფინანსისტი
(მამაკაცი/ქალი)

მუშაობის სრული გრაფიკით, რომელსაც პირდაპირი და მუდმივი ურთიერთობა ექნება პარიზის სათაო ოფისის ფინანსურ და საოპერაციო განყოფილებასთან.

მოთხოვნები: 30 წლამდე ასაკის პიროვნება, შესაბამისი კვალიფიკაციით ადგილობრივი და საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტებში, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილებით (უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო კომპანიების ფილიალებში ბანკებში, საწარმოებში მიღებულ კვალიფიკაციას), ზეპირი და წერითი ინგლისურის და/ან ფრანგულის სრულყოფილი ცოდნით, ასევე ძირითადი კომპიუტერული (Excel, Word, ...) და საბუღალტრო პროგრამების ცოდნით. დამოუკიდებლობა, აკურატულობა და დინამიურობა წარმოადგენს არჩევის უმთავრეს წინაპირობას.

არჩეულ კანდიდატს მიეცემა შემდგომი პროფესიული ზრდის შესანიშნავი შესაძლებლობა.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვგზავნოთ განცხადება (წერილი, დეტალური CV და ფოტოსურათი) შემდეგ მისამართებზე:

„Servier“-ს საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 148/3
Fax: 96-05-88

ORS International
22 rue Garnier
92200 NEUILLY SUR SEINE
FRANCE
Fax: +331-5572-7501

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

მოდის განმგებლები

ალექსანდრ მაკ ქუინი, მოდელი - ტატიანა ურინა

ისინი ჩვენს სამყაროს ზღაპრულად აქცევენ, ჩვენს ტანსაცმელს – ხელოვნების ნიმუშად. ისინი ჩვენს გემოვნებას ქმნიან და აყალიბებენ. მათ გავლენას თითქოს ვერც ვგრძნობთ, მრავალი მათგანის სახელი, შესაძლოა, არც ვიცით. მაგრამ ისინი არსებობენ – 25 ადამიანი, რომელთაც ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს დღევანდელ გარეგნულ სახეს ვუმადლით.

1. **ფლორიან დე სენ-პიერი**, მოდის სფეროში ყველაზე მსხვილი საკადრო სააგენტოს ხელმძღვანელი;

2. **კემერონ სილვერი**, დასავლეთ ჰოლივუდში ტანსაცმლის მაღაზია Decades-ის მფლობელი;

3. **ჰედი სლიმანი**, მამაკაცის ტანსაცმლის დიდოსტატი;

4. **ფრანკა სოზანი**, იტალიური “ვოგის” მთავარი რედაქტორი;

5. **სტრუნინი და ფრიდლანდი**, მოსკოვის “ბუტიკების ქუჩის” შემქმნელები;

6. **ეჟენ სულეიმანი და პატ მაკ გრეტი**, სახისა და ვარცხნილობის მხატვრები;

7. **ტომ ფორდი**, “ივ სენ ლორანისა” და “გუჩის” საკონტროლო აქციების მფლობელი, მოდის მეცენატი;

8. **ნიკოლა ჩესკუიარი**, “თაობის ყველაზე ორიგინალური და დამაინტრიგებელი დიზაინერი”;

9. **ლიდევუ ედელკურტი**, “მოდის ნოსტრადამუსი”, მისი საქმე მოდის ტენდენციების წინასწარმეტყველებაა;

10. **იოჯი იამამოტო**, რჩეულთა დიზაინერი;

11. **კარლ ლაგერფელდი**, დიზაინერი;

12. **კლერ კენტი**, უდიდესი მოდის სახლების საინვესტიციო ბაზრების ანალიტიკოსი;

13. **ლინდა ლოპა**, ანტვერპენის სამეფო დიზაინის აკადემიის ხელმძღვანელი, ფლანდრიის დიზაინის ინსტიტუტის დამაარსებელი;

14. **მადონა**, უბრალოდ ვარსკვლავი;

15. **ალექსანდრ მაკ ქუინი**, “ახალ დიზაინერთა” საუკეთესო წარმომადგენელი;

16. **კეიტ მოსი**, სუპერმოდელი;

17. **ნიკ ნაიტი**, ფოტოხელოვანი;

18. **ბერნარ არნოსი**, მოდის ბიზნესში უმდიდრესი ადამიანი, LVMH-ის მფლობელი;

19. **ფაბიენ ბარონი**, გრაფიკული დიზაინის საუკეთესო ოსტატი;

20. **ანა ვინტური**, ამერიკული “ვოგის” მთავარი რედაქტორი;

21. **მილან ვუკმიროვიჩი**, მოდური ბუტიკის არქეტიპის, Colette-ის მფლობელი;

22. **ჯონ გალიანო**, ყველაზე წარმატებული კუტურიე;

23. **კეტი გრანტი**, სტილისტი;

24. **მარკ ჯეიკობსი**, დიზაინერი, “ახალი კლასიკოსი”;

25. **რეი კავაკუბო**, დამოუკიდებელი დიზაინერი, რომელსაც კოკო შანელს უტოლებენ.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.